ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ ერისთავმა

რობერტ ბერნსი

ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ

(პოეტს ესიზმრა, რომ ესწრებოდა მეფის დაბადების დღის საზეიმო ცერემონიალს 1786 წ. 4 ივნისს და ამ ლექსით მიმართა მეფეს. მას იმედი აქვს, რომ სიზმარს სახელმწიფო ღალატად არ ჩაუთვლიან.)

1

დილა მშვიდობისა, თქვენს უმაღლესობას!
დე, ზეცამ გილხინოთ ბოლოსაც,
თქვენ დაბადების დღეს ჩვეული ბრძანდებით,
მეფეო, პოეტთა მოლოცვას.

ეგებ გეჩოთიროთ ბრწყინვალე დარბაზში
მდაბიო მელექსის გამოსვლა,
იქნებ საზეიმო იერი აკლია
მასაც და მის ტანისამოსსაც
ამ დიდებულ დღეს!

2

ქათინაურებით გამკობენ, გმოსავენ,
ჯერ წარჩინებულთა ჯერია, —
„უფალო, ჩვენს მეფეს ექმენო მოწყალე!“ —
ყველანი ერთ ხმაზე მღერიან.

პოეტთა კრებულმა ქებისთვის მომართა
ყალბად აწყობილი ჩანგები,
რათა შთაგაგონონ, რომ მარად მართალი,
მარად შეუმცდარი ბრძანდებით, —
ამ დიდებულ დღეს!

3

ჩემგან კი ნუ ელით მონარქის წინაშეც
ლაპარაკს ტკბილსა და ქლესიას,
ვითომ, რაო ჩემო, წოდება მავალებს,
თუ დიდი ჩინი და პენსია!..

არც ბევრი აუგი არა მაქვს სათქმელი
და ქებაც აუგის ტოლია, —
ჩვენ ბევრი გვყოლია თქვენზე უარესი,
თქვენზე უკეთესიც გვყოლია,
გარდასულ დღეებში.

4

ვერ ვიტყვი, მეფეო, რომ ჩემი ლექსები
ნატიფი რითმით მაქვს ნაქარგი,
სიმართლე ურჩია, თავს არსად დამალავს,
არ უყვარს მანჭვა და ლაქარდი.

ის ბუდე ინგრევა, თქვენ რომ ზედ აზიხართ,
ვერ სწვდება თქვენი ფრთა ბოლომდის,
მის გადასარჩენად, ვინ უწყის, რას იზამთ, —
მეფეო, ვაი ამ მოლოდინს
და ამ ზარიან დღეს!

5

ღმერთმა დამიფაროს, აუგით ვახსენო
მე კანონმდებლობა ინგლისის,
და ვთქვა, რომ არ გყოფნით ამ ერის მართვისთვის
სიბრძნე და მეფური სინდისი;

მაგრამ ის უნდა ვთქვა, ძლიერ მაკვირვებს,
ვის ანდეთ სამართლის სადავე,
ცხენების ჩონჩორიკს რომ უნდა ხვეტავდნენ,
ისინი ქვეყანას მართავენ
ამ ძნელბედობის დღეს.

6

ბრიტანეთს მიეცით ნანატრი მშვიდობა, —
იმთელებს დამტვრეულ კიდურებს,
გადასახადი კი როგორც ცხვარს კრეჭავს და
ხანდახან მის ტყავსაც შიგ ურევს.

მე რა მესაქმება, ერთი გლეხკაცი ვარ,
არ მინდა ჩინი და პატივი,
ოღონდაც ბალახის ჭამა ნუ მომიწევს
მინდორში გაშვებულ ბატივით,
ერთ მშვენიერ დღეს...

7

არა, უნდობლობას სულაც არ ვუცხადებ
პერსონას ვილიამ პიტასას,
ვალები ბევრი გაქვთ, უფალო მეფეო,
იმათი დაფარვა იკისრა.

ხარჯებიც ბევრი გაქვთ, და ცოტა ზედმეტი
ტყავი რომ გაგვაძროს, რა უშავს,
ოღონდ ფლოტს მიხედოს და მისი ალამი
ამაზე ძირს აღარ დაუშვას
ამ ზარიან დღეს.

8

მშვიდობა, სინიორ! დე, თავისუფლებამ
ამ ცისქვეშ ფრთა ლაღად გაშალოს,
გვაშოროს სიმყრალე გახრწნის და ლპობისა,
არ გვქონდეს მიზეზი საშარო!

წასვლამდე კი მინდა, დედოფალს შევფიცო,
თუ ღმერთმა ამ ქვეყნად მაცალა,
რომ მის ქვეშევრდომად დავრჩები, სინიორ,
მის ერთგულ მონად და ვასალად,
მომავლის მრავალ დღეს!

ვალტერ სკოტი

ლოხინვარი

ლოხინვარ-ჭაბუკი ცხენს მოაჭენებდა
დასავლეთ მხარიდან,
მისმა ბედაურმა ყველა გზა დალახა,
არაფერს დარიდა;
არ ეცვა აბჯარი ლოხინვარ-ჭაბუკს და
არ ახლდა ამალა,

მარტო მოდიოდა ორლესულ ხმლისა და
მათრახის ამარა;
ტრფობაში ერთგული, ბრძოლაში მედგარი
და დაუძინარი, —
ლოხინვარ-ჭაბუკის ბადალი რაინდი
ამ ქვეყნად ვინ არი!

გადავლო ჭენებით ჯაგნარი, ველები,
კლდიანი წარაფი,
უფონოდ გასცურა მდინარე ესკი და
არ შედრკა არაფრით,
ჰა, უკვე გამოჩნდა და უკვე ახლოა
სასახლე ნეზერბის,
ვაი, რომ დაჰკარგე, ლოხინვარ რაინდო,
ის, რასაც ეძებდი: —
ლამაზმა ელენმა სხვას მისცა თანხმობა,
სხვა ძალამ მოხიბლა,
ქორწილი დაიწყო ნეზერბის დარბაზში,
ჭაბუკო ლოხინვარ!
ამაოდ ჩქარობდი, ამაოდ გადმოვლე
მთები და ველები,
ტრფობაში დონდლოს და ბრძოლაში გულლაჩარს
დარჩება ელენი.

და ჯიქურ შევიდა ნეზერბის დარბაზში,
თავი არ დამალა,
იქ, სადაც ილხენდნენ პატარძლის მოყვრები
და ნეფის ამალა.
ხმალს ხელი დაიდო პატარძლის მამამ და
შემოსულს გასძახის: —
(ნეფეს კი შიშისგან კრინტიც არ დაუძრავს,
შეუდგა ცახცახი);
„მოხველი მშვიდობით, თუ მოხველ საომრად,
რომ არვინ დაინდო,
თუ მოხველ, ქორწილზე ჩვენთან რომ იცეკვო,
ლოხინვარ რაინდო?!“

„მე დიდხანს ვეტრფოდი თქვენს ასულს, სინიორ,
თქვენ ეს არ გენებათ,
და სიყვარული რომ სოლვეის ტალღას ჰგავს,
თქვენც მოგეხსენებათ, —
მასავით ბობოქრობს და თავაშვებული
ნაპირებს აწყდება,
მასავით ბობოქრობს და მერე ერთბაშად
მასავით დაცხრება.

მე დღეს არ მოვედი დამცხრალი გულით და
დამცხრალი ტრფიალით,
მე მხოლოდ ერთ ცეკვას მოვითხოვ დღეისდღეს
და ღვინოს ფიალით.
ჯერ შოტლანდიაში ლამაზი ასული
ბევრია საკმაოდ,
და ჭაბუკ ლოხინვარს არ დაიწუნებენ
ისინი საქმაროდ".
ღვინის თასს შეეხო ელენი ტუჩებით
და რაინდს შეხედა,
რაინდმა აიღო, დასცალა თასი და
დააგდო ფეხებთან.
გაფითრდა ელენი და ოხვრა აღმოხდა
უეცარ სიმძიმით,
შეხედა ლოხინვარს სევდიან ღიმილით,
ცრემლების ციმციმით.
და ხელი მოჰკიდა ჭაბუკმა ქალის ხელს,
არავის დარიდა,
„ვიცეკვოთ ერთადო", — და გაიყოლია,
დარბაზში გავიდა.
ჭაბუკი ბრგეა და სინაზით სავსეა
ასული ლამაზი;
ჯერ არ ღირსებია ასეთ წყვილს არასდროს
არცერთი დარბაზი.
აქ დედა ანჩხლობს და იქ მამა ბრაზისგან
შფოთავს და დუდღუნებს,
საქმარო ცქმუტავს და აწვალებს ბერეტში
გარჭობილ ბუმბულებს.
და ქალიშვილებს კი სახეზე ჰფენიათ
ღიმილი ნეტარი: —
„ო, ჭაბუკ ლოხინვარს შეუღლებოდაო
ჩვენი და, ნეტავი!" —

სულ ერთი შეხება ხელისა ხელზე და
ნიშანი პატარა,
დარბაზის კარებთან ცხენი დგას, პატრონი
ფრენით რომ ატარა,
მსუბუქად შემოსვა მან ცხენის გავაზე
ასული ნეზერბის,
თვითონაც იმის წინ მოევლო უნაგირს
ხმლითა და დეზებით, —
„რახან მოგიპოვე, ველარ შეგვაჩერებს
კლდე-ღრე და ლოდიო,

ვისაც ჰყავს ცხენები ფიცხი და ფეხმარდი,
დე, იმათ მოგვდიონ!“
ამხედრდა, დაიძრა, ვინც იყო ვაჟკაცი,
ნეზერბის კლანიდან,
ფორსტერის, ფენვიკის, გრეიმის გვარიდან
მრავალი წავიდა;
ქენობი-ლიისკენ მიჰქროდნენ მხედრები,
ლტოლვილებს ეძებდნენ,
ამაოდ დაშვრნენ და თვალიც კი ვერ მოჰკრეს
პატარძალს ნეზერბელს.
ტრფობაში ერთგული, ბრძოლაში მედგარი
და დაუძინარი,
ლოხინვარ-ჭაბუკის ბადალი რაინდი
ამ ქვეყნად ვინ არი!

ჰიუ მაკდაიერმიდი

გულზე მაწევს მძიმედ

გულზე მაწევს ზამთარივით მძიმედ
შოტლანდიის ბედ-იღბალის ტვირთი,
გაზაფხული არ იძლევა იმედს
და ზამთარი ისე ნელა მიდის,
ისე ნელა, ისე ნება-ნება,
გეგონება —
სამუდამოდ რჩება.

უღიმღამო სინათლე აქვს მზესაც,
შუადღეებს ფერი ადევს თალხი,
თავის ნაღველს ჰაერში თუ ლესავს
ეს ბრიყვი და უგუნური ხალხი,
და ჭვარტლივით
ეღობება მზის სხივს
ამ ნაღველით გაჟღენთილი ნისლი.

ზოგჯერ თითქოს ღრუბლიანი ციდან
ნათლის სხივი გამოკრთება მალვით,
„ჰე, ინათლა! — დავიძახო მინდა, —
აღმოსავლეთს მიაპყარით თვალი!“
მაგრამ ისევ
ზამთარია მრუმე, —
ეს ნათელიც თოვლისაა თურმე.

ფურირმეგის არვე

არ ურევია ფურირემი
ირმის არვეში,
რომ არ უცემდეს მკერდში გული
მთელი არვესი.
ერთის თვალები რომ გიყურებს,
მიწავ, ალერსით,
ეს მოციმციმე თვალებია
მთელი არვესი.
არვეს რონინი მორიალე
ნათლის ალია,
და ფურირემი არვეს ერთვის
ისე მალიად,
მისი მოსვლა და გაელვება
ისე ჩქარია,
რომ აღარ იცი, ცხადია თუ
მზის სიზმარია.
ო, ეს ასულიც ზეცით მოდის
ნათლის ფერებად,
მიწიერ თვალებს მისი ხილვა
არ ეჯერებათ,
და ეუფლებათ განცვიფრება
დაუსრულები,
თითქოს ციური სრბოლა ნახეს
წმინდა სულების.
მაგრამ ხანდახან კაცის თვალი
დაეწაფება
მის სხივთა ნათელს, ცაში გაბმულს
ოქროს ძაფებად,
და მაშინ კრთება მისი შუქი
უბრწყინვალესი,
ვით წამიერი გაელვება
ირმის არვესი.

ალეგზანდერ სმითი

ბარბარა

იდგა მშვიდი კვირაძალი;
ძველი საყდრის ძველ ეზოში ყვითელი და ფერნაცვალი
ხეელი ნეშოს შარიშურით მივდიოდი.

იყო ლოცვის სიმხურვალე და ფსალმუნთა მთელი წყება,
ხან ორღანის ქარიშხალი, ხან ორღანის მიჩუმება,
სიტყვა ცოდვათ-შენდობისა, — სალბუნივით გულს რომ ხვდება;
მე კი ვიდექ შეუმძრალი.

მუსიკა რომ ირგვლივ ქუხდა
და მღვდელი რომ ხალხს ლოცავდა ხელაპყრობით, სიტყვაუხვად,
გული სხვაგან მიილტვოდა, გული რაღაც სხვაზე წუხდა.
მაგრამ უცებ, ის-ის იყო წამოვდექი წასასვლელად,
უცხო სახემ ანგელოსის თვალთა სხივით გამიელვა;
ღვთაებრივი ხილვა იყო, — ცით მოსული წამიერად,
შენი სახე და თვალები, ო, ბარბარა!

სახე შენი, სახე შენი ფერგამკრთალი
და თვალები სათნოების ნიშანწყალით
უკანასკნელ შეხვედრისას შთამებეჭდა
სულ სხვა ძალით.

დილის ნისლში ფრიალებდა თეთრი კაბის გრძელი კალთა,
მოშრიალდი სიყვარულო, მოირბინე გულის კართან,
ჩემი ბაგის სიმხურვალე ალმურივით ბაგეს გაჩნდა
იმ შლეგ დილას, ო, ბარბარა!

მზიან დღეს და წყვდიად ღამეს
შენი ძებნით გავეწამე,
რომ ალარ ხარ მათ წიაღში, ო, ვერასგზით ვერ ვიწამე;
ზამთრის ღამე ბევრჯერ თეთრად გავათიე, რაც შენ წახველ,
ვიჯექ ცეცხლთან და ხელებში ჩამარხული მქონდა სახე,
ეკლესიის გალავანში წვიმა ციდან ცრიდა ნაღველს
და გეძინა შენ, ბარბარა!

სული შენი ზეცას მიწვდა,
ნეტავ ხომ არ დაგავიწყდა
ის დღე,—ოქროს სამაჯური რომ შეგაბი მკლავზე წინდად;
ან ის ღამე, — ცეკვისა და გიტარების რიტმით სავსე,
მერე ბალი და სიჩუმე, სიჩუმე და სილამაზე,
დრო რომ რბოდა იდუმალი ვარსკვლავებით სავსე ცაზე,
ვიდრე თავს არ დაგვათენდა, ო, ბარბარა!

ბევრჯერ გული დამირბიეს, გამომცვალეს წლებმა ძლიერ,
მაგრამ ძველი სიყვარულის ერთგულებას ვერა სძლიეს;
ბევრი ცოდვა დამიგროვდა, მომეცარა ბევრჯერ ხელი,
მაგრამ შენი სიყვარულის ცისარტყელა შვიდივ ფერით
ჩემი სულის ჩანჩქერებში ისევ მღერის,
ო, ბარბარა!

ბევრმა ეჭვმა გამაწვალა,
დავანება არ მაცალა,
დავშთი ქვეყნის უდაბნოში, როგორც ქარი მაწანწალა...
ძალა მქონდეს, მაგ ვარსკვლავთა შორეთიდან მოგიხმობდე,
წამიერი შენი ხილვით სულის შიმშილს დავიცხრობდე,
მცირე სიბრძნეს გამოგთხოვდე იმ ქვეყნიერ სიბრძნის მფლობელს,
ო, ბარბარა.

ამაოა, ამაოა ჩემი ოხვრა,
არასოდეს, არასოდეს აღარ მოხვალ.
ისევ წვიმს და ზეცამ წვიმით გული ველარ მოიოხა.
ხეებშია ქარიშხალი, ირგვლივ მწუხრის ბინდი წვება,
და ზღვა გულში დაკოდილი, კვნესით ნაპირს ეხეთქება;
სად ვიპოვო სიმშვიდე და სად ვეძებო მოსვენება?!
მხოლოდ შენთან, მხოლოდ შენთან, ო, ბარბარა!

ჰრანტ მათევოსიანი

ძაღლეგი

მოთხრობა

სომხურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

თითქოს რომელიღაც ძველებურ მოთხრობას ვანსახიერებდით: მამაჩემს თავზე ფაფახი ჰქონდა წამოდებული და მხარზე ხურჯინი. გვერდზე მე მივდევდი, მე კიდევ ძაღლი მომდევდა უკან. ეგრე შევედით პედაგოგიურ სასწავლებელში. მამაჩემი მწყემსი იყო, ცხვრის ფაფახიანი და ჭრელხურჯინიანი, ბობა — ცხვრის ძაღლი, ბანჯგვლიანი ნაგაზი, მე კიდევ ლოყაწითელი, თოთხმეტი წლის ბიჭი.

ცუდად მიგვიღეს. ჯერ იყო და, დირექტორის ლეკვმა მამაჩემის ჩექმებთან წკავწკავი ატეხა, მერე ჩვენი ბობა თავისი ჭკვისად ჩათვალა და იმის სამნაკეცი ღაბაბის ქვეშ მოჰყვა წკმუტუნ-წკმუილს. ბობამ ჯერ ლეკვს შეხედა, მერე — მე და მომეჩვენა, რომ გაიღიმა. არა, ნამდვილად გაიღიმა. ლეკვმა დრო იხელთა, ბობას ფეხზე უკბინა და წკნავილით მოუსვა, თითქოს მას კი არ ეკბინოს, მისთვის ეკბინოთ. ბობა გამოუდგა, მაგრამ მამაჩემმა შეუძახა:

— აბა! — ბობამ მამაჩემს შეხედა. — არ შეიძლება! — უთხრა მამაჩემმა.

ბობა დაწვა და ფეხის ლოკვა დაიწყო. ლეკვი მიეპარა და ისევ უკბინა. ბობა განრისხებული წამოიჭრა, მაგრამ მამაჩემი ისევ ჩაერია საქმეში:

— არ შეიძლება, ბობ!

და გაბრაზებულ ბობას ფეხი აღარ მოულოკავს, თავი დაანება — იდინოსო სისხლმა.

— ეჰ, ძალიან გაგიჭირდებოდა ჩვენთან, ძმაო! — უთხრა მოხუცმა ალგებრის მასწავლებელმა ბობას.

დირექტორმა კი მამაჩემს დაუწყო გამასხარავება.

— კაი დროს მოსულხართ!

მამაჩემს გაუხარდა.

— ჰო, ბალღი არ დავაგვიანო-მეთქი, საქმესაც თავი მივანებე და წამოვიყვანე.

— კაი დროს მოგიყვანია!

— ჰო, ვიფიქრე, იქნება კაცი გამოვიდეს-მეთქი. საქმეს არ მოუკვდა პატრონი?! საქმეს რა გამოლევს!

დირექტორმა თვალით გამზომა. გამზომა კი არა, — გასაზომად პატარა ვიყავი, — ისე, ერთ წამს შემათვალიერა და დაასკვნა, რომ მე კაცი არ ვიყავი, კაცი ხელახლა უნდა გამოჩარხულიყო ჩემგან.

— აბა რა გითხრათ, დაიგვიანეთ; გაკვეთილები დაიწყო, თქვენ ახლა მოდიხართ.

— რაო? — ვერ მიუხვდა მამაჩემი.

— დაიგვიანეთ, დაიგვიანეთ! — თითქოს ყრუს ელაპარაკებაო, ხმას აუწია დირექტორმა.

— როგორ თუ დავიგვიანეთ?

— როგორ და, ისე! დღეს რომელი რიცხვია?

— ჩემი ანგარიშით, პირველი!

— გაგიმარჯოს! ჩემი ანგარიშითაც პირველია! მიღება ოცდახუთში დამთავრდა. ასე რომ, დაგაგვიანდათ! — მშვიდი ირონიით აუხსნა დირექტორმა.

— ბალღი ფრიადოსანია, ეგრე როგორ იქნება?!

აქ უკვე დირექტორმა სამყაროს იდუმალებათა განმარტებით დაღლილი ფილოსოფოსის იერი მიიღო: ის უხსნის, განუმარტავს, უხსნის, ამ ბრიყვებს კი ვერაფერი გაუგიათ. კაცს იძულებულს გახდიან, ახსნა-განმარტებას თავი დაანებოს და ირონიაზე გადავიდეს.

— ეგ ფრიადები თვითონ მიიღო თუ თქვენმა დირექტორმა დაუწერა?

— მე მივიღე, დირექტორმა — დამიწერა, — ვთქვი მე.

— აჰა, თვითონ მიუღია, გერასიმეს — დაუწერია, — თქვა მამაჩემმა.

— ეგ გერასიმე შენი ბიძაშვილია, არა? — სავარძელზე გადაიშხლართა დირექტორი.

— არა, ცოტა უფრო შორეული ნათესავები ვართ.

— მაშ, ამბობ, გერასიმემ დაუწერაო, არა?

— დაუწერა.

— მივიღე და დამიწერა, — გავიმეორე მე.

— სუ! — წელში მიჩქმიტა მამაჩემმა, ცოტა უფრო ქვემოთ.

— მაგალითად, სომხურში როგორა აქვს საქმე?

— ლაპარაკში, რასაც უყურებ, ეგ არის, ხელთნაწერი კარგი აქვს.

— მაშ, ხ ე ლ თ ნ ა წ ე რ ი კარგი აქვსო? — გამოცოცხლდა დირექტორი. მამაჩემი შეყოყმანდა.

— მთავარი ხ ე ლ თ ნ ა წ ე რ ი ა, — თვალები მილულა დირექტორმა.

— ხელთნაწერი კი არა, ხელწერა! — მშვიდად გავუსწორე მე.

მამაჩემი დირექტორს დაცინვას მიუხვდა და დანაღვლიანდა.

— მაშ, დაგვიგვიანია... — იმედგაწყვეტილად ჩაილაპარაკა მან.

— არა, რატომ? მომავალ წელს მოხვალთ.

— მომავალ წელს სხვები მოვიდნენ, მე ახლა მოვედი! — ვთქვი მე.

— არ შეიძლება, ბაბ! — მითხრა მამაჩემმა.

მამაჩემი მარტო იმისთვის არის, ბობა გააჩეროს, როცა მას ფეხზე რომელიღაც ლეკვი უკბენს და ბაბი გააჩუმოს, როცა მამამისს დასცინის რომელიღაც ლეკვის პატრონი.

— აბა, ისევ შენ მითხარი, რა ვქნა? — დაიბნა მამაჩემი.

დირექტორი არ უსმენდა, ქუდი დაეხურა და შინ წასვლას აპირებდა. მამაჩემმა უმწეოდ მიმოიხედა ირგვლივ. იქით ბობა იდგა დაღვრემილი, აქეთ მე ვაფახულებდი მშვიდად თვალებს. ბობას გვერდით მასწავლებელი ედგა, ულვაშებზე კვამლი ეკიდა. მასწავლებელმა მამაჩემს თვალი ჩაუკრა.

— ამხანაგო ჩალოიან! — დაიძახა მასწავლებელმა, — ვარაგ... ამხანაგო ჩალოიან! — მოგვიახლოვდა მასწავლებელი, — მიიღე ეს ბღარტი!

დირექტორმა ორჭოფულად შემოგვხედა.

— კაცო, დაიგვიანეს, ამხანაგო ჰახუმიან!

— კაი ბალღია. კაი ძაღლიცა ჰყავთ. ვარაგავანქის დარაჯი წითელი ძაღლი გახსოვს? აი, ერთად რომ წავედით, მე რომ წაგიყვანე?!..

ის მოაგონებდა, რომ ორივენი ერთი კუთხისანი იყვნენ და ამ კუთხის ენაკილოზე ეთქვათ სიყვარულის პირველი აღთქმა; უბრალოდ შეახსენებდა მისი დაბადების ადგილს, იმას, რომ თანამემამულენი იყვნენ და იმასაც, რომ რაღაცას სთხოვდა.

— მერე, შეძლებს კი სწავლას?

თითქოს მეორე კლასის მოსწავლეები ვყოფილიყავით, ყველამ ერთხმად წარმოვთქვით: „შეძლებს!“

— კარგი, რაკი ხ ე ლ თ ნ ა წ ე რ ი კარგი აქვს!..

მამაჩემმა მორჩილად გაიღიმა, თითქოს მოწაფესავით პირობას დებდა ამის შემდეგ „ხელწერას“ ვიტყვიო.

მერე მამაჩემმა ფეხსაცმელების საყიდლად წამიყვანა და ისევ სასწავლებელში მოვბრუნდით. მამაჩემი აუდიტორიაში შევიდა, ჩემი ფეხსაცმელი სხვებისას შეადარა, უკანვე გამოვიდა, ძაღლს დაუძახა და გზას გაუდგა. მე აუდიტორიაში შეველი. ალგებრის გაკვეთილის დაწყებიდან ხუთმეტი წუთი იქნებოდა გასული, კარებთან ბობამ დაიღრინა და იმავე წამს დირექტორის ლეკვის ჯერ კაპასი, მერე კი გულგახეთქილი წკნავილიც მოისმა. მე ხელი ავწიე, ასე და ასეა-მეთქი საქმე, ნებართვა ვითხოვე და გარეთ გამოველი. ამასობაში კი ბობა ლეკვსა ჯენჯავდა.

— ბობ, გადი! — ვუთხარი მე.

მან კუდი გააქიცინა. კაი ხანს ვარწმუნებდი, მთელ წელს, ზაფხულამდე აქ ხომ ვერ დარჩები, ცხვარს ვიღა მიხედავს-მეთქი. ის ყოყმანობდა. მინდოდა, ყველაფერი ისევ თავიდან ამეხსნა, რომ აუდიტორიიდან მასწავლებელი გამოვიდა.

— ჰოვივიან, რა ამბავია?

— ახლავე მოვალ, ამხანაგო ჰახუმიან, ერთი ამას რაღაცას შევასმენ!

— მიდი, აბა, შეასმინე.

ისევ ავუხსენი. ისევ კუდს აქიცინებდა. ბოლოს იძულებული გავხდი, მოვალეობა მომეგონებინა.

— სად არის შენი ცხვარი? მოუსვი აქედან! აბა!

წავიდა.

— ეეჰ, გაგიჭირდება ალგებრაში!

— სკოლაში ხუთი მეწერა.

— მართლა?

— არა, — ვთქვი მე, — მაგრამ ლიტერატურა მიყვარს. გეოგრაფიაც. ამ საგნებში მართლა ხუთოსანი ვარ. ალგებრაში ისე მიწერდნენ. კაი ძაღლი იყო არა? ოთხნი ძმანი არიან, ოთხივენი ერთმანეთსა ჰგვანან. ჩვენს მთაზე ფარამ გადაიარა, იმ ფარას დავსხლიტე. ერთი ბეწოები იყვნენ, მოზრდილი კარტოფილი რომ გინახავთ, იმხელები. მერე პატრონმა მოაკვლია, მიჰყავდა. ერთი ცხვარი მივეცით, და თავი დაგვანება. ფერმის გამგემ ცხვარი მოისაკლისა, ჩვენი საკუთარი ჩავაყენეთ იმის ადგილას. ამაზე კიდევ დედაჩემმა ატეხა ერთი ამბავი; მერე ვუთხარით, მგელმა შეგვიჭამაო.

— ეჰ, ჰოვივიან, გაგიჭირდება ცხოვრება.

ცხოვრებისა რა მოგახსენოთ და, ალგებრა კი მიჭირდა. ერთხანს ამხანაგი ჰახუმიანი მიძახებდა და იოლ რაღაცეებს მიხსნიდა. ესენი მესმოდა. მერე ამ იოლი ამბების ურთიერთკავშირზე გადავდიოდით და, როცა მეგონა, ცოტაც და ნამდვილი ალგებრა გამოვა-მეთქი, სიტყვას შეწყვეტდა და გაიღიმებდა. აქედან უკვე ვხვდებოდი, რომ თავში არ შემსვლია არც იოლი ამბები და არც მათი ურთიერთკავშირი. ის არ მსაყვედურობდა. არც მაინცდამაინც მე ვიწვებოდი სირცხვილით. მერე ჩემი გამოძახება სულაც შეწყვიტა. ჩემი სახელის გასწვრივ ერთ წამს შეჩერდებოდა, თავს გაიქნევ-გამოიქნევდა და ორიანს ჩამიწერდა.

მე კი თავში მთები მიტრიალებდა, ძაღლები — როცა სიბნელეს ელვა-ქუხილი ბზარავდა, ისინი კი ერთი გნიასით მისდევდნენ მგლებს.

მესამე მეოთხედის ბოლოს, როცა ალგებრაში მესამე ორიანი გამომყვა, დირექტორმა ქვეშქვეშ ჩაიცინა.

— მ-შ, შენ იღებდი, ის კიდევ გიწერდა, ჰა?! ეს შენთვის პრინციპად ქცეულა: შენ იღებ, ისინი — გიწერენ. წადი სახლში, შენი აქ დარჩენა არა ღირს!

ამხანაგმა ჰახუმიანმა, არც აცივა, არც აცხელა, აიღო და, იქავე ორიანი სამიანად გადამისწორა. მერე სათვალის ზემოდან დიდხანს მიმზერდა მამასავით, პაპასავით. მე კი არც ვფიქრობდი შვილივით ან შვილიშვილივით მისთვის მადლობა გადამეხადა. გონებაში მთები მიტრიალებდა: როცა მამაჩემის სალამურის ჰანგი სავსე მთვარეს ამოიტყუებდა და თათებზე თავჩამოდებული ძაღლები ძილბურანში ყურს მიუგდებდნენ მდუმარებას, ჩემს ცხრა ძმას კი ერთმანეთის გვერდით ტახტზე ეძინათ და ოდნავ გაღებულ პირში მოუჩანდათ მსხვილი სავაშლე კბილები.

ბოლო მეოთხედშიც სამიანი დამიწერა, მაგრამ ამაზე ერთი ამბავი დააწიეს და წერით გამოცდაში ორიანი შემრჩა. ორიანს, შეცდომით რომ ამოხსნი, მაშინ გიწერენ, მე კი შეცდომით არ ამომიხსნია; უბრალოდ, სუფთად გადავწერე მოცემულობანი და ოცნებით მთებს მივაშურე. იქიდან დირექტორმა უკანვე ჩამომიყვანა, — ამოხსენიო. მისი აზრით, ცხოვრება ამოცანები და მათი სწორად ამოხსნაა.

„ხელწერა ხომ კარგი მაქვს!“ — გავიფიქრე მე და ისევ მთებში წამიღო ოცნებამ. ჩემს გვერდით მჯდომარე გევორქმა ჩემი ფურცელი აიღო, ცოტა დაფიქრდა, მერე — ადვილიაო — და ამოხსნა.

— ეს შენი ხელი არ არის! — მითხრა დირექტორმა.

— რა მნიშვნელობა აქვს, — ვთქვი მე, — ამოცანებზე პასუხები ხომ გაცემულია! ამოუხსნელი საკითხი ხომ აღარაფერია?..

ამხანაგი ჰახუმიანი სავსებით მეთანხმებოდა, მაგრამ მაინც ორიანი დამიწერა.

— ზაფხულში იმეცადინებ! — და მომეჩვენა, რომ სხვის სიტყვებს იმეორებდა.

— მთებში ამოცანების ამოხსნა შეუძლებელია, — ვუთხარი მე.

დირექტორმა გაცინება დააპირა, მაგრამ ჰახუმიანმა დაასწრო:

— მართალია, ჩემო ბიჭიკო, მთებს ამოცანები არ უყვართ. მთებს რაში სჭირდებათ ამოცანების ამოხსნა! ისინი მხოლოდ იმისთვის არიან გაჩენილნი, სეტყვამ ჩარეგვოს, ისევ ამწვანდნენ და არც კი დაფიქრდნენ, რომ ამ სიმწვანეს სეტყვა ისევ გაანადგურებს.

— მე ეგ არ ვიცი, მაგრამ მთებში ვერც ერთ ამოცანას ვერ ამოხსნი!

დირექტორმა გულში გაიფიქრა, მასწავლებელ ჰახუმიანს გონება მთლად რიგზე ვერ უნდა ჰქონდესო, მე კი მითხრა:

— მთებში ამოცანებს ვერ ამოხსნი და, გარეთ დარჩები... თუ მათთვის სეტყვის რახარუხს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და თავს არ იტკიებენ ამაზე, შენ თუ გარეთ დარჩები, იმედი მაქვს, არც მაგაზე მოიკლავენ თავს.. წახვალ და მენახირე იქნები!

მე დავემშვიდობე და მთებში წავედი. ჩვენებს ვუთხარი, კუდი გამომყვა, და თუ ვერ ჩავაბარე, გარეთ დავრჩები-მეთქი. სანამ ჯერ დანატრებული თვალებით მიყურებდნენ, ჩემს სიტყვას გულისხმა ვერ დაადევნეს, მერე კი, როცა ცხრა ძმაში ავირიე და დავიკარგე, დედაჩემმა ქიმუნჯი წამკრა:

— იმეცადინე!

ფარეხში კი მწყემსები ვაცს რქებს უსწორებდნენ. მას, იმ ვაცს, თავისთვის მოსახერხებლად და შესაფერისად მიეჩნია, რქები ისე ამოეზარდნა, როგორც ეს ჰქონდათ მის ველურ წინაპრებს — ყურს რომ გარს ევლება და მერე განზე გადის. მწყემსებს კი ეს თვალში არ მოსდიოდათ, არც ჩვენ მოგვწონს და არც ფარას უხდებაო. თონიდან ცხელ ლავაშს იღებდნენ, რქაზე ახვევდნენ, უთბობდნენ და მერე უსწორებდნენ.

— რა თქვენი საქმეა, გაუშვით, როგორც უნდა, რქები ისე ამოიყვანოს და გაიზარდოს! — ვუთხარი მწყემსებს.

— მაგის ნებაზე რომ ვიაროთ!.. — ხვნეშით გაუსწორეს რქები მწყემსებმა.

გაუსწორეს და ერთმანეთის გვერდით ლამაზად გამოუყვანეს თავზე.

მერე წვერი შეაჭრეს.

— აი, ულვაშებიც რომ გაგეკეთებინათ!... — დავიწყე მე.

— მოუხდება ვითომ? — დაეჭვდნენ მწყემსები.

საღამოთი კი, როცა ფარას დაბლა, ბინაში მიელალებოდნენ, ვაცი დიდხანს იდგა გორაკის თავზე და გასცქეროდა შორებს, თანდათან რომ ივსებოდა სიბნელითა და იდუმალებით. თავს ისე იჭერდა, ვითომდა დიდ საფიქრალს ვფიქრობო, სინამდვილეში კი იმისთვის იდგა, რომ ამომავალი სავსე მთვარე რქებზე ჩამოსჯდომოდა. მთვარემ ჯერ შარავანდედში მოიქცია მთელი ვაცი,— შარავანდედის გარეთ რქებიღა დარჩა, — მერე მთვარე ნელ-ნელა დაიძრა და რქების წვერებზე ასვლა დაიწყო. მიცოცავდა, ჰა და ჰა, კიდევ და კიდევ, და

რქების წვერებს მაინც ვერ უწევდა. და ვაცს შეეცოდა მთვარე, ლოდიდან ცოტა დაბლა ჩამოხტა. მთვარე ერთბაშად აფრინდა რქებზე.

— შემოდი, იმეცადინე, სანამ ბალღებსა სძინავთ, — მითხრა დედამ.

— მთვარე ვაცის რქებზე ადის!

— უშენოდაც ავა. შემო, იმეცადინე!

— უჩემოდ ვერ ავა.

შემდეგ, სანამ ზანტი მთვარე იმაზე ფიქრობდა, რქებზე უფრო მაღლა ავძვრე და ვაჩვენო, რომ უსაყრდენოდაც კარგადა ვარო, ვაცმა რქები გამოაცალა, წაიღო და კუდუსუნი მოიფხანა.

— შემოდი, იმეცადინე, — ისევ მეუბნება დედა.

— დაიცა, ე, მთვარე გაწითლდა.

— მაშ არა და, შენ გაგაწითლებს სირცხვილი, ვალი გაქვს დარჩენილი!

— მე არაფერი მჭირს გასაწითლებელი!

— იმეცადინე, ბაბიკ, — მითხრა დედამ, — გცემ!

რომელი მცემელი დედაჩემია! ტირილი უფრო ეხერხება. ქალაქის გარეუბნიდან ტირილით მოეყვანათ რძლად, თავში ისევ ქალაქელი ბიჭების ნაზი მზერა უტრიალებდა და მამაჩემის ფაფახს, ჯაგარმოდებულ სახეს, ცხვარსა. რძესა და ძაღლებს კაი ხანს თურმე ვერა და ვერ შეეგუა. ჩემი სწავლება ხომ სულ ცრემლად დასცლიდა! რაკი ვალი მქონდა გამოყოლილი, ის მიცდიდა, რომ კაბის კალთა თვალებისაკენ წაეღო. თუკი ვიმეცადინებდი, რაღა თქმა უნდა, კალთას მაშინვე ჩამოუშვებდა. და დედაჩემი ატირდა. მაგრამ ეს უკვე მეორე დღეს იყო. მე ვიჯექი, სავარჯიშოებს ვუკირკიტებდი, როცა მოპირდაპირე მთის ფერდობზე ბობას ყეფა გაისმა. ბინის ორმოცივე ძაღლმა ყური ცქვიტა. მერე კვამლის პაწია ქულაც გაკრთა და სროლის ხმაც მოისმა. ძაღლები მაშინვე მოსწყდნენ ადგილიდან. პირველსავე წამებში გამოჩნდა, ყველაზე სწრაფი რომელი იყო მათში. იმის აქეთ-იქიდან, ცოტა უკან, მისი ორი ძმა იყო გაძგიბული. სამივენი შავები იყვნენ, გრძელები. დანარჩენი ძაღლები—სულ თეთრები — ერთმანეთის მიყოლებით გაძაბულიყვნენ პირველის უკან. კუდში წვრილამალა ლეკვები და ჩვენი ათივე ბალღი მისდევდა გუნდად, ყველანი — წითლები! მე ფერმის გამგის ცხენს მოვაფრინდი და ლეკვებს გავუსწარი. ჯერ გვინდოდა ათივენი შევმსხდარიყავით, ვერ მოვთავსდით, იმდენი ადგილი არ იყო. ბობა მგელს გამოსდგომოდა. როცა მივედით, დევნა ჩვენზე მოაგდო. თვითონ ცხვართან დაბრუნდა. თითქმის საღამომდე მთები ვზომეთ გარდიგარდმო. მერე მგელი დავკარგეთ. გავშეშდით, აღარ ვიცოდით, რა გვექნა, რომ ფარასთან ისევ დაიყეფა ბობამ. გამოვიქეცით... ამჯერად თვითონ მისი უმაღლესობა — ბობა გვწინამძღვრობდა. დაიჭირა. დავახრჩეთ. მამაჩემმა დაგლეჯილი ცხვარი გაატყავა და ხორცი ძაღლებს მიანება. როცა მივედით, დედაჩემი ტიროდა.

— რათა სტირი? — შევეკითხე.

— რატომ არ მეცადინეობ?

— დავახრჩეთ! — მივუგე მე.

— თქვენ მგელს კი არა, ადამიანსაც ახრჩობთ, შენა და მამაშენი.

თმაში ჯერ თითო-ოროლა ჭალარა ემჩნეოდა, მაგრამ იმისი სახე მეუბნებოდა, რომ ახლა მთლიანად გათეთრდებოდა. ის კი სულ ოცდათვრამეტი

წლისა იყო. მე მივხვდი, რომ უნდა მემეცადინა. მაგრამ წიგნი დამკარგოდა, ველარ მოვიგონე, იმ ვაი-უშველებელში სად გამვარდა.

— ჩემმა ბიჭმა მგელი დაახრჩო, — თქვა მამაჩემმა საღამოთი.

— მე მგელს კი არა, კაცსაც ვახრჩობ!

— შენ რომ ძაღლებს არ გაჰყოლოდი, ისინი ვერ დაიჭერდნენ, — თქვა მამაჩემმა, — მგელს შიშით ახლო ვერ მიუდგებოდნენ. ტყავი ძალიან გაგიფუჭებიათ. აფსუსი კია, მაგრამ რალა დახრჩობაა, თუ ტყავი არ გაფუჭდება!

— წიგნი დავკარგე, — ვთქვი მე, — აქ მეცადინეობა არ შეიძლება, ხვალ მივდივარ.

ჰახუმიანს ვუთხარი, მთაში მეცადინეობა არ შეიძლება, მაგრამ ალგებრის სწავლა საჭიროა-მეთქი; დედაჩემი ოცდათვრამეტი წლისაა, მაგრამ ჭაღარავდება და თუ კარგად ვისწავლე, აღარ გაჭაღარავდება-მეთქი.

— ძაღლები როგორ არიან? — შემეკითხა იგი.

— ძაღლების პატრონიც!.. — ვეუბნები, — ალგებრა უნდა ვისწავლო, დედაჩემი ჭაღარავდება!

— ჰო, ეს დედები!.. — ამოიოხრა მან.

— თქვენ გყავდათ დედა?

— კი, იმის გულისათვის ვისწავლე.

— ახლა სად არის?

— ვანშია, სასაფლაოზე.

— ვანი თურქეთშია?

— არა, ჰოვივიან, არა! თურქეთია ვანში.

— იმის გულისათვის ისწავლეთ. მერე?..

— მერე ის მოკლეს და მე დავრჩი ეგრე, ჩემთვის.

— ეგრე, „თქვენთვის“, კარგია? — შევეკითხე მე.

— მალე გღლის ცხოვრება.

— მაშ, მალე იღლებით?

— ო, ჰოვივიან, ძალიან მალე, ერთ წელიწადში.

— დანარჩენი წლებიღა?

— სულ ერთი არ არის? დანარჩენი რალა სალაპარაკოა?

— ცუდია ასე! — ვთქვი მე, — მამეცადინებთ ამ თვეს?

— ცუდიც არის, კარგიც, ვინ იცის! ორივე შემთხვევაში იღლები. ერთხელ, როცა ძაღლებით მგელს მისდევ, ასე იღლები. ამის უმალვე, ვთქვათ, სამზარეულოში კარტოფილის საფცქვნელად გეძახიან. თითქოსდა ესეც საქმეა და უნდა გააკეთო, მაგრამ განა ამას საქმე დაერქმევა? ღირდა კი ამისათვის დაბადებულიყო კაცი?

პირველად თითქოს მესმოდა და ვიგებდი ჩვენს საუბარს, მერე, ალგებრისა არ იყოს, ამოხსნა ველარ მოვუძებნე.

— რაც არ უნდა იყოს, — მივუბრუნდი დასაწყისს, — თუ დედაჩემს უნდა, ვისწავლი კიდეც, არა და, სანამდის უნდა დამცინოდეს დირექტორი. უნდა ვისწავლო და მასთან ანგარიშიც გასწორებული მექნება.

— ის ცუდი კაცი არ არის, ჰოვივიან... ის ცხოვრებას სჭირდება. ის რომ არ ყოფილიყო, ჩვენ მოწყენილობისაგან დავიხოცებოდით. ეჰ, ძალიან მოწყენილები ვართ!..

მერე ვიმეცადინეთ. მან ამიხსნა და მეც გავიგე. შესვენებებზე ვლაპარაკობდით: ის ვანზე, მე — მთებზე. ასე იყო ერთი თვე. მე ასჯერ მაინც მოვუ-

ყევი ვაცის ამბავი. თვის ბოლოს, როცა უკვე მთლიანად ალგებრაში ვიყავი ჩაფლული და ერთხელ კიდევ მთხოვა, ვაცისა მითხარიო, მის ჭკვათამყოფელობაში უკვე ეჭვი შემეპარა.

დარჩენილი გამოცდა ფრიადზე ჩავაბარე. დირექტორი განცვიფრებული იყო. გამოსწორებული მოსწავლის მაგალითად კრებებზე ამის შემდეგ ყოველთვის მე მასახელებდა ხოლმე.

— ავიღოთ, მაგალითად, ბაბიკ ჰოვივიანი, საშინელი ნიჭისა და საშინელი სიზარმაცის პატრონი. სიზარმაცეს ჩვენ დავუპირისპირეთ სიმკაცრე და სწორედ იგივე ჰოვივიანი ბაბიკი ფრიადოსანი გახდა.

მე მოკრძალებულ გამომეტყველებას ვიღებდი. მეჩვენებოდა, რომ ჩემში იმ მოკრძალების გარდა, სხვა რაღაცაც იყო, საშინლად კაპასი, საშინლად ანჩხლი და თან არც „ხელთნაწერი“ მქონდა დავიწყებული. მერე ვიგრძენი, რომ ის სიანჩხლე აღარ გაიღვიძებდა ჩემში, ანდა შეიძლება სულაც არ მქონდა იგი, მოკრძალებას კი ამ ქვეყანაზე არაფერი სჯობია.

ჰახუმიანი მალე პენსიაზე გავიდა. პირველად ხანდახან ვნახულობდი, ის ვანზე მიყვებოდა, მე — მთებზე. მან ჩვენი მთები უკვე ზეპირად იცოდა და უკვე ეზარებოდა ვაციცა და მგლებიც.

— სხვა რამე, ჰოვივიან, სხვა რამე!

სხვა მოსაყოლი მე არ მქონდა, სხვა უკვე ალგებრა იყო.

— აჰ, — ხელს ჩაიქნევდა ხოლმე ის. მერე მეტყოდა: — დედაშენი რომ დაბერდება და იმისთვის ერთი იქნება, შენ მასწავლებელი იქნები თუ მწყემსი, ადექი და წადი მთებში, მგელს ძაღლები გამოუყენე და ირბინე... ირბინე... ირბინე... იმდენი ირბინე, რომ...

ის მოკვდა, მე კი სასწავლებელში ალგებრის მასწავლებლად დამტოვეს. ფიქრში ხშირად ბობას ყეფა მესმოდა. მთიდან ჩამოსულებს ვეკითხებოდი:

— ბობა როგორ არის?

— ბობა? — იცინოდნენ ისინი, — ბობა კარგად არის. დაგვაბარა, თავის ძმებს ოცდაცამეტიდან ორმოცდაერთ ნომრამდე ფეხსაცმელები გამოუგზავნოსო, ფეხსაცმელი უნდათო...

და ბობა პატარავდებოდა და ფეხსაცმელში იმალებოდა.

ეუგენიუს იგნატავიჩიუსი

ვაშლის ხე ქალაქის მოედანზე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ლიტვურიდან თარგმნა დალი გოგეშვილმა-ოდიშიანემ

ავტობუსიდან ჩამოსულს წყვდიადი შემოეჯარა. აგრიალდა მოტორი; ბნელში დაბზრიალებულმა თვლებმა წყალი შეაშხეფა და მანქანა რწევით დაეშვა თავქვე, ტყის პირს დაუყვა. თანდათან შთანთქა ბურუსმა წითლად აკიაფებული თვალი, მარტოკა დარჩა ღამის სიბნელეში, ჩემოდანი ჩაებღუჯა, მოკუნტულიყო. ზრიალი გაჰქონდათ მავთულებს. ამჩატებული ღრუბლები ჩრდილოეთისკენ დაიძრნენ, ერთ გუნდს მეორე მიყვა, თანდათანობით დაიქსაქსნენ, დაპატარავდნენ, მათ ადგილზე ერთი სიფრიფანა ხოლიღა გაევლო ცას, მალე ისიც გადნა და უსასრულობას შეერწყო. ფანჯრებში რიგრიგობით ქრებოდა სინათლე. ხალხმა ივახშმა, დასაძინებლად ემზადებოდა. ფარდების მიღმა დაპატარავებული აჩრდილები, თეთრი პერანგები, სითბოს დანატრებული სხეულები ილანდებოდა. ცოტაც და მოცელილებივით მიეყრებიან ნაჯაფარი ვაჟკაცები, თივით, მინდვრის ბალახით გატენილ ლეიბებზე ჩამხობილები სულ სხვა სამყაროში ჩაიძირებიან. ცას კარგი პირი უჩანდა, დაღლილი სოფლის სიმშვიდეს არაფერი ემუქრებოდა. მიმავალს უცნაური, თბილი შური ჩაჭროდა გულში და — გამეტებით ახრიალებდა შარაგზაზე ახლად მოყრილი ხრეშს.

ფოთოლგაცვენილი, გაშიშვლებული ტყიდან გადარეცხილი ახოებისა და დაობებული ჩალის სუნი მოდიოდა. შლამისა და ჭაობის შმორი ერთმანეთში არეულიყო; ცოცხლდებოდა, გონებაში იღვიძებდა ოდესღაც არახრახებული თვლების ხმაური.

აქ ყველაფერი რაღაცას გახსენებს, ყოველ ნაბიჯზე — ისტორიაა. იმ შავად გამომზირალ ქვიშნარში გერმანელები თავიანთ ჯარისკაცებს მარხავდნენ. მოათრევდნენ საწყობიდან გრძელ, შეუღებავ კუბოებს და ჩაუშვებდნენ ვეება

ორმოში. არყის ხის ჯვრები ფხვიერ მიწაში ოლად ერჭობოდა. მათ გვერდით კი ბრჭყვიალა მუზარადების მწკრივი ლაპლაპებდა.

გაღმა, იმ არყნარში, ღამღამობით ფარანმომარჯვებული შეშლილი დილიუსი დაშლიგინობდა, წყალს უგდებდა ჭვავის ყანაში ან კიდევ ახალი ბაღის გაშენებას მოიფიქრებდა, ეგებ პრეზიდიუმში მიმიწვიონო. დაუვლიდა გზის პირს და ოფლში გაწუწული რგავდა ხეხილს.

სილისა თუ ქვის ყოველი მტკაველი საკუთარ წარსულს ინახავს.

თუნდაც ეს ოღრო-ჩოღრო შარაგზა... ვინ ეყოლება უფრო ერთგული, უფრო ცოცხალი მოწმე — იგი თითქოს წიგნია, ჭვავისა და სამყურას მინდვრებში გადაშლილი, სოფლის შუაგულში, კაცთა ცხოვრების შუაგულში მოქცეული.

ამ შარაგზაზე იზრდებოდა, გუნდაობდა, ტყის განაპირას ძროხებს მწყემსავდა. ვინ მოსთვლის, წვიმაში რამდენჯერ შეაფარა თავი ამ გოლიათ მუხას, მინდვრის შუაგულში რომ აღმართულა. დაკაცდა, გამელოტდა, სად არ იარა, ნიადაგს ბურღავდა, ათასი ნაცნობი შეიძინა, მაგრამ მიწის არც ერთი ნაჭერი არ გამხდარა მისთვის ისეთი მახლობელი, როგორც ეს, თითქოსდა მოწყენილი, ტყით შემოფარგლული დაბლობი.

იქნებ იმიტომ, რომ ამ უსწორმასწორო შარაგზაზე ყოველ საღამოს დადის დედამისი? შორიახლო კუდაპრეხილი, ყავისფერი კატა მიყვება, რძის ჭურჭელს მსუნაგად შეჰყურებს. ან იქნებ იმიტომ, რომ ნაწვიმარზე საუცხოო სურნელება ასდით არყის ხეებს? რომ არსად არ არის ასეთი სუფთა, მაღალი ცა და ასე გემრიელი ცირცელის ნაყოფი? და უეცრად დამნაშავედ იგრძნო თავი ამ სახლების, მოლიცლიცე ნათურების, ერთმანეთში ტოტებგადახლართული ხეებისა და უსასრულო სივრცის წინაშე.

შუაღამე მოატანს და სამუდამოდ ჩაქრება ერთი ამ ნათურათაგანი. მაგრამ პირველმა მან რად უნდა წაშალოს ბილიკი მუხიდან ტირიფამდე, ფანჯრიდან ვაშლის ტოტებზე დაფრქვეულ სინათლემდე?

„მარტო არამც და არამც არ დაბრუნდე უკან. ან დედაშენი ჩამოიყვანე ან გამზრდელიო, — უთხრა გამოცილებისას ცოლმა. — არადა, მივატოვებ სამსახურს და ვიცხოვროთ, ბატონო, შენს ას მანეთზე. არ მინდა შვილი საპყარი გამეზარდოს, ქალაქელი მომვლელის აყვანა ყოვლად შეუძლებელია... გაინძერი, როდემდე უნდა იყო ასეთი ქალაჩუნა?“ ეს ხმა, მკაცრი და თან შემბრალე, არ შორდებოდა, გუშინდლიდან ჩაჭედოდა გონებაში. სხვა რამ ძალა მოიცა თუ თვითონ ივაჟკაცა, უეცრად მიატოვა ნახაზები, მივლინება და ამ ოღრო-ჩოღრო შარაგზაზე აღმოჩნდა, ნესტისა და ყინვისაგან მოღრეცილ კარს მიადგა.

იქნებ მოხუცს იქ ერჩივნოს ყოფნა! არც ჭასთან მისვლა დასჭირდება, არც ბოსელში და მინდვრად სიარული. მეტსაც იცოცხლებს, ექიმს მიაკითხავს, კბილებს ჩაისვამს. ადამიანს აღარ გავს. ტანსაცმელი შემოცვეთია, ჯაფისგან წელშია გატეხილი, მოჩვენებასავით დაბორიალობს გამოცარიელებულ ოთახებში. ავად რომ გახდეს, წყლის მიმწოდებელი არავინ ჰყავს. კატა რაში წაადგება.

ნუთუ მართლა ასეა... და ყველაფერი ეს ახლა შეიგრძნო, ამ საღამოს? ადრე, სანამ მუშაობდა, მოგზაურობდა, ერთობოდა, ლუდს წრუპავდა?.. დუმს სიბნელე, დუმან მინდვრები და შენც დუმხარ წყვდიადით მოცულ სახლში,

ღუმელთან, იქ, სადაც ალუბლისფერი ხის ლოგინი იდგა. ტალახში ეფლობი, წებოიანი ტლაპო ფარავს ფეხსაცმელებს.

თითქოს სხვისი ხელით გააღო მონჯღრეული კარი და სამზადში შეალაჯა. ჩემოდანი კუთხეში მიდგა. მკერდზე მიკვრია სველი პერანგი, საკუთარი გულის ფეთქვა ესმის. ღუმელთან ხმადაბლა ბაასობენ. მყუდროება დაარღვია ნაბიჯებმა, გაიჭრიალა კარმა... შუა კარებში დგას ქალი, მომლოდინე, მოჭუტულ თვალებში ღვთაებრივი შუქი ჩასდგომია.

— ჩამოხვედი?!

— დედა... — თქვა მთლად აცახცახებულმა და ხელები მოხვია.

— ხომ ხედავ, ჩემი გაცილების საღამო მოვაწყვე, ყველა ოთახში ავანთე ნათურა. მხიარულება არ გვაკლია. ერთი კვირაა, ვემზადები, რაც შენი ჩამოსვლის ამბავი შევიტყე. შეგაშინე ხომ? ყველა ოთახში სინათლეა. ალბათ დედაბერმა ფეხი გაჭიმაო, იფიქრებდი. არა, ჯერ სამაგისოდ არ მცალია, სამოგზაუროდ ვემზადები.

ბედნიერი და მხიარულია დედაჩემი. ძმები ცირცელივით შეჭინჭილებულან, მადიანად შეექცევიან დედის ნახელავს, — კარტოფილით გამოტენილ, ოხშივარავარდნილ შიგნეულს *, რამდენიმე ბოთლი ღვინოც გამოსცალეს.

სუფრა ვერ იტევს ხორაგს. ირგვლივ შემწვარი ბურვაკის ხორცისა და ტაფაზე აშიშხინებული კუპატის სურნელება დგას. მან იგრძნო — თანდათან როგორ აუჩქროლდა სისხლი, მოუდუნდა მკლავები.

— მეცხრე ჭიქას ვსვამ, საცაა გათენდება, — მხიარულად ჭუკჭუკებს დედა.

გაიჭახუნეს სასმისებმა. ყელი შეუფაკლდათ მამაკაცებს, საუბარსაც მოება თავი: რა ჯობია ქალაქში ყოფნას! სამოთხეში იცხოვრებს — არც ფეხით სიარული მოუწევს, არც შეშის ჩეხვა. ზედ ცხვირწინ გაუჩერდება მანქანა, მაღაზიამდე ხელად მიასრიალებს. თბილ აბაზანაში იყურყუმელავებს, ჩართავს ტელევიზორს და წრუპავს ყურძნის წვენს. ჭამს, რაც არ უჭამია, ნახავს, რისი ნახვაც მოუნდება. ისეთი რამეები ელოდება, არც დასიზმრებია. ახლა სახლის ფანჯრებს არ იკითხავ, კედლებს, მინებს, ორანჟერიებს!..

— გოჭს მე გავზრდი, ძროხასაც მოვუვლი, ფულსაც გადაგიხდი, რამდენიც გიღირს. შეეჩვევი — მერე ვნახოთ, საით გადაიხრება სასწორი, — ხვნეშით ეუბნება შავგვრემანი ძმა, ჯირკის გადანაჭერს რომ დამსგავსებია, — ჩემთვის რომ შემოეთავაზებინათ ასეთი რამ, არც დავფიქრდებოდი, — ამოიოხრა.

— სამსახური გაგვითავდება თუ არა, თავს მოვიყრით და შუალამემდე ვიჭუკჭუკებთ. აქ კი ვინ გყავს გამომლაპარაკებელი, კატა? ჭკუაზე შეგშლის მარტოობა. მერე კიდევ, ვერც იგრძნობ, ისე თვალ და ხელშუა გაიზრდება ის ეშმაკის ფეხი, — ხელების ქნევით უმტკიცებს მეორე, სახეაჭარხლებული და გულჩვილი ვაჟკაცი.

შავგვრემანი გაჭიმული ზის, ღილები ღაბაბამდე შეუკრავს, გაყრონჭილია, ცალყბა ღიმილი დასთამაშებს სახეზე.

— იმ ნაკვეთსაც მე ავიღებ, თუ გინდა, — ენაწყლიანობს იგი, — კარტოფილს დავთესავ. შემოდგომაზე ვნახოთ, რა იქნება. ჩაწერას ნუ იჩქარებ.

---

* ლიტვური კერძი — „ვედარაი“.

— წყალში თევზი ვის დაუფასებია, — ამბობს ჩაფიქრებული დედა და შეფაკლული ლოყები უთეთრდება.

— დაუჯერე შენიანებს, — ურჩევს შავგვრემანი.

— უკანდასაბრუნებელი ფული, ყოველი შემთხვევისთვის, იქონიე. თუმცა არა მგონია, ამ დასაქცევში მობრუნება მოგინდეს. რა ჭანჭრობია, ფეხები დაგალპება კაცს. ბრიგადირთან და თავმჯდომარესთანაც არაფერი გექნება სათხოვარი, თავს არ დაიმცირებ. იცხოვრებ დედოფალივით.

— რახან საჭიროა, ასე იყოს, — თქვა დიდი ხნის დუმილის შემდეგ დედამ და სტუმრებს კერძი შესთავაზა.

შუალამისას ძმა წასასვლელად მოემზადა. ორივემ კარებამდე მიაცილა. გამოემშვიდობნენ და მარტონი დარჩნენ.

დუმან. ყურს უგდებენ ღამის ჩურჩულს. კარადის მიღმა, ქაღალდებში, თაგვი ფაჩუნობს. დედამ კარგა ხანს უყურა განჯინის თავზე ჩამოკიდებულ სურათს, ეკლისგვირგვინიან გამოსახულებას და ფერმკრთალი ტუჩები აამოძრავა:

— ჩემი მიცვალებული სხვას აგონდება. თავს მოიყრიან სულთა მოსახსენიებლად, მოთქვამენ, გალობენ. ჩემიანებიდან კაციშვილი არაა, ისეთი ბოლმა შემომაწვება გულზე... ადრე მამაჩემი მაკითხავდა... ჯოხდაბჯენილი რომ შემოიხედავდა ქოხში, გულზე მომეფონებოდა, თითქოს მოქუფრულმა ცამ გამოიდარაო... ხანდახან მომეჩვენება, რომ შენ მეძახი. მუდამ ფრთხილად იცოდი ფანჯარაზე დაკაკუნება თავშეყრილან დაბრუნებულმა, დედა არ შევაშინოო. წამოვდგები, გავაღებ კარს და — არავინაა, ცივი ქარი ზუზუნებს, ერთმანეთს ახლის ტოტებს.

— გაგიჭირდება მარტო ცხოვრება.

— დღისით მავიწყდება. ვსაქმიანობ, მეზობელთან გადავალ. საღამოობით რომ შემომაწვება ნაღველი...

გაქვავებული მიფიცხებოდა შეთეთრებულ ღუმელს; ჩამონგრევას გადარჩენილი დირე და ჭერი ქამთა სიავისაგან კიდევ უფრო ჩამოზნექილიყო. ფარღალალა კედელში სუსხი ატანდა და ის ცოტაოდენი სითბოც გაჰქონდა.

— ახალი ღუმელის აშენება ურიგო არ იქნებოდა, — წამოიწყო მან, გუნების გამოსაკეთებლად.

— იმ კუთხეში, — თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო, განაგრძო, — ჩვენ ვისხედით, ახალდაქორწინებულები. მოხუცები და ბავშვებიც გვეხვია. სახელოსნო მაგიდაზე მაჭანკალი ჩამოახრჩვეს *. იმ მაგიდაში ცხონებული ბაბუაშენი სასმელებს ინახავდა. მიართმევდნენ სამაღარიჩოს და მაშინვე უჯრისკენ გააქანებდა; გუნება რომ წაუხდებოდა, მაშინლა ამოიღებდა და რამდენიმე ყლუპს დალევდა, გამხიარულდებოდა და მერე ისევ ქოშებს ჭედავდა. მეც ვყიდულობ ხანდახან ნაყენს. ცოტას მოწრუპავ და მაშინვე მოგეშვება დარდი. შენ რაღას აკეთებ?

— ქალაქში გავდივარ ხოლმე, წიგნს წავიკითხავ. სადაა საფიქრალი დრო.

— არ გრჩება ხომ? ჩემზე თუ გიფიქრია ოდესმე?

თვალები დახარა. მართლაცდა, ამ ბოლო დროს უფრო და უფრო იშვიათად

---

* ლიტვური ჩვეულების თანახმად, ქორწილზე მაჭანკლის ჩამოხრჩობის სცენას გაითამაშებენ, ვითომცდა ცუდი საპატარძლო ან სასიძო შეარჩიეო.

აგონდება დედა. ადრე კვირა არ გავიდოდა, წერილი არ მოეწერა. ფულის გამოგზავნას, სახლის აშენებას, ოქროს კბილების ჩასმას პირდებოდა. ახლა — თუმანს ძლივს გადაინარჩუნებს დედისთვის და იმასაც ხანდახან თუ გამოუგზავნის. აი, ასე ითიშებიან ადამიანები, ნაადრევად იმარხებიან ერთი მეორის არსებაში.

ძნელია გაწყვეტილი ძაფის გადაბმა.

— მე კიდევ ყოველ საღამოს თქვენზე ვფიქრობ. ყველაზე მოუსვენარი შენ იყავი ჩემს შვილებში. ერთ ადგილზე ვერავინ გაჩერებდა. ვერცხლისწყალივით ხტოდი. სექტემბერში ხარ დაბადებული — ჩიტივით აქეთ-იქით ასკდებოდი.

— აკი დიდხანს ვიხტუნავე. საღამა არ ვბურღავდით და ვეძებდით.

— ყველაფერში თავნებები ხართ. ახლა კიდევ მე მომადექი, ქალაქში გინდა გამომაწყვდიო. ამერევა დედაბერს გონება და ველარ მივაგნებ სახლს...— ჩუმი, გაბზარული ხმით ჩაილაპარაკა.

იგი დუმს. საწოლის თავს გადაყუდებია, გამოსაზამთრებლად შემოტანილ გეორგინებს უმზერს.

— იმიტომ ჩამოგაკითხე, — კარგახნის დუმილის შემდეგ ამოღერღა შვილმა, — ჯაფა შეგიმსუბუქო. იქ ყოფნა გერჩივნოს. მეტი თუ არაფერი, თბილად მაინც იქნები. ვთქვათ და ავად გახდი, ან უეცრად შეტევა მოგივიდა, ან კიდევ...

— დაგჭირდით! მე არ მითხოვია დახმარება, არ შეგხვეწნივარ: — ჩამოდით და აქ იცხოვრეთ-მეთქი! არ გინდათ და ნუ ჩამოხვალთ. რამდენადაც შემიძლია, ხელს გიწყობთ, თუ დამცალდა, კვლავაც დაგეხმარებით. თუ ასე გეტკბილებათ ის ასფალტი, მიადექით და ლოკეთ, თქვენი ნებაა. არც იმ წყალსადენს გთხოვთ, ერთ კასრ წყალს როგორმე გავათბობ, დავიბან და გავქათქათდები. მე ვინ დამეხმარა? მარტოკამ გავათრიე ცხოვრება. მშობიაროობის მესამე დღეს სელის შესაგროვებლად წავედი. ახლა თქვენი განზრახვა რომ შევიტყვე. ადგილს ველარ ვპოულობდი, ჩემთვის ვტიროდი. მარტო იმის გაფიქრება მკლავს, რომ აქ აღარ გავივლი, ძროხას აღარ გავდენი საბალახოზე, სოკოს საკრეფად აღარ წავალ, — წარმოვიდგენ და მაშინვე ტირილი ამივარდება. გახვალ ადრიან გაზაფხულზე ტყეში, ყვავილებს თავი ამოუყვიათ, ჩიტებიც თითქმის მობრუნებულან და მზეც ძალამოცემული ბრწყინავს. გულში ისეთი სითბო დატრიალდება, ჭამა გავიწყდება.

ამის თქმაზე სახე გაუნათდა, თვალებში შუქი ჩაუდგა.

— მესმის, დედაჩემო, მაგრამ ჩვენს გასაჭირს რა ვუყოთ. ხეირიანი ძიძა ვერ ვიშოვეთ, საბავშვო ბაღში კიდევ არ მოგვიხერხდა მიბარება. ერთი კაცის ხელფასზე, ხომ იცი, ვერ იცხოვრებ.

— არ უნდა გეთხოვა, შვილო, ცოლი, თუ ოჯახის შენახვა არ შეგეძლო. რაღა კაცი ხარ, ცოლი თუ ამუშავე. რა გაჩქარებდა!

— მე იქნებ კუბოს ფიცრამდე ვერ შევძლო ოჯახის რჩენა, ამიტომ ბერად უნდა აღვიკვეცო? გაჩენილი ბავშვი დასაღუპავად გავიმეტო?

ადგა, სიგარეტს მოუკიდა. ოთახში მძიმედ მიდი-მოდიოდა, ფიცრული იატაკი უსიამოდ ჭრაჭუნობდა.

— ეწევი?

— რას იზამ...

— ალბათ ეგ იმ მხიარული ცხოვრების და იმ სამოთხის ბრალია, მე რომ

ამიწერე. მეც იქ მეპატიჟები, არა? გზარდე, გელოლიავე და ახლა ხელის შესახოცად მიგყავარ იმ უცხო ქალაქში.

— არავინ არ გიპირებს ხელის შესახოცად წაყვანას. ბავშვი წამოზრდილია, ეზოში თუ დაჭირდება გასეირნება ან კიდევ ხანდახან ჩვრებს თუ ამორეცხავ. მოტანით ყველაფერს ჩვენ მოვიტანთ მაღაზიიდან.

— კარგი დედა თავისი ბავშვის თეთრეულს სხვას არ გაარეცხინებს. შენი შვილისა ყველაფერი უნდა გსიამოვნებდეს. შენი ხასიათი რომ მახსოვს, ახლაც გეცოდინება გაბღენძვა და ჭკუის დარიგება. მერე მომდგები: ჭურჭელი არ დაგიდგამს თავის ადგილასო, უსუფთაობაა — ბავშვს ბაცილა ჩაყვებაო; დედა, რა აჩაჩული ხარ, როგორ გაცვიაო და სხვა ამისთანები. მერე წამოიზრდება ის ეშმაკის ფეხი და მიეფიცხე, დედაბერო, ღუმელსო, მეტყვის. თუმცა საიდანღა, აქ თაგვის სამყოფელსაც თუ მოშლი.

— კი, კი, ქუჩაში გაგაგდებთ სამათხოვროდ...

— რა ვიცი, როგორ შევეწყობი იქაურობას, იქნებ უკანვე წამოვიდე.

— ვერ შეეგუები და, ციხეში არ გვეყოლები გამოკეტილი.

— ვფიქრობდი, სანამ საქონლის მოვლა შემიძლია, აქედან ვერავინ დამძრავს-მეთქი. მთავრობაც მეხმარება, ფულს მიხდის, ზრუნ·ვს, ოღონდაც აქ იცხოვრეო. ეჰ, ისევ შენიანი თუ დაგღუპავს. ამდენი ზარალი...

— რა ზარალი?

— გოჭები ვიყიდე. გაზაფხულზე თითოს ათი მანეთი უნდა. ჭრელა მაკედაა. რამდენ სათესლეს მოვუყარე თავი შემოდგომაზე, ამდენი წითელი კარტოფილი ცხოვრებაში არ მქონია. თქვენ რაში გენაღვლებათ ჩემი წვალება. ყველაფერი ქარს წაუღია. მიჩვეული ხართ იოლ ცხოვრებას — დღეობებს, ექსკურსიებს, ექსპედიციებს. არაფრის ფასი არ იცით.

— არაფერი ზარალი არ მოგივა! მოვილაპარაკებთ ძმები, ყველაფერი რიგზე იქნება.

— რადგან გჭირდები, ყველაფერზე ხელი ჩამიქნევია. წამოდი, დედა, აიბარგე შენი სოფლიდან, ჰმ, რა იოლია, თითქოს კაცი გყავდეს მოკლული! იცი რა, მშობლიურ კუთხეს მხოლოდ უვარგისები ტოვებენ! აქაოდა მჭირდებიო, ლამის კუბოთი წამიყვანო აქედან... — დაიღლებოდი ამხელა გზაზე, დაწექი, მოისვენე. უკანასკნელი ღამეა საკუთარ ჭერქვეშ.

დედა სამზადში გავიდა. შვილმა შუქი ჩააქრო და დაწვა. სიბნელეში დანაშაულის შეგრძნებამ უარესად შებოჭა და შეაწუხა.

ნუთუ მართლა ძალით უპირებს დედას წაყვანას?! აქ, დედის გაბერტყილ საწოლში, დედისავე სურნელებაც რომ ახლდა თან, მუდამ გემრიელად იძინებდა. ახლა კი... როგორ გამოიცვალა და დაბერდა ამ ერთ კვირაში! იქ კიდევ ვინ იცის, რა ელის? სამი ოთახის აშენების ნება მაინც მიეცა მმართველს? როგორ გაძლებენ ორ პაწაწკინტელა ყუთში! ხეირიანად ვერ მოტრიალდები. „რაღა იქ გამოვახრჩო დედაბერი, თავის სოფელში დალიოს წუთისოფელი“. ვისთვის დედაბერია და ვისთვის დედა. სამზარეულოში ხომ ვერ დააწვენ მოხუცებულს.

კანკალით, ერთიმეორის მიყოლებით გადაიარეს მოხუცებულთა გადაფითრებულმა სახეებმა, ეზოს კუნჭულში მიყუჟულიყვნენ. თვალი ცისკენ უჭირავთ — ტყის ფრინველი გადაიფრენს ან მინდვრის სურნელებას მოიტანსო

ქარი. სათითაოდ ათვალიერებენ ხეებს, სასწაულივით მოელიან, როდის გაგორდება გავარვარებულ ასფალტზე დაცვარული ვაშლი.

ბეტონის ხიდზე მწყობრად მითუხთუხებენ ზურგგაპრიალებული ავტობუსები. მერე ისინი ქრებიან და დედამისივით თეთრთავსაფრიანი მოხუცის ლანდი ამოცურდება, წითელი აგურის ნატეხები უჭირავს ხელში. მძიმედ, ხვნეშით აუყვება კიბეებს; ათ სართულს აათავებს და ვიწრო, დაბალჭერიან ოთახში ჩაიკეტება. ჩაიკეტება და ფაცაფუცით შეუდგება კარ-ფანჯრების ამოლესვას. ახლა მხოლოდ თავი და აკიაფებული თვალები უჩანს. აგურის სიმძიმემ შეატორტმანა სახლი, საათის ქანქარასავით დაიწყო რწევა. ამოქოლილი ოთახიდან ადამიანის კვნესაღა ისმის...

— რა მოგივიდა, დედა? — ზეზე წამოხტა იგი.

— იქ მიპირებთ, არა, დამარხვას? — ცრემლს იწმენდს საწოლზე თეთრ ქანდაკებასავით წამომჯდარი ქალი.

— დედა, რა გემართება? ჩვენ შენი სიკეთე გვინდა.

— ვიცი, რა სიკეთეც გინდათ. არ ჯობდა აქეთ ჩამოსულიყავით ყოველ ზაფხულს, ყოველ თვეს, ყოველ კვირას?! წაიღეთ, რაც მოგესურვებათ — ხორცი, მურაბა, ხილი... მე ექიმმა ამიკრძალა, მაინც არ მეჭმევა. დავიჯერო, სულ არ გენატრები? ას წელს ხომ ვერ გავძლებ. მოვა დრო, აღარ გეყოლებით; აღარც მოსასვლელი გექნებათ, ძალიანაც რომ მოინდომოთ. თქვენთვის ვწვალობ, ყველაფერი თქვენთვის მინდა მოვასწრო.

დუმს. პერანგისამარა წამომჯდარა დედამისი ლოგინში. წარმოიდგინა ქალაქის ქუჩებში მძიმე ნაბიჯით მიმავალი მოხუცი ქალი. საცოდავად მოკუნტული შეაღებს მაღაზიის კარს, ჩადგება რიგში, და რა მოწყალე თვალებით მიაჩერდებიან ვიღაცეები. წარმოიდგინა დედა, კარტოფილის დასათესი მინდორი რომ წაართვეს, ზაფხულობით ვერც მომკის, ვერც ხილს დაკრეფს და ვერც სოკოს მოსახელავად წავა.

— დავიძინოთ, დედა, — წაილუღლუღა, — ეგებ კარგი სიზმარი ვნახოთ.

— საცაა გათენდება, მამალმა მესამედ იყივლა, წავალ, ჭრელას გამოვწველი, გოჭებს კარტოფილს მოვუხარშავ. ადრე გიყვარდა ბოსელში შეხედვა, საყოლის დათვალიერება. ახლა არც კი გაგიხედავს იქით.

მალე სამზადში ცეცხლი აგუზგუზდა, ნაპერწკლები ატკაცუნდნენ. ღრიჭოდ დარჩენილ კარებში დედის მოძრავი ქულაჯა ჩანს. დაბრეცილ სახეზე ჭარხალს აგლისავს, სახე შეწითლებია, თავსაფრიდან ფაფუკი ჭაღარა ჩამოშლია. ღუმელიდან კატამ ისკუპა, ფეხებში გაებლანდა საუზმის მოლოდინში.

ფანჯრებში შუქმა იძალა. გათენდა. პირველი ყინვით შეკრული ჭაობის სარკე თვალისმომჭრელად გაბრწყინდა. ვაშლის ხეზე გულწითელა აფრთხიალდა. ადგა და ჩემოდნიდან მოსაკითხი ამოალაგა. ოქროსფერი ფორთოხლები თვალისმომჭრელად გაგორდნენ მაგიდაზე.

— ნეტა რათ გინდოდა, რაში ჰყრიდი ფულს... — ჩაიბუტბუტა მოხუცებულმა, ვედროს წაეტანა და კიბეზე დაეშვა.

— არა უშავს, ფულს ვიმყოფინებთ როგორმე... — უპასუხა და თბილი მზერა გააყოლა ეზოში ფუსფუსით მიმავალს.

ლიტერატურული მემკვიდრეობა, ——————

კრიტიკა,

——————————————— პუბლიცისტიკა

ჩესტერფილდი

წერილები ჩემს შვილს

* *

20 ნოემბერი 1739 წ.

ჩემო საყვარელო ბიჭო, შენ რომის ისტორიას სწავლობ ახლა. იმედია, დაკვირვებას იჩენ და არც ძალას იშურებ საამისოდ. ისტორიის თავი და თავი სიკეთე იმ კაცთა სიავკარგის მაგალითებია, ვისაც ჩვენამდე უცხოვრიათ და ვისი მიხედულებითაც საკუთარი დასკვნების გამოტანა გვმართებს. ისტორია გვიღვიძებს სიკეთის ტრფიალს და გვამხედრებს, ჩვენს საქციელს მადლი და სიქველე დავატანოთ. იგი საცნოს ხდის, რაოდენ პატივი მიუგიათ და თაყვანი უციათ დიად და ქველ კაცთათვის სიცოცხლეში ყველა ჟამსა და დროს და რაოდენ დიდებით შეუმოსავთ შთამომავალთაც, როს მათი სახელები სამარადისოდ უკვდავუყვიათ და მათი ხსოვნა ჩვენს დღეებამდე მოუტანიათ. ისტორია რომისა უფრო მეტ მაგალითს გვაძლევს კეთილშობილებისა და სულის დიდბუნოვნებისა, ვინემ სხვა რომელიმე ქვეყნის ისტორია. იქ არავის მიაჩდა საკვირველად, როს კონსულები და დიქტატორები (როგორც იცი, ისინი იყვნენ მათი მბრძანებელნი) გუთანს სტოვებდნენ, რა არის ჯარს მტრის წინააღმდეგ წასძღოლოდნენ, გამარჯვების მერე კი კვლავ გუთანს დაბრუნებოდნენ და დღენი თვისნი მარტოობაში გაელიათ, იმ მარტოობაში, რაიც ათასწილ უფრო დიდებულია ყველა დიდ გამარჯვებაზე! ბევრ დიად კაცს დაულევია ძველად სული სიღარიბეში და სახელმწიფოს ისინი თავის ხარჯზე და-

უკრძალავს. ხომ ესოდენ ღატაკად ცხოვრობდა კურიონი[1], მაგრამ როცა სამნიტებმა დიდძალი ფული შესთავაზეს, უარი თქვა ფულზე და ეს განაცხადა: სიკეთე ის კი არაა, შენ გქონდეს ფული, არამედ ის, ფულის მქონებელთა ზედა ბატონობდეო. აი, რას გვიყვება ამის თაობაზე ციცერონი: „როცა კერიასთან მჯდომს სამნიტებმა დიდძალი ოქრო მიართვეს, უარი თქვა ოქროზე, დიდება ჩემთვის ოქრო კი არა, ოქროს მქონებლებზე ბატონობაა“. რაც შეეხება ფაბრიციუსს, ვისაც არაერთხელ უწინამძღვრია რომაელთა ჯარისათვის და მუდამაც დაუძლევია მტერი, მასთან მისულმა ხალხმა დაინახა, როგორ უჯდა ის კერიას და მიირთმევდა თავის ბოსტანში თავისივე ხელით მოყვანილი ბალახებისა და ძირებისაგან დამზადებულ კერძს. აი, რას გვწერს ამაზე სენეკა: „ფაბრიციუსი, ეს დიდებით მოსილი ბერიკაცი, უჯდა კერიას და გიახლებოდათ თავისი ხელით ამოთხრილ ძირებსო“.

ესპანეთზე გამარჯვებულ სციპიონს როცა ტყვედ ჩაუვარდა გასაოცარი სილამაზის ნორჩი მეფის ასული და უთხრეს, ეს ასული სულმალე ცოლად უნდა გაჰყოლოდაო ერთ-ერთ თავის დიდგვაროვან თანამემამულეს, უბრძანებია: მეფის ასულს არა დააკლოთ, თვალის ჩინივით მოუარეთ, როგორც მამამისის სახლში მოუვლიდნენო. ხოლო როცა მისი მიჯნურიც მონახეს, მეფის ასული ცოლად გააყოლა და ის ფულიც გაატანა მზითევში, რაც მამამ გამოუგზავნა თავისი ქალის გამოსასყიდად. აი, რას გვეუბნება ამაზე ვალერიუს მაქსიმიუსი: „გასაოცარი სიტურფის ქალი უმანკოდ ჩააბარა საქმროსა და მშობლებს, თუმცაღა თავად ყმაწვილიც იყო, უცოლოც და ამასთან ქვეყნის დამპყრობელიცო“ ეს გახლდათ ეგზომ გასაოცარი მაგალითი თავშეკავებისა და სულგრძელობისა, რომ ამით დატყვევებული და მოხიბლული ესპანელები, ლივიუსის თქმით, თურმე ასე იძახდნენ: „მოგვევლინა ჭაბუკი ღმერთების დარი და დაგვიპყრო ჩვენ არა მარტო იარაღითა თვისით, გარნა ხელგაშლილობითა და სიქველითაცო“.

აი, ასეთი გახლავს ჯილდო და საჩუქარი სიკეთისა და მადლისათვის. აი, ასეთი თვისების კაცთ უნდა მისდიო შენც, უკეთუ გწადია განთქმული და მადლმოსილი გახდე. ეს კი ერთადერთი გზაა ბედნიერებისა ამ წუთისოფელში. მშვიდობით.

* *

ოთხშაბათი

ჩემო საყვარელო ბიჭო,

არამც და არამც არ შემიძლია არ შეგაქო, ისე კარგად გეჭირა თავი კვირადღეს მისტერ ბოდენთან. ამ ამბავმა კი დიდი სურვილი აღმიძრა რამდენიმე გაკვეთილი მოგცე ზრდილობისა და კარგი ქცევისა. მჯერა, რომ უთუოდ მოიქცევი მათ კვალობაზე. იცოდე, ვით განათლება, კეთილშობილება და პატიოსნებაა იმის უცილობელი პირობა, კაცთ პატივისცემა და აღტაცება დაიმსახურო, ეგრევე უცილობელია ზრდილობა და თავაზი, რა რომ შენთან საუბარი და სჯა-ბაასი საზოგადოებასა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველას სასურველად და საამურად დაურჩეს. გამოჩენილი ღირსებანი, როგორიცაა პატიოსნება, კეთილშობილება, განათლება და ნიჭი, ადამიანს ხალხის

[1] კურიონი დენტატ მანიუსი (გარდ. დაახ. 272 წ. ჩვენს ერამდე) — რომაელი სარდალი, რამდენიმეჯერ კონსულად ნამყოფი, პლებსის მიერ ფრიად დაფასებული.

უმრავლესობაზე აღამაღლებს. ვისაც ეს ღირსებანი არ გააჩნია, იგი ჯეროვნად ვერც დააფასებს ამას. სამაგიეროდ, ყველამ იცის ფასი მეორეხარისხოვან ღირსებათა, როგორიცაა გულითადობა, ზრდილობა, გულისხმიერება, კარგი ქცევა, რამეთუ გრძნობენ იმათ სიკეთეს და ისიც უწყიან, რაოდენ საამურია ასეთ ხალხთან შეხვედრა.

კარგი ქცევა უმრავლესად გონიერებამ უნდა გიკარნახოს. ერთი და იგივე საქციელი მავან დროს და მავან პირთან სხვა დროს და სხვა პირთან შეიძლება სულ სხვანაირად მოინათლოს. მაგრამ კარგი აღზრდის ზოგიერთი საერთო წეს-კანონი ყველგან და ყველა გარემოებაში ძალაში რჩება. მაგალითად: მუდამ და ყველგან ფრიად უხეშად ხვდება ყურს „დიახ“ და „არა“, თუკი „სერ“ ან „მილორდ“ არ დაატანე, იმისდა მიხედვით, ვის ესაუბრები, ისევე როგორც ფრანგულად ლაპარაკისას უთუოდ „მესიე“, „მილორდ“, „მადამ“ ან „მადმუაზელ“ უნდა იხმარო. შენ, რა თქმა უნდა, იცი, რომ ფრანგები ყველა გათხოვილ ქალს „მადამს“ ეტყვიან, გაუთხოვარს კი „მადმუაზელს“. ასევე ძალზე გაუზრდელი კაცი უნდა იყო, რომ უყურადღებოდ დატოვო ვისიმე შეკითხვა ან უზრდელად უპასუხო, ან ზურგი აქციო და სხვა რამ აკეთო, როცა ვინმე გამოგელაპარაკება. ეს იმას მოწმობს, რომ აბუჩად იგდებ და ღირსადაც არ თვლი არათუ მოსმენისა, არამედ პასუხისაც. მგონი, არ დამჭირდება იმის თქმაც, რომ უზრდელობაა ოთახში ყველაზე მოხერხებული ადგილი დაიკავო ან სხვას არ შესთავაზო და ისე ეტაკო იმ კერძს, რომელიც მოგეწონა. მაშასადამე, შენ არად აგდებ იმ ხალხს, ვის წრეშიც იმყოფები. პირიქით, რაც შეიძლება მეტი თავაზის გამოჩენა გმართებს. კარგი ქცევის უზენაესი წეს-კანონი იმასაც კი მოითხოვს, შენი ზრდილობა ამასთან ბუნებრივი და ლაღი იყოს და შენს ჭეშმარიტ ჯენტლმენობას მოწმობდეს. აბა, კარგად დააკვირდი ფრანგებს, რარიგ გასაოცრად დახვეწილან ამ საქმეში. მათი ზრდილობა და თავაზი ისევე ბუნებრივი და უშუალოა, როგორც ყველა მათი საქციელი. რაც შეეხება ინგლისელებს, ყველაფერში ტლანქნი არიან. ზრდილობის გამოჩენის დროსაც ისე მოიქცევიან და ისეთი გაუბედაობა მოეძალებათ, ყოველგვარი ცდა სამარცხვინოდ ეფუშებათ. ჩემი თხოვნაა, თავის დღეში არ შეგრცხვეს ისე მოიქცე, როგორც საჭიროდ მიგაჩნია. სირცხვილი ისაა, თუკი უზრდელად მოიქცევი, თორემ ზრდილობა რა სამარცხვინოა? ან რად არ უნდა უთხრა ადამიანებს საამური სიტყვები ისევე ლაღად და უბრალოდ, როგორც საათს ჰკითხავდი? ფრანგებმა დიდებულად მონათლეს ამგვარი სიმორცხვე, როცა ცრუ სირცხვილი შეარქვეს. იგი ფრიად სახასიათოა ინგლისელი ხეპრეებისათვის. შიშით კანკალებენ, თუკი საზოგადოებაში ვინმე დაელაპარაკათ, შეკითხვებზე ფერფური მისდით, ბლუკუნებენ რაღაც სისულელეებს და მართლაც სასაცილოს ხდით იმის უსაფუძვლო შიში, ვაითუ დაგვცინონო. კარგად გაზრდილი კაცი მეფეებსაც ისე ძალდაუტანებლად, ბუნებრივად დაელაპარაკება, თითქოს აგერ შენ გელაპარაკებოდეს.

გახსოვდეს, რომ მხოლოდ ზრდილ კაცს და ისიც ლაღად, ბუნებრივად ზრდილს (რაც გახლავს სწორედ ნიშანი კარგი აღზრდისა) სიამით შეხვდებიან და შეიყვარე-

ბენ კიდეც საზოგადოებაში, რომ ცუდად გაზრდილი და ტუტუცი პირდაპირ აუტანელია და ყველა შეეცდება მის მოშორებას, რომ მორცხვი უთუოდ სასაცილო გამოჩნდება. რახან მწამს და მჯერა, რომ დაიმახსოვრებ და კიდეც გამოიყენებ ამ ჩემს რჩევას ცხოვრებაში, იმედი მაქვს, როცა ცხრა წლის გახდები, არათუ დიდებული შეგირდი, დიდებულად აღზრდილი ბიჭიც იქნები ყველა შენს თანატოლთა შორის ინგლისში. მშვიდობით.

* *

სპა, 6 აგვისტო, 1741 წ.

ჩემო საყვარელო ბიჭო,

ძალიან გამახარა შენმა გამოგზავნილმა რამდენიმე ნამუშევარმა და დიდად მაამა მისტერ მეტერის წერილმაც, სადაც უფრორე ქებას გასხამს, ვინემ წინაში. Laudari a laudato viro[1] მიწყივ უკეთილშობილეს მისწრაფებად ითვლებოდა ყველგან და ყოველთვის. ჰოდა, ეცადე უფრო გაიღვივო ეს წადილი და ამას მერმეც მრავალგზის დაიმსახურო ქება იმისა, ვინც თავად არის ქების ღირსი. ეცდები ამას, ჩემგან მიიღებ ყოველივეს, რასაც ისურვებ. არ შეეცდები და ნურაფერს მომთხოვ.

თურმე ნელ-ნელა იწაფები თხზულებათა წერაში და ეს მე ძალიან მახარებს. იგი მიგაჩვევს დაუფიქრდე ზოგიერთ საკითხს, რაიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვინემ ჯეროვან წიგნების კითხვა. ამიტომაც მომწერე, გეთაყვა, რას ფიქრობ ამ სიტყვების თაობაზე:

Non sibi, sed toti genitum se credere mundo.[1]

ეს ის სიტყვებია, რაც ლუკანს უწერია კატონზე. კატონი რაცხდა თურმე, რომ გაჩნდა იგი არა თავისთვის, არამედ მთელი კაცთამოდგმისათვის. ჰოდა, მომწერე, როგორ გგონია, რისთვისაა ადამიანი გაჩენილი, იმისთვის, რომ თავის თავს მოუტანოს სიკეთე და თავისთვის მოიმკას, თუ მისი ვალია არგოს რაღაცა საზოგადოებას, სადაც ის ცხოვრობს, სიკეთე უყოს მთელ კაცობრიობას. დიახაც აშკარაა, რომ ყოველ კაცს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ის ამბავი, საზოგადოებაში რომ ცხოვრობს. მარტო რომ ეცხოვრა, ეს უპირატესობა არ ექნებოდა. ხოლო რახან ასეა, განა ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოების წინაშე რაღაც ვალი ადევს? განა მოვალე არაა სხვებისთვის ის გააკეთოს, რასაც ისინი მისთვის აკეთებენ? შენ მომწერე ამის თაობაზე გინდ ინგლისურად და გინდ ლათინურად, როგორც მოგეხერხოს. ჩემთვის მთავარია შენი აზრები და არა ენა.

ბოლო წერილში მე გაგაფრთხილე ცუდი, ტლანქი ქცევების გამო, რაც ბევრს სიყრმითვე ესისხლხორცება, რამეთუ მშობლებს თავის დროზე რაღაც გამორჩათ, რაღაცას ვერ მიატანეს ყურადღება. ასეთი ქცევა მათ სიბერეშიაც მიჰყვებათ ხოლმე. მაგალითად, სულელური მოძრაობანი, უცნაური პოზები და ტლანქი, მოუქნელი თავდაჭერა. მაგრამ არის ამასთან სულის სიტლანქეც, რასაც უნდა ერიდო და რისი თავიდან აცილება დაკვირვების შედეგად აოცთუ ძნელია. არ უნდა აგერიოს და დაგავი-

---

[1] იყო ნაქები ყველას მიერ ქებულისაგან (ლათ.)

[2] ჩათვალე ისე, რომ დაიბადე არა მარტო შენი თავისთვის, არამედ ქვეყნად ყველასათვის (ლათ.)

წყდეს, მაგალითად, სახელები და გვარები. რომ თქვა, „ესა და ეს ბატონი, დაიცა, რა ჰქვიაო“, ან „ესა და ეს ქალბატონი, დამავიწყდა მისი სახელიო“, ან „ღმერთო, შენ გამახსენეო“, მაშასადამე, უკიდურესად გაუზრდელი და რეგვენიც ხარ. არანაკლებ გაუზრდელობაა ადამიანს მიმართო ისე, ნაცვლად „სერისა“, მაგალითად, „მილორდი“ უწოდო და „მილორდის“ ნაცვლად „სერ“ დაუძახო. ფრიად უსიამო მოსასმენია, როცა ადამიანი რაღაცას მოჰყვება, ვერ დაასრულებს, აირევა და გამოტყდება, დამავიწყდაო. რასაც იტყვი, უნდა თქვა სხარტად, გასაგებად და გარკვეულად, თორემ გართობის ნაცვლად მხოლოდ დაღლი და ტვინს აუბნევ შენთა მსმენელთა. არც ის უნდა დაივიწყო, როგორ მეტყველებ და როგორ გამოთქვამ. ზოგი პირს არც ხსნის, ისე ჰყვება რაღაცას და ამიტომ ვერც ვერაფერს გაუგებ. ზოგი ისე მიაყრის ხოლმე და ისე ყლაპავს სიტყვებს, გეგონება, ყრუს ელაპარაკებაო. ზოგი კი ისე ჩურჩულებს, კაცი შვილს არაფერი ესმის. მსგავსი ჩვევები ფრიად უადგილო და უამურია და იმათ ასაცილებლად მხოლოდ და მხოლოდ მუდამჟამ დაკვირვება გმართებს საკუთარ თავისა. ამ ჩვევებით ხელდახელ გამოიცნობ, ვინ არის კარგად აღზრდილი და ვინ არა. შენ ვერც წარმოიდგენ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მსგავსი წვრილმანების ნიადაგ დახსომებას. მე ბევრი დიდად ნიჭიერი კაცი მინახავს, ვისაც საზოგადოებაში ათვალწუნებით შეხვედრიან სწორედ იმიტომ, რომ ეს მეორეხარისხოვანი თვისებანი არ გააჩნია, ხოლო პირუკუ, ვისაც გამოსარჩევი არაფერი არ ჰქონია, ამ თვისებათა მეოხებით ხელგაშლილი შეგებებიან.

* *

ლონდონი, 21 სექტემბერი ძვ. სტ.
1747 წ.

ჩემო საყვარელო ბიჭო,

მივიღე 8-ში ფოსტით გამოგზავნილი შენი წერილი. სულაც არ გამკვირვებია, ეგრე რიგად რომ გეუცხოვა ეინზიდელში პაპისტთა ცრუმორწმუნე შეხედულებანი თუ ის სულელური აბდაუბდა, რასაც ჩმახავენ თავიანთ ეკლესიებზე. ოღონდაც გახსოვდეს, როგორი ტლანქიც არ უნდა იყოს კაცთა მცდარი შეხედულება, უკეთუ გულწრფელია, უფრო შენანების ღირსია, ვინემ დასჯისა თუ დაცინვისა. ვისაც ტვინი დაჰბრმავებია, ისევე საცოდავია, როგორც თვალებდაბრმავებული, ხოლო თუ ვისმე გზა აჰრევია ამის წყალობით, ის არც დამნაშავეა და არც სასაცილო. გულმოწყალება გვკარნახობს, რომ იგი სწორ გზაზე დავაყენოთ და იგივე გულმოწყალება გვიკრძალავს იმის დასჯასა თუ ყბად აღებას, ვისაც ეს უბედობა სწევია. ყოველ კაცს მოჰმადლებია გონება, რომლითაც წინამძღვრობს და უნდა კიდეც იწინამძღვროს, ხოლო წადილი, ყველამ ჩემსავით იმსჯელოსო, იგივეა, რომ ვისურვო, ყველა ჩემი სიმაღლისა და ტანადობის იყოსმეთქი. ყოველი კაცი ეძებს სიმართლეს, მაგრამ მხოლოდ მაღალმა ღმერთმა იცის, ვინ მიაკვლია ჭეშმარიტებას. ამიტომაც უსამართლობა იქნება ჩვენგან ვდევნოთ თუ ყბად ავიღოთ კაცნი იმ შეხედულებისათვის, რაც თავიანთი გონების კარნახით იწამეს მხოლოდ და არც შეეძლოთ სხვანაირად ეწამათ.

საძრახისია ის, ვინც სიტყვასა თუ საქმეში შეგნებით სცრუობს და არა

ის, ვისაც ალალი გულით დაუჯერებია ეს სიცრუე. ჩემთვის მართლაც იმაზე არაკაცური, სულმდაბლური და სასაცილო არა არის რა, თუ არ სიცრუე. სიცრუე იგი ნაყოფია ღვარძლის, სილაჩრისა თუ თავმომწონების, მაგრამ, როგორც წესი, ვერც ერთი ამ გრძნობათაგანი მისი წყალობით ვერ აღწევს მიზანს, რამეთუ ყოველი სიცრუე ადრე თუ გვიან გამოდის სამზეეროზე. მე თუ ღვარძლმა მათქმევინა სიცრუე, რა არის ჩირქი მოვცხო ვისმე პატიოსან სახელსა თუ კარიერას, რაღაც გარკვეული დროის მანძილზე მართლა შევძლებ ამას, მაგრამ დარწმუნებული იყავი, საბოლოოდ ყველაზე მეტად მე დავზარალდები, ვინაიდან რაწამს კი გამჟღავნდება ჩემი სიცრუე (ის კი უთუოდ გამჟღავნდება), მე გამკიცხავენ ჩემი სულმდაბალი საქციელისათვის. მერე კი გინდა წმინდაწყლის სიმართლე ვთქვა ამ კაცზე, მაინც ცილისწამებად ჩამითვლიან. თუ მე ვიცრუებ ან ორჭოფობას მოვიხმარ ფარად (რაიც ერთი და იგივეა) ჩემი რაღაც ნათქვამის გასამართლებლად და ან სირცხვილისა თუ საფრთხის ასარიდებლად, მაშინვე აშკარას გავხდი ჩემს შიშსა და სიცრუეს, საფრთხისა და სირცხვილის არიდების ნაცვლად უარეს სირცხვილსა და საფრთხეს დავიტეხ თავს და თანაც უტიფარ არაკაცად მოვინათლები. ეჭვი არ შეგეპაროს, რომ სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოვიშორებ ამ ლაქას. შიში საფრთხეს უფრო აახლოებს, ვინემ გაშორებს, რამეთუ მალვით ლაჩარნი კილვასა და კიცხვას უწყებენ აშკარა ლაჩართ. თუ კაცმა, მისდა საუბედუროდ, რაღაცა დააშავა, ყველაზე პატიოსანი იქნება მისგან გულახდილად აღიაროს დანაშაული. ეს ერთადერთი საშუალებაა გამოისყიდოს და მიტევება მიიღოს მისთვის. ჩქმალვა, მალვა და თავის დაძვრენა საფრთხის თავიდან ასაცილებლად იმდენად ლირფი საქციელია და ისეთ ფარულ შიშს ამჟღავნებს, მისი ჩამდენი მხოლოდ პანღურს იმსახურებს და, ასე გასინჯე, ხშირად კიდეც აპანღურებენ.

არის კიდევ ერთი სახე სიცრუისა. თავისთავად იგი თითქოს უწყინარია, მაგრამ უკიდურესად უგუნური. მე ვგულისხმობ მისთანა ტყუილს, რაიც უკუდო ამპარტავნობას წარმოუშვია. მსგავსი სიცრუე თავად მიზანსვე არცხვენს, ხოლო მომგონს კი სირცხვილს აგემებს და თავლაფს დაასხამს. ეს სიცრუე მეტწილ მოსდგამთ ამბის მთქმელთ და ისტორიკოსებს, რათა მისი მეოხებით განედიდოს შემთხზველი მისი. სწორედ შემთხზველი გახლავთ მთავარი გმირი თავისი ფანტაზიის ნაყოფისა: მას იმდენაირი და ისეთნაირი საფრთხე დატყდომია, ამ მახეებს მის გარდა ვერა კაცი ვერ დასხლტომია; იგი მოწმეა ისეთ ამბების, რაც სხვებმა ყურმოკვრით თუ წიგნებით იციან მხოლოდ, წილად ხვდომია იმაზე მეტი გამარჯვება, ვინემ თავის სიცოცხლეში ქალი სცნობია; ერთ დღეში მან შესძლო და გაიარა იმდენი მილი, რამდენიც არც ერთ შიკრიკს ორ დღეშიც კი არ გაუვლია. მსგავსი სიცრუე მალე გამოდის დღის სინათლეზე და ტრაბახასაც საყოველთაო ზიზღისა და დაცინვის საგნად ხდის. გახსოვდეს, ვინემ პირში სული გიდგას — მარტოოდენ ჭეშმარიტი სიმართლე შეიძლება იყოს შენი წინამძღვარი ამქვეყნად და მარტოოდენ მის კვალად მავალს არასოდეს შეგირცხვება სინდისი და პატიოსნება. ეს არათუ მოვალეობის გამო უნდა გააკეთო, არამედ საკუთარი ინტერესების გულისთვისაც. ამას ადასტურებს ისიც, რომ წმინდა წყლის რეგვენე-

ბი და ბრიყვები ამავე დროს უდიდესი მატყუარებიც არიან. თუ კარგად დააკვირდები ეგეთ ხალხს, კიდეც დარწმუნდები ჩემს სიმართლეში. მე პირადად ვისიმე გულმართლობას იმითაც ვსჯი, თუ რამდენად ჭკვიანია იგი.

ამ წერილს ალბათ ლაიფციგში მიიღებ. იმედი მაქვს, გულისყურიანი გახდები და წესრიგსაც მიეჩვევი; კიდეც გთხოვ ამას, ვინაიდან აქამდე ერთიცა და მეორეც გაკლდა. გახსოვდეს, როცა ზაფხულში ვნახავთ ერთმანეთს, მე დაკვირვებით აგწონ-დაგწონი და არამც და არამც არ გაპატიებ იმ ნაკლს, რისი გამოსწორება ან თავიდან აცილება შენვე შეგეძლო. არ დაივიწყო ისიც, რომ მ-რ ხარტის გარდა ლაიფციგში სხვა მოთვალთვალეც ბლომად გეყოლება. მშვიდობით.

* *

ლონდონი, 26 ივლისი ძვ. სტ. 1748 წ.

ჩემო საყვარელო ბიჭო,

არის ორი ნაირსახეობა ჭკუისა: ერთი ვერასოდეს ვერ მოუტანს მის პატრონს სახელსა და გამოჩინებას, მეორე კი კაცსა ყოველს სასაცილოდ და სამასხროდ გახდის. სხვანაირად რომ ვთქვათ, არის ჭკუა მცონარე და ჭკუა ზერელე. იმედი მაქვს, შენი ჭკუა არც ერთსა და არც მეორეს განეკუთვნება. ჭკუა მცონარე თავს არასოდეს არ შეიწუხებს, რომ საგანს ჩაუღრმავდეს. პირველი სიძნელენი (ეს კი აუცილებლად შეგხვდება, თუკი გინდა რაიმეს მიაღწიო და ან რაიმე გაიგო) ხალისს უკარგავს გზა გააგრძელოს; მყის დაიკრეფს ხოლმე გულხელს, დაჯერდება მსუბუქ, მაშასადამე, ზერელე ცოდნას და ის ურჩევნია უბირად დარჩეს, ვინემ გაიმარჯვოს და სიღრმეს ჩასდიოს. მისთანებს ბევრი რამ შეუძლებლად მიაჩნიათ, ზოგჯერ მართლაც გულით და სულით სჯერათ, არ შეგვიძლიაო, მაშინ როცა შრომისმოყვარე კაცისათვის, ვისაც შეუპოვრობა და სიჯიუტე გააჩნია, შეუძლებელი არა არის რა. მისთანებისთვის ყოველი ძნელი საქმე განუხორციელებელი ოცნებაა, ყოველ შემთხვევაში, თავს ირწმუნებენ, ასეაო, მარტოოდენ თავისი სიზარმაცის გასამართლებლად. ერთი საათი რომ რაიმე საქმეს ჩაუსხდნენ, ფრიად დამღლელი რამაა მათთვის, ყოველივეს პირველი შთაბეჭდილების თვალით უყურებენ, არასოდეს არაფერს ყოველი მხრიდან არ განსჯიან და არაფერს არ უფიქრდებიან. ამიტომაცაა, როცა ამა თუ იმ საგანზე საუბარი უხდებათ ამ საგნის კარგ მცოდნეებთან, მხოლოდ თავიანთ უვიცობასა და სიზარმაცეს ამხელენ და შესაძლოა ფრიად გამაწბილებელი სიტყვებიც მოისმინონ პასუხად. ამიტომ სასოს ნუ წარიკვეთ, როცა პირველივე სიძნელეს გადააწყდები, ნაცვლად ამისა გამოიჩინე გამბედაობა და ძირისძიროობით ჩასდიე იმას, რაიც ყოველმა ჯენტლმენმა უნდა იცოდეს.

ზოგი მეცნიერება და ხელოვნება მხოლოდ გარკვეულ პროფესიებთანაა დაკავშირებული. ვისაც ამ პროფესიის დაუფლება არ გადაუწყვეტია, არც მაინცდამაინც დასჭირდება მათი შესწავლა. ასეთია, მაგალითად, ფორტიფიკაცია და

ზღვაოსნობა. შენთვის საკმარისია ზერელედ და ზოგადად გაეცნო მათ, ჩვეულებრივ მუსაიფიდანაც ამოკენკო ზოგი რამ და არცთუ ბევრი გამოკითხვა დაგჭირდება საამისოდ. თუმცა ფორტიფიკაციის უკეთ ცნობა შენ იქნებ კიდეც გამოგადგეს, რადგან ამ მეცნიერების ბევრი ტერმინი უკვე შემოვიდა ჩვენს ყოფაცხოვრებაში. კაცი არ უნდა დაემგვანოს მარკიზ დე მასკარილიოს მოლიერის „სასაცილო პრანჭიკელებიდან“, რომელმაც ყური მოჰკრა რა, une demie lune-ო[1], შესძახა: „ღმერთმანი, მართლა მთელი მთვარე იყოო“. მაგრამ რაც ყოველმა ჯენტლმენმა უნდა იცოდეს თვინიერ თვისი პროფესიისა, უნდა იცოდეს კარგად და ბეჯითად. ეს უპირველეს ყოვლისა გახლავს ენები, ისტორია და გეოგრაფია, როგორც ძველი, ისე ახალი, ფილოსოფია, ლოგიკა, რიტორიკა. შენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი ქვეყნის კონსტიტუციისა და სამოქალაქო თუ სამხედრო წყობის ცოდნას. უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს ერთად საკმაოდ დიდ არეს შეადგენს ცოდნისას, რის დაუფლებასაც ცოტა სიძნელე როდი ახლავს და ცოტა ძალ-ღონე როდი სჭირია. მაგრამ საქმიანი, მუყაითი კაცი ყველა ამ სიძნელეს გადალახავს და იგემებს კიდეც ნაყოფს დიდებულს.

ქერქეტა და თავცარიელი კაცი მუდამ და ნიადაგ დაკავებულია. წვრილმანები მას დიდ საქმედ მიაჩნია, დროსა და ყურადღებას სისულელეებს ახარჯებს და არა იმას, რაც თავი და თავია ცხოვრებაში. მისთანა ადამიანებს ფრიად გულმოდგინედ მოუკიდიათ ხელი პაწაწა ლამაზი ნივთების, პეპლების, ნიჟარებისა თუ სხვა რამ საგანთა შეგროვებისათვის. მისთანანი ჩაცმულობას აკვირდებიან კაცისას და არა ხასიათს, პიესის დეკორაცია უფრო მეტად იტაცებთ, ვინემ მისი შინაარსი, სასახლის დეკორაციები უფრო იზიდავთ, ვინემ პოლიტიკა. დროის ასე ტარება მის უქმად დაკარგვას ნიშნავს. ახლა შენს ხელთ დიდი-დიდი სამი წელია. შენ შეგიძლია ეს დრო ნაყოფიერად მოიხმარო, შეგიძლია არა. ოღონდაც გახსოვდეს, რაც არაერთხელ მითქვამს შენთვის. როგორიც სამი წლის შემდეგ იქნები, მთელი სიცოცხლე ის დარჩები. ამიტომაც გემუდარები, კარგად განსაჯო, რა ქნა: ეს დრო უქმად გაატარო მცონარეობაში და სისულელეებზე დახარჯო, თუ ყოველი წუთი ისე გამოიყენო, რომ სულ მალე გიზღოს ყველაფერი, მოგანიჭოს სიამოვნება, შეგიქმნას კარგი მდგომარეობა და კარგი სახელი? მე არც მსურს და არც ძალმიძს ეჭვი შევიტანო შენს არჩევანში. იკითხე შენი გონების სარგო წიგნები, შეისწავლე ესა თუ ის საგანი, ვინემ ძირფესვიანად არ დაეუფლები და ყოველივეს არ გაიგებ მის ირგვლივ. საზოგადოებაში რომ იქნები, ეცადე სარგო საგანზე ილაპარაკო, ოღონდაც ამ საზოგადოებისათვის გასაგები იყოს. ლიტერატურა, სხვადასხვა ქვეყნის ადათები, რაინდთა ორდენები, როგორიცაა ტევტონთა, მალტიელთა თუ სხვა, ცხადია, უფრო საინტერესო საგნებია, ვინემ ამინდსა, ჩაცმა-დახურვასა თუ წვრილმან შემთხვევათა თაობაზე ყბედობა, რაიც არაფერს შესძენს ადამიანს. მეფეთა და დიდ ადამიანთა ხასიათს მარტოოდენ საუბრებიდან გაიგებ, თორემ სიცოცხლეში არავინ არ სწერს მათზე სიმართლეს. ამიტომაც ფრიად ჭკუასასწავლია ამაზე ლაპა-

[1] დემილუეინი, რაველინი (ფრანგ.)

რაკი, თანაც იგი საშუალებას მოგცემს დააკვირდე, ერთი და იგივე ხასიათზე რა სხვადასხვა შეხედულება ექნება თვითეულ შენს მოსაუბრეს მისი შეგრძნებებისა და წარმოდგენების შესაბამისად.

თავის დღეში არ შეგრცხვეს და მოგვერიდოს იკითხო რამე, ვინაიდან თუ ამის მეოხებით რასმე კაიგებ და თანაც ბოდიშს მოიხდი შეწუხებისთვის, არავინ ჩაგთვლის აბეზარად და მოურიდებლად. თავი და თავია, როგორ იკითხავ. ამიტომაც მართალია ანდაზა: „ერთს ცხენის მოპარვა უფრო ეადვილება, ვინემ მეორეს ლობეში შეჭვრეტაო". არ არსებობს თითქმის არაფერი, რისი თქმაც ვერ მოახერხოს კაცმა ნდობის კილოთი, შეპარული ირონიითა თუ გონივრული საბაბის მოშველიებით. საზოგადოებაში თავის დაჭერაც იმის ცოდნაზეა დამოკიდებული, სად რა თქვა და როგორ თქვა. კაცის პირად მომხიბლაობას, გარეგნობას და მეტყველებას ამასთან ისეთი მნიშვნელობა აქვს, დარწმუნებული ვარ, საამურად და მეტყველად ნათქვამი ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება ყველას მოსაწონად დაურჩეს, ხოლო უგერგილოდ და ამრეზით ჩადუდღუნებულმა ყველა გააღიზიანოს. პოეტები ვენერას მუდამ წარმოგვიდგენენ სამი გრაციის თანხლებით. ვინძლო იმის დასტურსაყოფად, მისთანა მზეთუნახავიც უიმათოდ ვერას გახდებაო. მე თუ მკითხავ, ეს სამი თანამგზავრი მინევრასაც სჭირდება, ვინაიდან მათ გარეშე ყოველი მეცნიერება დიახაც მოსაწყენია. ამიტომაც გულითა და სულით შესთხოვე თვითეულ მათგანს ყოველ შენს სიტყვას და მოქმედებას თან ახლდეს მუდამ. მშვიდობით.

* *

ლონდონი, 7 თებერვალი ძვ. სტ. 1749 წ.

ჩემო კარგო ბიჭო,

შენ ახლა იმ ასაკში ხარ, როცა ადამიანს ფიქრის და განსჯის უნარი მინიჭებია. მეც ვიმედოვნებ, რომ ბევრი შენი ტოლისაგან განსხვავებით ამას შენდა სასიკეთოთ მოიხმარ, ჭეშმარიტებას ძირამდე ჩასდევ და შეეცდები რაც შეიძლება მეტი ცოდნა მოიხვეჭო. უნდა კამოგიტყდე (მე მზადა ვარ ჩემი საიდუმლოებანიც გაგიმხილო), რომ არც ისე დიდი ხანია თავად მე დამოუკიდებელ აზროვნებას მივეჩვიე. თექვსმეტ თუ ჩვიდმეტ წლამდე საერთოდ არ ძალმიძდა ფიქრი და განსჯა, შემდეგი მრავალი და მრავალი წლის მანძილზე კი უბრალოდ ვერ გამოვიყენე ეს უნარი. მე ვისრუტავდი შეხედულებებს წიგნებიდან თუ ჩემს ახლომყოფთა საუბრებიდან, არ ვამოწმებდი, მართალია თუ არა ისინი, არ მეშინოდა შემცდარვიყავ. ვერა და ვერ გამომენახა დრო, თავი შემეწუხებინა და ჭეშმარიტება გამომეძია. ისე რომ ცალკე სიზარმაცის, ცალკერძ უწესო ცხოვრების, ცალკერძ ცრუ სირცხვილის წყალობით, რაც ხელს მიშლიდა დამკვიდრებული შეხედულებანი უარმეყო, როგორც შემდეგში თავადაც ჩავხვდი, იმის ნაცვლად, რომ ჩემს მოქმედებასა და საქციელში ჭკუა-გონება გამეხადა წინამძღვრად, ბრმად მივსდევდი მცდარ შეხედულებათ და არხეინად ვურიგდებოდი შეცდომებს. მას მერმე, რაც თავი შევიწუხე და ჩემი ჭკუით ცხოვრება დავიწყე, რაც იმდენი ვაჟკაცობა ვიხმარე და ეს ვალიარე, ვერ წარმოიდგენ, როგორ შემეცვალა შეხედულე-

ბანი, რა ახლებურად წარმომიდგა ყოველივე ის, რასაც წინათ სხვისი ავტორიტეტისა თუ წინასწარ ჩაგონებული აზრების გავლენით ვხედავდი. ეგების დღესაც ბევრ რამეში ვცდებოდე, რამეთუ მრავალი წლის მანძილზე ისე მივეჩვიე შემცდარ აზრებს, ისინი შეხედულებად მექცა. ხომ იცი, რა ძნელია, რაც ერთხელ გაგიჯდა და უკვე ჩვევად გექცა, ის გაარჩიო გონებით და ფიქრით ნაკარნახევისაგან.

პირველი ჩემი შეცდომა (არას ვიტყვი ავი სულების, სიზმრების, მოჩვენებების, დაბნეული მარილის თუ სხვათა თაობაზე, ქალებისა და ბავშვების ცრუმორწმუნე შიშზე) იყო ძველი კლასიკოსების ბრმა თაყვანისცემა, რაც წიგნებმა და ჩემმა მოძღვრებმა ჩამინერგეს. დარწმუნებული ვიყავ, რომ უკანასკნელ ათას ხუთასი წლის მანძილზე ქვეყნად არ შობილა არც ჭეშმარიტი კეთილშობილება, არც ჭეშმარიტი გონიერება, რომ ერთიც და მეორეც პირწმინდად გაქრა მას აქეთ, რაც გაქრა ძველი საბერძნეთი და ძველი რომი. ჰომეროსსა და ვირგილიუსს არ შეიძლება ნაკლი ჰქონოდათ. იმიტომ რომ ისინი ძველები იყვნენ, რომ მილტონსა და ტასოს არ შეიძლება რამე ლირსება ჰქონოდათ, იმიტომ რომ ისინი ახალ დროში ცხოვრობდნენ. მე ლამის მეთქვა ძველების მიმართ ის, რაც ფილოსოფოსისათვის ეგზომ უგნურად და ულირსად თქვა ციცერონმა პლატონზე: „მე ვისურვებდი მასთან ერთად მომსვლოდა შეცდომა, ვინემ სხვებთან შეუმცდარად მემსჯელაო“.

ახლა კი დიდი ძალდატანება არ მჭირდება იმის გასარკვევად, რომ ამ სამი ათასი წლის წინათაც ბუნება იგივე იყო, როგორც ახლა, რომ კაცნი მაშინაც და ახლაც მხოლოდ და მხოლოდ კაცნი იყვნენ, რომ იცვლება მხოლოდ ჩვევები და მოდა. ბუნება კი კაცისა იგივე რჩება. ახლა აღარ ძალმიძს ვიფიქრო, რომ ადამიანები უფრო გონიერნი, ვაჟკაცნი და კეთილნი იყვნენ ათას ხუთასი თუ სამი ათასი წლის წინათ, ისევე როგორც არ შემიძლია ეს ვიფიქრო ცხოველებსა თუ მცენარეებზე. იმას კი გავბედავ და ვიტყვი ძველების გალმერთების პირუკუ, რომ ჰომეროსის აქილევსი პირუტყვი და არამზადა ბრძანდებოდა, ამიტომაც დიახაც არ შეშვენის ეპიკური პოემის გმირობა. სამშობლოს იგი იმდენად არად აგდებდა, როცა აგამემნონს წაეჩხუბა ვიღაცა კახპის გამო, მისი დაცვა აღარ ისურვა. მერე კი, პირადი შურისძიებით ამხედრებული, ხალხს დაერია და ქუჩი გაავლო, თუმცა თვითონ ვერავინ ვერაფერს დააკლებდა, ისეთი ჯავშანი ეცვა. ვშიშობ, აქ რაღაც ტლანქი შეცდომა უნდა იყოს, რადგან საკმარისი გახლდათ თავის სუსტ ადგილზე — ქუსლზე ჩვეულებრივი ნალი მიეკრა. მეორე მხრივ, მეც ვეთანხმები თანამედროვე მწერალთა თავგამოდებულ დამცველთ და დრაიდენთან ერთად ვამტკიცებ, მილტონის პოემის ჭეშმარიტი გმირი სატანაა-მეთქი, რამეთუ ის ზრახვა, რის მიღწევასაც ცდილობს და ბოლოს კიდევაც აღწევს, მთელი პოემის შინაარსი გახლავს. ყველა ამ მოსაზრებათა კვალობაზე მე მიუკერძოებლივ ვასკვნი, როგორც ძველებს, ისე ჩვენს თანამედროვეთ თავიანთი ლირსება თუ ნაკლი გააჩნდათ, თავისი სიავე თუ სიკარგე. პედანტნი და პეიტარნი პირველთ აძლევენ უპირატესობას, პატივმოყვარენი და უმეცარნი უყოყმანოდ არჩევენ მეორეთ.

ჩემი რელიგიური რწმენაც ამის კვალობაზე ფეხდაფეხ მისდევდა ჩემს სიყვარულს ძველი კლასიკისად-

მი. იყო დრო, როცა, ჩემი აზრით, ამქვეყნად ყველა პატიოსანი და რიგიანი კაცი ვერამც და ვერამც ხსნას ვერ ჰპოვებდა, თუ ანგლიკანურ ეკლესიას არ იწამებდა. მე არ მესმოდა, რომ ადამიანის შეხედულებანი დიახაც არაა დამოკიდებული მის ნებაზე, რომ ისევე ბუნებრივია სხვისთვის სხვა აზრი და რწმენა იქონიოს, როგორც ჩემთვის. თუ ორივეს წრფელი გულით გვწამს. სასაყვედურო არც ერთი და არც მეორე ვართ: ამიტომაც ერთსაც და მეორესაც ერთურთის შეწყნარება გვმართებს.

სხვა ჩემი მცდარი შეხედულებანი მაღალ საზოგადოებას შეეხებოდა. მე მაღალ საზოგადოებაში ვაბირებდი თავის მოწონებას. ჰოდა, გადავწყვიტე, არ შეიძლება მეც არ მქონდეს-მეთქი ეგრეთწოდებულ დარდიმანდთა ცუდი ზნენი, მსმენოდა, რომ ეს ყოველივე აუცილებელიცაა, და დავიჯერე კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მრცხვენოდა უარმეყო ისინი, მეშინოდა, სასაცილო არ გამოვჩენილიყავ იმის თვალში, ვინც მე სანიმუშო ჯენტლმენად მიმაჩნდა. ახლა კი სულაც არ მრცხვენია ვალიარო, რომ დარდიმანდთა ეს მანკიერება, რაიც სულ ტყუილად მონათლეს ასე, მხოლოდ და მხოლოდ ჩირქსა სცხებს საზოგადოებაში გამოსული კაცის სახელს და იმათ თვალშიაც ჩრდილს აყენებს, ვისი გულის მოგებაც ეგზომ სწადია. უფრო მეტსაც გეტყვი, მე ვიცნობდი ხალხს, თავს რომ დებდნენ ისეთ მანკიერებაზე, რაც სულაც არ სჩვეოდათ, იმის ნაცვლად, რომ ყოველი მხრივ ეცადათ ის ცუდი მხარეები დაემალათ, რაც მართლა მოსდგამდათ.

გამოიყენე შენი საკუთარი ჭკუა და გაწაფე იგი. ჩაუკვირდი, განსაჯე და გამოიკვლიე ყოველივე, რათა გამოიმუშავო ყველაფერზე საღი, აწონ-დაწონილი შეხედულება, და ουτος εφα,[1], ნურასოდეს დაამახინჯებს შენს აზრთა დინებას, ნუ გაგიმრუდებს საქციელს და დაგიმონებს საუბარში. სიყრმითვე გახდი იმისთანა კაცი, რომ სიბერეში, როცა უკვე გვიან იქნება, გული არ დაგწყდეს. რატომ ასეთი არ გამოვედი. ადრევე ათხოვე ყური შენი გონების კარნახს. იმას ვერ გეტყვი, მუდამ სწორად გიწინამძღვრებს-მეთქი. რამეთუ ადამიანის გონებას უცოდველად ვერავინ შერაცხს, მაგრამ ყველაზე ერთგულად მაინც ის გემსახურება. წიგნები და ადამიანები შენს გონებას დახმარებას გაუწევს, მაგრამ ბრმად კი ნურც ერთსა და ნურც მეორეს ნუ მიენდობი. გამოცადე ისინი იმ ყველაზე საიმედო საზომით, რაც ღვთის განგებით მოგვმადლებია და რასაც ჩვენი ჭკუა-გონება ჰქვია.

მრავალთა დარად საკუთარ ფიქრებს არ გაექცე, აქაოდა თავი არ შევიწუხოო. მთლიან კაცთმოდგმაზე ძნელად თუ ითქმის, აზროვნებსო. თითქმის ყველა მისი ოცნება და წარმოდგენა საიდანლაცაა ნასესხები. ისე კი, რომ ვთქვათ, ვინძლო სჯობდეს ასე. მისთანა ზოგადი შეხედულებანი მეტწილად ხელს უწყობს წესრიგსა და სიმშვიდეს. უარესი იქნებოდა, გაუნათლებელ და განუვითარებელ ადამიანებს ცალ-ცალკე ემსჯელათ. მსგავსი შეხედულებანი ჩვენს ქვეყანაში ცოტა როდია და გულიც დამწყდებოდა, რომ გამქრალიყო. პროტესტანტთა რწმენა. — ბაბი ერთსა და იმავე დროს

[1] ამან და ამან თქვათ (ძვ. ბერძნ.)

ანტიქრისტეც და ბაბილონელი ქახპაც არისო — უფრო ცხოველი საშუალებაა პაპიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინემ ყველა უცილობელი საბუთები ჩილინგვორტისა[1]. მოჩმახულმა ისტორიამ, მელოგინე დედოფალს პრეტენდენტი სათბურათი მოუყვანესო[2], თუმცა არავითარ სიმართლეს არ ეფუძნება, იაკობის მომხრეთ უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვინემ მ-რ ლოკისა თუ სხვათა ნაწერებმა, სადაც ისინი ამტკიცებდნენ არაკანონზომიერებას და შეუსაბამობას მემკვიდრეობის უფლებისა და უსაზღვრო პასიური მორჩილებისა. ხოლო ყოვლად ბრიყვული და ჩვენში ფრიად ფესვგადგმული თვითდარწმუნება, ერთი ინგლისელი სამ ფრანგს მოერევაო, აგულიანებდა ინგლისელს ორს მაინც მორეოდა.

ფრანგი მზად არის თავი შესწიროს ფრანგთა ხელმწიფეს, მაგრამ რომ უთხრათ, თავი შესწირე საფრანგეთის კეთილდღეობასო, ვინძლო უკან არც მოიხედოს, ისე მოკურცხლოს. აი, მისთანა მცდარ შეხედულებათ აქვს გავლენა მდაბიო ხალხზე. მაგრამ განათლებულ, მცოდნე და მოაზროვნე ხალხზე კი ვერ მოქმედებს. ესეც კია, რომ ზოგ-ზოგ სრულიად მცდარ, თუმცა არც ასე აღმაშფოთებელ სულელურ შეხედულებას დიდად პატივს სცემენ დიახაც განათლებული და გონიერი ადამიანები მხოლოდ იმიტომ, რომ თავს არ იწუხებენ გაჩითონ მათი ავკარგიანობა, არ იჩენენ საკმაო დაკვირვებასა და არ ჰყოფნით გამჭრიახობა ჭეშმარიტებას მიაკვლიონ. მე მსურს, რომ შენ აერიდო მისთანა მცდარ შეხედულებებს, რომ თუკი გადაეყრები, ვაჟკაცობა გამოიჩინო და შენი გონება გამოიწაფო.

მე მხოლოდ ერთ მაგალითს მოგიყვან სხვა ათასობით მაგალითიდან. ამ მცდარმა აზრმა ძალუმ მოიკიდა ფეხი ამ უკანასკნელი ექვსასი წლის მანძილზე: ხელოვნება და მეცნიერება თურმე ვერ აყვავდება და გაიფურჩქნება აბსოლუტიზმის ჟამს; სადაც ჭეშმარიტი თავისუფლება არაა, იქ გენია მუდამ შებორკილია. ეს თითქოს დამარწმუნებლად ისმის, თუმცაღა სინამდვილეში სურათი სულ სხვაა. მექანიკური ხელოვნებანი — როგორიცაა მიწისმხვნელობა, ხელოსნობა თუ მისთანანი — მართლაც დაზარალდება, თუკი ხელისუფლება ისეთია, ვერც კერძო საკუთრება და ვერც მონაგები მის ტორებს ვერ აიცდენს. მაგრამ ტირანია რანაირად უშლის ხელს მათემატიკოსის, ასტრონომის, პოეტისა თუ ორატორის გენიას გაიფურჩქნოს, ვერა და ვერ გამიგია. მან მართლაც შეიძლება პოეტს და ორატორს არ მისცეს ნება თავისუფლად ილაპარაკოს ზოგიერთ რასმეზე, მაგრამ ხომ შეუძლიათ გამოამჟღავნონ თავიანთი გენია, თუკი მართლაც გენიოსებია. ნუთუ მწერალს საბაბი აქვს ჩივილისა, გასაქანს არ მაძლევენო, რახან არ უქვეყნებენ მკრეხელურ, უხამს, ძირგამომთხრელ წიგნებს? თავისუფლებისმოყვარე ხელისუფალნიც კი კრძალავენ ამას, როცა ჭკუა და გონება ჰყოფნით საამისოდ. ფრანგი მწერლები ხომ სწორედ ამაზე წუწუნებენ, თავისუფლებას არ გვაძლევენო. მეტწილად, რა თქმა უნდა, უვარგისნი. აბა რა გასაკვირიაო, იძახიან, ინგლისში რომ მაგდენი დი-

[1] ინგლისელი ღვთისმეტყველი, კათოლიციზმის დიდი მტერი.

[2] ლეგენდის მიხედვით ტახტის პრეტენდენტი იაკობ ფრანცისკ ედუარდ სტიუარტი (1688 — 1766 წ.) მეფის სისხლისა არ იყო; დედოფალ მარიას, იაკობ II-ის მეუღლეს, ვითომც შვილი მოუკვდა და პრეტენდენტი სათბურაზე დაგორებული მიუყვანეს.

დი მწერალი გყავთო, მანდ ყველას შეუძლია როგორც უნდა ისე იფიქროს და ისე წეროსო. დასტურ, რომ მართალია, ოღონდაც ვინ უშლის ფრანგებსაც ფიქრს?

ისე კი, უკეთუ მათი ფიქრები მიმართულია იმისკენ, რომ დაამხოს ყოველი რელიგია, მორალი თუ ზნე-ჩვეულებანი, ან დათესოს არეულობა ქვეყანასა შინა, აბსოლუტურ ხელისუფლებას უფრო მოეხერხება ხელი შეუშალოს მათი წიგნების ბეჭდვას და დასაჯოს ამისათვის, ვინემ თავისუფალი ქვეყნის მთვარობას. ოღონდაც ამ ამბებმა როგორ უნდა შებორკოს ეპიკური, დრამატიული თუ ლირიკული პოეტის გენია? ან რანაირად უნდა ჩაახშოს კათედრაზე თუ სასამართლოში ორატორის მჭევრმეტყველება? ხომ დესპოტი იყო ლუდოვიკო XIV, მაგრამ მის დროს გაიფურჩქნენ ისეთი მწერლები, როგორიცაა კორნელი, რასინი, მოლიერი, ბუალო, ლაფონტენი, არაფრით რომ არ ჩამოუვარდებიან ავგუსტუსის დროინდელ მწერლობას. ავგუსტუსის ხანის განთქმული მწერლები კი მხოლოდ მას შემდეგ ამობრწყინდნენ, როცა ამ სასტიკმა და ულირსმა იმპერატორმა რომის ხალხს ბორკილი დადო. თავის აღორძინებას ლიტერატურა განა თავისუფლებას უნდა უმადლოდეს, არამედ ლევ X-ის და ფრანცისკ I-ის მფარველობას და წაქეზებას, რომელთაგან პირველი ყველაზე თვითმპყრობელი პაპი იყო პაპთა შორის და მეორე ყველაზე მტარვალი მეფე მეფეთა შორის. ოღონდაც სწორად გამიგე, არ გეგონოს, უკვე დამკვიდრებულ მცდარ შეხედულებებზე რომ გელაპარაკები, თითქოს თვითმპყრობელობას ვამართლებდე. არა და არა. მე იგი მთელი სულითა და გულით მძაგს და მიმაჩნია ადამიანის ბუნებრივ უფლებებზე ყველაზე ბოროტ და უხეშ ძალდატანებად. მშვიდობით.

* *

ლონდონი, 5 თებერვალი ძვ. სტ. 1750 წ.

ჩემო კარგო მეგობარო,

ფრიად ცოტას ძალუძს გონივრულად მოიხმაროს თავისი ქონება. კიდევ უფრო ცოტამ იცის, ჭკვიანურად როგორ გამოიყენოს დრო. ამ ორიდან კი ყველაზე მნიშვნელოვანი უკანასკნელია. მე გულით მწადია, რომ ერთსაც და მეორესაც გაართვა თავი. შენ ახლა ისეთ ასაკში ხარ, დროა კარგად ჩაუკვირდე ამ საგულისხმო ამბებს. ყმაწვილკაცთ ისე ჰგონიათ, ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვსო, ამიტომაც როგორც არ უნდა დავხარჯოთ, საკმარისზე მეტი დაგვრჩებაო. იგივე ცოდვა მოსდგამთ ხოლმე დიდძალი ქონების პატრონთ, მიჰყოფენ ხელს ფლანგვას და კიდეც კოტრდებიან. ეს გახლავთ ის საკვალალო შეცდომები, რომლებსაც ყველა მაშინ ნანობს, როცა უკვე გვიანია! მოხუცმა მ-რ ლაუენდემ, ვილჰელმ მეფის, ანა დედოფლის და გეორგ პირველის მეფობის ხანს სახელმწიფო ხაზინის განთქმული მდივანი რომ იყო, იცოდა ხოლმე თქმა: „შენ პენსები დაზოგე, თორემ ფუნტები როგორმე მოუვლიან თავის თავსო“. ამ აფორიზმს იგი არა მარტო ქადაგებდა, კიდეც მისდევდა ცხოვრებაში და

მასვე უნდა უმადლოდეს მისი ორი შვილიშვილი, რომელთაც მან კარგა დიდი ქონება დაუტოვა ცალ-ცალკე.

იგივეს თქმა შეიძლება დროზეც. ამიტომ ჩემი რჩევაა გაუფრთხილდე ყოველ წუთს, რაიც იმდენად პატარად მიაჩნიათ, არაფრად აგდებენ. მაგრამ წლის ბოლოს რომ შეაჯამო ეს დაკარგული წუთები, საკმაოდ ბევრი დრო გამოვა. ვთქვათ, შენ ვიღაცას აღუთქვი, თორმეტ საათზე გესტუმრებიო. შენ გამოდიხარ თერთმეტზე, გზაში გინდა კიდევ ორ-სამგან შეიარო სადარბაზოდ. ისინი შინ არ დაგხვდნენ. ჰოდა, ნაცვლად იმისა, სადმე ყავახანაში დაჰკარგო დრო, თანაც მარტომ, დაბრუნდი შინ, დაწერე წერილები, თუკი დასაწერი გაქვს, ან გაშალე რომელიმე კარგი წიგნი. ცხადია, უაზროობა იქნება ამ დროს დეკარტი, მალბრანში, ლოკი თუ ნიუტონი წაიკითხო, რამეთუ მათ გულისხმიერ წაკითხვას ვერც მოასწრებ. მაგრამ გაუშვი ეს იყოს ჭკვიანური და ამასთან გასართობი წიგნი, რომლის წაკითხვა ნაწილ-ნაწილ შეიძლება, ვთქვათ, ჰორაციუსი, ბუალო, უოლერი, ლაბრიუერი თუ სხვანი. შენ მოიგებ დროს და არცთუ ურიგოდ გამოიყენებ. ბლომად ნახავ ისეთებს, ვინც უამრავ დროს კარგავს კითხვაში. კითხულობენ ზერელე, ქერქეტულ წიგნებს, მაგალითად, გასული თუ ახლანდელი საუკუნის სულელურ საგმირო რომანებს, სადაც ისეთი მოსაწყენი გმირებია გამოყვანილი, თავის დღეში რომ არ არსებულან, და მაღალფარდოვანი ენითაა აღწერილი ისეთი განცდები, რაიც თავის დღეში არავის განუცდია. შენ უნდა იკითხო განთქმული პოეტების, ორატორების თუ ფილოსოფოსების წიგნები, რაც კი რომელიმე ენაზე დაწერილა. თუ ამ ჩემს რჩევას მიჰყვები, შენ გამოიყენებ 50 პროცენტს იმ დროისას, სხვები რომ 3—4 პროცენტს ვერ იყენებენ, იქნებ სულ უქმადაც ჰკარგავენ.

ბევრს სიზარმაცე აკარგვინებს დროს, საგარეულში გაშხვართულნი მთქნარებით ირწმუნებენ თავს, რომ ახლა საამისო დრო არა აქვთ საქმე დაიწყონ და სხვა დროს გააკეთებენ. ეს ყველაზე დამღუპველი ჩვევაა და ყველაზე დიდი დაბრკოლება ცოდნის შეძენისა თუ საქმის გაკეთებისას. შენს ასაკში არავის უფლება არა აქვს სიზარმაცისა და არც საბაბი მისი აყოლის. ჩემი საქმე სხვაა, რამეთუ მე ჩემი გავაკეთე და ახლა შემიძლია ჩემს თავს ამის ნება მივცე. შენ კი ახლა გამოდიხარ სარბიელზე და საქმიანი, ბეჯითი და დაუღალავი უნდა იყო. თუ ოღესმე აპირებ ღირსეულად განაგო რაღაც, საამისოდ საკმაო შრომა უნდა გასწიო, სახვალიოდ თავის დღეში არ გადადო ის საქმე, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლია.

ყოველი საქმის სული და გული სისწრაფეა. ხოლო ყოველივე რომ სწრაფად, მარჯვედ გამოგდიოდეს, გარკვეული სისტემა უნდა გქონდეს. გამოიმუშავე ეს სისტემა და არასოდეს არ გადაუხვიო, თუ რაღაც გაუთვალისწინებელი არ შეგემთხვა. კვირაში გარკვეული დღე და საათი დააწესე ხარჯების საანგარიშოდ და ყველა ანგარიში ერთ ადგილას შეინახე. ამით, ჯერ ერთი, დროსაც მოიგებ და მეორეც, არც ისე იოლად მოგატყუებენ. წერილები თუ სხვა რამ ნაწერები აღნუსხე, დასტად შეჰკარი და ზედ შესაფერი წარწერები გაუკეთე, რა არის სწრაფად მონახო ის, რაც დაგჭირდება. გამოიმუშავე აგრეთვე კითხვის გარკვეული სისტემაც და შეეცადე დილდილობით გამონახო საამისო დრო. იკითხე წიგნებიც მიყოლებით და არა ისე, დღეს ერთი წიგნის ერ-

თი ფურცელი წაიკითხო, ხვალ მეორისა.

იქონიე პატარა რვეულიც, სადაც ჩაიწერ წაკითხულზე შენს მოსაზრებას, ისიც დასამახსოვრებლად და არა ციტატების ამოსაკრეფად. ისტორიული წიგნები არამც და არამც არ წაიკითხო რუკების, ქრონოლოგიური ცხრილების თუ ცნობარების გარეშე. გახსოვდეს, უიმათოდ ისტორია მომხდარ ამბავთა უწესრიგო გროვად იქცევა მხოლოდ.

გირჩევ კიდევ ერთ წესსაც, რაც მე დიდად დამეხმარა ჩემი ცხოვრების ყველაზე ქარაფშუტულ ხანაში: მუდამ ადექი ხოლმე ადრიანად და ისიც ერთსა და იმავე დროს, გინდაც რომ წინა ღამეს გვიან დაგეძინოს. ერთი რომ ერთ-ორ საათს მოიგებ საკითხავად თუ საფიქრალად დღის ორომტრიალის დაწყებამდე და მეორეც — ჯანზე კიდეც გარგებს, ვინაიდან სამ დღეში ერთხელ მაინც იძულებული იქნები ადრე დაწვე.

ალბათ შენც მეტყვი სხვა ყმაწვილთა დარად, ასეთი განრიგი ფრიად მოსაბეზრებელია და მოსაწყენ ხალხს თუ გამოადგებაო. მაგრამ შემცდარი კი იქნები. მერწმუნე, თუ ასეთ განრიგს აირჩევ, სამხიარულოდ დროც მეტი დაგრჩება და სურვილიც ამისა უფრო დიდი გექნება. თანაც ერთი თვე თუ მისდიე ამას, მერე უიმისოდ გაგიძნელდება.

ყოველი საქმე უფრო მეტ მადას უღვიძებს და უფრო მეტ გემოს ჩაატანინებს ადამიანს გართობა-სიამოვნებაში, ვითარც პურობის წინ ვარჯიში. უსისტემოდ კი არა საქმე არ გაკეთდება. სწორედ იგი გვანიჭებს იმ აღმაფრენას, რაიც საჭიროა, რომ მეჯლისებმა, სანახაობებმა თუ ასამბლეებმა სიტკბოება განგვაცდევინოს. ვინც დღე თვისი გონივრულად მოიხმარა, საღამოს უფრო მეტი ხალისით მიეცემა სიამოვნებას, ვინემ ვისაც დღე თვისი უქმად უტარებია. გავბედავ და იმასაც გეტყვი, რომ ვისაც მეცნიერებისა თუ სხვა რამ საქმისათვის შეუწირავს თავი, ქალის სიტურფე უფრო მოხიბლავს, ვინემ ჭეშმარიტ დარდიმანდს. უსაქმური კაცის ყოველ საქციელს გულგრილობის ბეჭედი აზის და სიამოვნებაც მისი ისევე უმარილო ჩანს, როგორც უმწეოა მისი ყოველი წამოწყება.

იმედია, შენ დამსახურებული გაქვს შენი გართობა-სიამოვნებანი და ახლა მთელი არსებით ეწაფები. ისიც უნდა გითხრა, რომ ბევრი გაიძახის, სიცოცხლე მიყვარსო, სინამდვილეში კი ჭეშმარიტი ნეტარების არა იცის რა. დაუფიქრებლად დასესხებიან ამ სიტყვას სხვას, თუმცა გემო მისი არც კი იციან. მე არაერთხელ მინახავს, წრეგადასულ სიამოვნებას მხოლოდ იმიტომ დაწაფებიან, აქაოდა, გვიხდებაო, სინამდვილეში კი იმ ადამიანებს ჰგვანან, ვისაც სხვისი სამოსი ჩამოუცვამთ. შესძელი შენი გუნებისად ამოირჩიო გასართობი და ისიც მეტ ლაზათსა და ბრწყინვას შეგძენს მაშინ. აბა მითხარი, რითი ერთობი, რით სიამოვნებ? ხარ კი კარგ საზოგადოებაში და გაქვს იქ შენ ადგილი სუფრაზე? შენი თავაზი, მხიარული გუნება, სიტყვა-პასუხი თუ გარჩევს სხვებში? ქალებს თუ ეარშიყები? გაგიმართლა კი შენმა გრძნობამ? იმედი გაქვს კი, შენი მიჯნურობა გულს მოულბობს ვინმე გოროზ პრინცესას?

ნუ შეშინდები, არხეინად გამანდე ყველაფერი, მართალია, უწესობის და უგუნურობის დიდი მტერი ვარ, მაგრამ სიამოვნებას კი მუდამ ვქო-

მაგრამ და არც არაფერს დავიშურებ, შენ რომ ისინი განგაცდევინო.

როგორც საქმეში, ისე გართობა-დროსტარებაშიც კაცმა ღირსება უნდა შეინარჩუნო. სიყვარულმა ადამიანს შეიძლება გული წაართვას, ოღონდ არა ღირსება. თუკი ამ დროს თავს წააგებს, მაშასადამე, სახელსაც ჰკარგავს. სუფრაზე კაცს შეუძლია ყოველნაირად მოიღხინოს, ისე რომ წესიერების საზღვარს არ გასცდეს, მაგრამ მსუნაგობა კი ღორმუცელად აქცევს; შეუძლია კარტიც ითამაშოს, მაგრამ აზარტული თამაშით კი თავს მოიჭრის, შეუძლია მოსწრებული სიტყვა-პასუხი არ დაიშუროს, მაგრამ უკბილო ოხუნჯობა და როხროხი მასხარად გახდის. ამბობენ. ყოველ სიკეთეს მისი ნათესავი უკეთურობა სდევს თანაო. ამიტომაც აუცილებელია მათ შორის გარკვევით გაავლო ზღვარი. სჯობია იქამდე ერთი იარდი დაგაკლდეს, ვინემ ერთი დიუმით მაინც გადააჭარბო.

გულით მწადია, რომ ჩემი რჩევის თანახმად ისე რიგად ისიამოვნო და დაიტკბო თავი, როგორც მე მანიჭებს სიამოვნებას შენთვის რჩევის მოცემა. ეს კი არც მაინცდამაინც გაგიძნელდება, რადგან მე ისეთს არაფერს გირჩევ, სიამით დროსტარებაში ხეში შეგიშალოს. ჩემი საზრუნავი მხოლოდ და მხოლოდ შენი ინტერესებია, სხვა არაფერი. ენდე ჩემს გამოცდილებას: ხომ იცი, სიყვარულს ჩემსას მთელი არსებით შეგიძლია ენდო.

მშვიდობით.

P. S. აქამდე არ მიმიღია არც შენი და არც მისტერ ხარტის წერილი.

ინგლისურიდან თარგმნა რუსუდან ქებულაძემ

ილია ტოლსტოი

ჩემი მოგონებები

შვილების დახასიათება, ადრეული ბავშვობის შთაბეჭდილებანი. დედა, მამა, ბებია, ჰანა, სამი დუნიაშა, სწავლის დაწყება. სკოლა.

ბავშვობის მოგონებები ვარსკვლავებით მოჭედილი ცაა. ციმციმებს ამ ცაზე უთვალავი ოქროს წერტილი — ზოგი კაშკაშა, ზოგი ფერმიხდილი, ზოგი ახლოს, ზოგი შორს, მაგრამ ყველა ერთნაირად მიუწვდომელი, ყველა ალერსით გვიხმობს და გვიზიდავს. ბავშვურ მოგონებებს თანმიმდევრობა არ გააჩნია. რა იყო ადრე, რა შემდგომ — განა სულ ერთი არ არის? ხომ იყო. და ელავს ეს ვარსკვლავი ჩვენგან შორს, სადღაც ცის დასალიერში.

აი, როგორ უხასიათებს მამა ჩვენს ოჯახს მამიდა ალექსანდრა ტოლსტაიას ერთ ადრინდელ წერილში:

— უფროსი (სერგეი) ქერაა, სასიამოვნო გარეგნობის. რაღაც უმწეო და უდრტვინველი ეძალება გამოხედვაში, თვინიერია. როცა იცინის, არაფერია, მაგრამ თუ ატირდა, თავს ძლივს იკავებ, შენც არ იტირო. ყველანი ჩემს უფროს ძმას ამგვანებენ. შიშით ვერ დამიჯერებია. თუმცა დიდებული კი იქნებოდა: ჩემს ძმას არც ეგოიზმი სჩვეოდა და არც თავგანწირვა, ყველაფერში მუდამ ზომიერი იყო, თავს არავის გადააკლავდა, მაგრამ სიცოცხლეში არც არავისთვის არაფერი დაუშავებია, უბრალოდ, ხელიც კი არ შეუშლია. სიხარულსა თუ მწუხარებას თავისას არავის არ მოახვევდა. სერიოჟა ჭკვიანია, მათემატიკური გონების პატრონი, უყვარს ხელოვნება, სწავლობს ჩინებულად, ემარჯვება ხტომა, ვარჯიში, მაგრამ უგერგილო და დაბნეულია. თავისებურება არ გააჩნია, უფრო ფიზიკური მონაცემებით გააქვს. სერიოჟა ავადმყოფი და სერიოჟა ჯანმრთელი — ეს ორი სხვადასხვა ბიჭია.

ილია მესამეა. ავად საერთოდ არ გამხდარა. ძვალმსხვილია, თეთრი, ლოყაწითელი და გაბადრული. ცუდად სწავლობს. მუდამ იმაზე ფიქრობს, რაზედაც უშლიან ფიქრს. თამაშსაც თვითონ იგონებს. წესიერია და ყაირათიანი. „ჩემიაო", — მისთვის უაღრესად ბევრს ნიშნავს. თამამია და ფიცხი, მუდამ საჩხუბრად შემართული, მაგრამ ამავე დროს ალერსიანი და მგრძნობიარე, თან მსუნაგიც, — უყვარს ჭამა და მშვიდად წოლა. როცა მოცხარის ქელეს ან წიწიბურას ფაფას შეექცევა, სიამოვნებისაგან ტუჩებს ილოკავს. თავისებურია ყველაფერში. როცა ტირის, საშინლად ბრაზობს და არ შეეხედება. თუ გაიცინა, სხვებსაც მაშინვე აიყოლიებს. ყველაფერი, რასაც უკრძალავენ, ხიბლავს და აინტერესებს. ერთი ციცქნა იყო, როცა საუბარს მიაყურა და შეიტყო, დედამისს რომ ბავშვი ეძრა. კარგა დიდხანს უყვარდა

აი ასეთი თამაში: ამოიდებდა ქურთუკის ქვეშ რაიმე მრგვალ საგანს, ნაზად უთათუნებდა ხელს და გაღიმებული ჩურჩულებდა: „ეს ბაიაო“. ეფერებოდა აგრეთვე დანჯღრეული სავარძლის ამობურცულ ადგილებს და თავისთვის ბუტბუტებდა: „ბაიაო“.

ამას წინათ, როცა „დედაენისათვის“ მასალებს ვწერდი, თავისით გაძოიგონა: „ერთმა ბიჭმა იკითხა: ღმერთი თუ დადისო? ღმერთმაც დასაჯა იგი, და ბიჭი მთელი სიცოცხლე დადიოდა...“ მე რომ მოვკვდე... ილია დაიღუპება, თუ არ ეყოლა მკაცრი და თანაც ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი მოძღვარი.

ზაფხულში საბანაოდ წავედით. სერიოჟა მარტო ჯდებოდა ცხენზე, ილიას კი მე ვისვამდი უნაგირზე. დილით გამოვედი, ვხედავ, ორივენი მელოდებიან. ილიას ქუდი ჰხურავს, ზეწარი მოაქვს, გაწკრიალებულია, გაბადრული, სერიოჟა კი უქუდოდაა, ნარბენია, სულს ძლივს ითქვამს. „იპოვე ქუდი, თორემ არ წაგიყვან-მეთქი“, — ვუთხარი. სერიოჟა აწრიალდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, ქუდი ვერ იპოვა. „რა გაეწყობა, უქუდოდ ვერ წამობრძანდები... გაკვეთილი იქნება შენთვის, რახან ყოველთვის ყველაფერი საძებარი გაქვს“. ცხვირი ჩამოუშვა, საცაა აღრიალდება. მე წავიყვანე ილია და თან ვაკვირდები — ნუთუ ოდნავ მაინც არ დაწყდა გული, მისი ძმა რომ დავტოვე-მეთქი? შენც არ მომიკვდე, გაბადრულია და გატაცებით მესაუბრება ცხენზე. ჩვენი წასვლის შემდეგ ეზოში ცოლი გამოსულა და ხედავს — სერიოჟა ტირის. მასაც უძებნია თურმე ქუდი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მიმხვდარა — სერიოჟას ქუდი ძიბამისს დაუხურავს [1], დილაადრიან სათევზაოდ რომ წასულაო. მაშინ საჩქაროდ დაწერა წერილი, სერიოჟა, რაღა თქმა უნდა, დამნაშავე არ არისო. მერე წერილი მასვე გამოატანა და თავზე კარტუზი დაახურა. საცურაო მოედანზე მესმის გამალებული ნაბიჯების ხმა, სერიოჟა ღრიალ-ღრიალით მორბის (გზაში დაუკარგავს წერილი). აქ ილიაც აჰყვა ძმას და მეც ცრემლები მომეჭიანა ყელში.

ტანია რვა წლისაა. ყველანი სონიას ამსგავსებენ. რაღა თქმა უნდა, მიხარია, თანაც უფრო იმიტომ მჯერა, რომ მსგავსება აშკარაა. ის რომ ადამის შვილი იყოს და უმცროსი და-ძმა არ ჰყავდეს, უბედური გოგო იქნებოდა. ყველაზე დიდ სიამოვნებას პატარების მოვლა-პატრონობა ანიჭებს. როგორც ჩანს, ფიზიკურ სიამოვნებას ჰგვრის ჩვილის შეხება. მისი ოცნება და უკვე შეგნებული სურვილი დედობაა. ამ რამდენიმე დღის წინათ ტულაში წავიყვანეთ სურათის გადასაღებად. დამიწყო ხვეწნა, სერიოჟასთვის დანა იყიდე და დანარჩენებისთვისაც საჩუქრებიო — ეს ერთისთვის, ის მეორისთვის. პირდაპირ საოცარია, რა შესანიშნავად იცის ამ პატარამ, ვის რა გაახარებს. მისთვის არაფერი მიყიდია და თვითონაც არ გახსენებია საკუთარი თავი. ჩვენ ვბრუნდებით შინ. „ტანია, გძინავს?“ — „არა“. — „რაზე ფიქრობ?“ — „იმაზე, თუ როგორ მივალთ შინ, როგორ ვკითხავ დედას, ლიოლია ხომ არ გაბრაზებდა-მეთქი. მერე როგორ დავარიგებთ საჩუქრებს, როგორ ითვალთმაქცებს სერიოჟა, ვითომდა არ მიხარიაო, ნამდვილად კი რა გახარებული იქნება“. გონიერებას მაინცდამაინც ვერ დაიქადნის, არ უყვარს ტვინის განძრევა, მაგრამ თავი კი კარგად აქვს მომართული, ბრწყინვალე ქალი დადგება, თუ ღმერთმა ქმარი უბოძა. მზად ვარ უზარმაზარი პრემიით დავაჯილდოვო ის, ვინც მისგან ა ხ ა ლ ქ ა ლ ს შექმნის.

---

[1] სტეფანე ანდრეევიჩ ბერსი.

მეოთხეა ლევი, სანდომიანი, მკვირცხლი, გრაციოზული და კარგი მეხსიერების ბიჭი. ყოველგვარ ტანსაცმელს ისე იხდენს, თითქოს მის ტანზე შეუკერიათო. ყველაფერი უნდა გააკეთოს, რასაც სხვები აკეთებენ, ოღონდ უფრო მარჯვედ. თუმცა ჯერ ხეირიანად არ ვიცნობ.

მეხუთეა მაშა, ორი წლის. ეს ის არის, სონია რომ კინაღამ გადაჰყვა.

სუსტი, მიზეზიანი ბავშვია. რძესავით ქათქათა სხეული აქვს, ხვეული ბაცი თმა და დიდრონი, ცისფერი, საოცარი თვალები — საოცარი აზრიანი და დინჯი გამომეტყველების გამო. ძლიერ გონიერი და ულამაზოა. ეს იქნება, რაც იქნება, სულ ტანჯვასა და ძიებაში გაატარებს ცხოვრებას, ვერაფერს კი ვერ იპოვის და მაინც არასოდეს მოასვენებს მიუღწევლისაკენ სწრაფვა.

მეექვსეა პეტრე[1] გოლიათი. საუცხოო „ბაიაა", თავზე ჩაჩი ჰხურავს, ხელებს წარამარა აწრიალებს და სულ სადღაც მიისწრაფის. ცოლიც ატაცებული ხდება, როგორც კი ამ გოლიათს ხელში აიყვანს. მეტს ვერაფერს ვიტყვი, ეს ვიცი მხოლოდ, რომ დიდი ფიზიკური ძალის პატრონია. მაგრამ სხვა რა მოუნიჭებია ბუნებას, ღმერთმა უწყის. ამიტომ არ მიყვარს ბავშვები ორ-სამ წლამდე — მათი ვერაფერი გამიგია".

ეს წერილი 1872 წელსაა დაწერილი, მაშინ ექვსი წლისა ვიყავი. დაახლოებით ამ ხანიდან იწყება ჩემი მოგონებები. თუმცა ცოტა რამ ადრინდელიც მახსოვს.

როცა ოთხი წელი შემისრულდა, ოჯახში ოთხნი ვიყავით: სერიოჟა, ტანია, მე და ლევი. მახსოვს, როგორ აუცრეს ყვავილი ლევს (ჩვენ მას ლიოლიას ვეძახდით), ეს მოხდა ზემოთ, კუთხის ოთახში. მახსოვს, როგორ ეტკინა და რა გააფთრებით ღრიალებდა.

კიდევ მახსოვს, აივნიან ოთახში, წითელი ხის ძველებურ მაგიდასთან როგორ იდგა მამა და ვიღაცას ეკამათებოდა საფრანგეთ-პრუსიის ომზე. იგი ფრანგების მხარეზე იყო და ეჭვი არ ეპარებოდა, ისინი გაიმარჯვებდნენ. მაშინ ოთხი წლისა ვიქნებოდი.

მახსოვს აგრეთვე, მე და სერიოჟამ როგორ დავაძვრეთ ბოთლებს კალის ხუფები და ქვემოთ, თაღებიან ოთახში, ამ ხუფებისგან ფულები გამოვჭერით. სერიოჟამ, ის ჩემზე სამი წლით უფროსი იყო, წერა-კითხვა იცოდა და ფულებზე ამოფხაჭნა 1870.

ბავშვებს თავდაპირველად ზემოთ გვეძინა, კუთხის ოთახში, დედ-მამას კი თავის საძინებელში. მამაჩემს კაბინეტი დაბლა ჰქონდა, აივნის ქვემოთ. ქვემოთვე, კუთხის ოთახში, ცხოვრობდა ტატიანა ალექსანდროვნა ნატალია პეტროვნასთან ერთად.

დედას არ ჰქონდა თავისი ოთახი. სასტუმრო დარბაზის კუთხეში იდგა პატარა საწერი მაგიდა. აქ აძლევდა იგი სადილის თადარიგს, აქ იწერდა, რა იყო საყიდელი და აქ ჯდებოდა ხოლმე „გადასაწერად". რა უნდა „გადაეწერა", კარგა ხანს ვერ ვხვდებოდი, ეს კი ვიცოდი, რომ რაღაც ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანი იყო.

მამა დილით გადიოდა თავის კაბინეტში და „მეცადინეობდა". მაშინ

[1] გარდაიცვალა 1873 წ. (ავტორის შენიშვნა).

ჩვენ ხმაური და მასთან შესვლა გვეკრძალებოდა. რას „მეცადინეობდა“, რა თქმა უნდა, არ ვიცოდით, მაგრამ პატარაობიდანვე ჩაგვინერგეს მისი პატივისცემა და შიში.

დედა კი სულ სხვაა. დედა ჩვენია და მასაც ეშინია მამასი. ის ჩვენ ყველაფერს გვიკეთებს, ის გვადევნებს თვალყურს, როგორ ვჭამოთ; ის გვიკერავს ხალათებს, ლიფებს, გვიკემსავს წინდებს, ის გვტუქსავს, როცა ნამში ფეხსაცმელებს დავისველებთ. ამასთან ასწრებს „გადაწერასაც“. დედა ყველაფერია. რაც არ უნდა შეგვემთხვეს, მასთან გავრბივართ: „მე წავალ დედასთან!“ „დედა, ტანია მაბრაზებს!“ — „მომიყვანე აქ!“ „ტანია, ნუ აბრაზებ ილუშას, ის პატარაა!“. სადაა დედა? — სამზარეულოში ან ბავშვების ოთახში, ან ზის და კერავს, ან წერს. მისი ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯები ჩვენი სახლის ყველა ოთახში ისმის, იგი ყველაფერს ასწრებს, ყველაზე ზრუნავს. მე მაშინ არ ვიცოდი, რომ დედა ზოგჯერ დილის სამ-ოთხ საათამდე იჯდა „გადასაწერად“, არ ვიცოდი, რომ რვაჯერ გადაწერა „ომი და მშვიდობა“ [1] და ალბათ კიდევ უფრო მეტჯერ მამას შედგენილი „დედაენები“, „საკითხავი წიგნები“ და „ანა კარენინა“.

არც ერთ ჩვენთაგანს აზრად არ მოსვლია, რომ დედა შეიძლება დაიღალოს, ან გუნებაზე არ იყოს, ან თავისთვის რაიმეს გაკეთება მოისურვოს. დედა ცხოვრობს ჩემთვის, სერიოჟასთვის, ტანიასათვის, ლიოლიასათვის, ჩვენი ოჯახის ყველა წევრისათვის, სხვა ცხოვრება კი არცა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

ახლა, როცა სამოცს გადავაბიჯე და დედას ვიგონებ, ხშირად ვფიქრობ: რა საოცრად კარგი ქალი იყო, რა საოცრად კარგი დედა და მეუღლეობა რა მისი ბრალია, თუ შემდგომში ქმარი ბუმბერაზად ექცა და ისეთ მწვერვალს მიაღწია, ჩვეულებრივი მოკვდავი რომ ვერასოდეს შესწვდება. რა მისი ბრალია, თუკი მამამ ასე გაუსწრო და უნებურად უკან ჩამოიტოვა. არც იმაშია დამნაშავე, ოთხმოციან წლებში მამამ ცხოვრების შეცვლა და მისგან წასვლა რომ მოინდომა, განშორებას თუ ვერ გაუძლო და დარჩენაზე დაიყოლია. მაშინ ხომ საპატრონოდ რვა შვილი რჩებოდა და მათ შორის ერთი ძუძუმწოვარა.

მამა რომ დაქორწინდა, ოცდათხუთმეტი წლისა გახლდათ, დედა კი თვრამეტისა. მამაჩემისათვის იგი სულ მთლად ბავშვი იყო — პატარა სონეჩკა ბერსი. ასე სონეჩკად დარჩა კარგახანს. წელთა სხვაობა არასოდეს არ იშლება. როცა მე ორმოცდაათი წელი შემისრულდა, დედაჩემს კი სამოცდაათი, მისთვის ისევ ისეთივე ილუშა ვიყავი, როგორიც ბავშვობაში. ასევე დარჩნენ ჩემი მშობლებიც. დედაჩემის სიყმაწვილემ, ექსპანსიურობამ, ქალურობამ და არაჩვეულებრივმა თავდადებამ მამას ოცი წლის უღრუბლო ოჯახური სიამტკბილობა არგუნა. უკეთესი ცოლი არც უნატრია და ვერც

---

[1] ი. ლ. ტოლსტოის სიტყვები სამართლიანია რომანის მხოლოდ რამდენიმე თავის მიმართ. ტოლსტოიმ რამდენჯერმე გადაამუშავა ზოგიერთი თავი, მთლიანად რომანი კი არავის გადაუწერია. სოფია ანდრეევნას ძლიერ უყვარდა ტოლსტოის ეს ნაწარმოები და კეთილსინდისიერად ეხმარებოდა მას, როგორც გადამწერი. „მე ახლა ვიგრძენი, — წერდა სოფია ანდრეევნა 1866 წლის 14 ნოემბერს, — რომ ეს შენი პირმშო ჩემიცაა და როცა ამ ფურცლების დასტას მოსკოვს ვაგზავნი, ასე მგონია, შვილს ვამგზავრებ და მეშინია ცუდი არაფერი შეემთხვას-მეთქი“... (ს. ა. ტოლსტაია, წერილები ლ. ნ. ტოლსტოისადმი, გამომც. „Acagemia“, მ-ლ, 1936, გვ. 70).

ინატრებდა. მან თავის ჭკუაზე გამოზარდა დედა და ჩაუნერგა ის აზრები, რაიც მაშინ საღად მიაჩნდა. მან გააიდეალა დედაჩემი თავისი რომანის გმირებში, ესენი იყვნენ ნაწილობრივ ნატაშა და დოლი. ნეტა თუ იცოდა მაშინ, რომ დადგებოდა დრო, როცა უარს იტყოდა ადრინდელ იდეალებზე და სულ სხვა, უფრო ამაღლებულ და უნაყოფო იდეალებს მოუხმობდა.

ან განა ითხოვდა დედას მამაჩემი და ბედნიერად გაატარებდა ოჯახურ ცხოვრების პირველ ოც წელიწადს, სონეჩკა ბერსი უეცრად წმინდა ქრისტიანობის, გაუბრალოებისა და პლატონური სიყვარულის მოქადაგედ რომ ქცეულიყო, მამაჩემი, ვინც იმ ხანებში ოცნებობდა თავისი ქონება გაეზარდა, ვინც სამარელი ბაშკირებისაგან იაფად ყიდულობდა მიწებს და შვილებს შვილებზე აჩენდა.

რა შორსაა ეს ყველაფერი იმ აზრებისაგან, საბოლოოდ რომ იწამა მამამ.

მახსოვს, მამა საქმეების გამო ხშირად მიემგზავრებოდა ხოლმე მოსკოვს. მაშინ მას ეცვა საუკეთესო ფრანგი მკერავი აიეს შეკერილი სერთუკი. მახსოვს, შინ დაბრუნებული რა აღტაცებით უყვებოდა დედას, როგორ ესტუმრა გენერალ-გუბერნატორ თავად ვლადიმერ დოლგორუკს, როგორ მოიკითხა იმან ტანია (რომელიც მაშინ შვიდი-რვა წლისა იქნებოდა) და როგორ აღუთქვა, ტანიას პატივსაცემად მეჯლისს გავმართავო. რარიგ უცნაურად გვეჩვენება ახლა ეს! საოცარია ისიც, რომ დოლგორუკმა მართლა შეასრულა დანაპირები და ტანია იყო მასთან მეჯლისზე. თუმცა ეს უკვე მოგვიანებით მოხდა, როცა სულიერი გარდატეხის შედეგად მამა მაღალ საზოგადოებასა და მეჯლისებს სამუდამოდ განუდგა.

მე ამას ვისმე გასაკიცხად კი არა, უბრალოდ ვამბობ იმისათვის, რომ უარვყო ყოველივე საძრახისი, რაც კი თქმულა დედაჩემისა და მამაჩემის მისამართით. „Zout comprendre c'est tout pardonner“ [1].

რა ხშირად მსმენია ეს სიტყვები მამაჩემისაგან!

ადრეული ბავშვობის წლებიდან ჩვენი ოჯახის მოსკოვში გადასვლამდე, ე. ი. 1881 წლამდე, მთელი ჩემი ცხოვრება იასნაია პოლიანაში გავატარე, სხვაგან არსად ვყოფილვარ.

ასე ვიზრდებოდით.

ოჯახს დედა განაგებს. ყველაფერს მას ეკითხებიან. იგი აძლევს სადილის თადარიგს მზარეულ ნიკოლაის, იგი გვიშვებს სასეირნოდ, აწოვებს ძუძუს რომელიმე პატარას და მთელი დღე ოთახიდან ოთახში დარბის. მასთან შეიძლება ჭირვეულობა, თუმცა ზოგჯერ კი გვტუქსავს და დასჯასაც არ ერიდება.

მან ყველაფერი ყველაზე უკეთ იცის. იცის, რომ აუცილებელია პირის დაბანა, სადილზე წვნიანის ჭამა, ფრანგულად ლაპარაკი, რომ საჭიროა კარგად ისწავლო, მუხლებზე არ იხოხო, იდაყვებით მაგიდას არ ჩამოეყრდნო, თუ გითხრა — სასეირნოდ წასვლა არ შეიძლება, გაწვიმდებაო, მართლაც ასე მოხდება და უნდა გაუგონო. როცა მახველებს, დედა ძირტკბილას წვენს ან „დანიის მეფის“ წვეთებს მასმევს, სწორედ ამიტომ ძლიერ მიყვარს

[1] ყოვლის გაგება — ყოვლის შენდობა (ფრანგ.).

ხველება. როცა დედა საწოლში ჩამაწვენს და თვითონ მაღლა ადის, მამასთან ერთად ფორტეპიანოზე ოთხი ხელით რომ დაუკრას, მე დიდხანს, დიდხან ვერ ვიძინებ, გული მტკივა, მარტო რომ დამტოვეს და ვიწყებ ხველებას, ვახველებ მანამ, სანამ ძიძა დედას არ დაუძახებს და ვბრაზობ, თუ მან ჩამოსვლა დაიგვიანა.

არაფრით არ დავიძინებ. ვიდრე არ მოირბენს, ჭიქაში არ ჩამისხამს ზუსტად ათ წვეთს და არ დამალევინებს.

მამა ამქვეყნად ყველაზე ჭკვიანია. მამამ ყველაფერი იცის, მაგრამ მამასთან ჭირვეულობა არ გადის.

მოგვიანებით, როცა წერა-კითხვა ვისწავლე, შევიტყვე, რომ მამა „მწერალია". აი, როგორ მოხდა ეს: ერთხელ ლექსებს ვკითხულობდი და მომეწონა. დედას ვკითხე, ვინ დაწერა-მეთქი. მითხრა, პუშკინმა დაწერა, პუშკინი დიდი მწერალიაო. მე გული დამწყდა, რომ მამაჩემი არ იყო ისეთი. მაშინ დედამ მანუგეშა, ნუ სწუხარ, მამაშენიც დიდი მწერალიაო, და ძლიერ გამახარა.

სადილზე მამა დედაჩემის პირდაპირ ზის. მას საკუთარი ვერცხლის მრგვალი კოვზი აქვს. როცა მოხუცი ნატალია პეტროვნა ჭიქაში ბურახს ჩაისხამს, მამა კი ხელიდან გამოსტაცებს, გადაჰკრავს და ეტყვის: მაპატიეთ, ნატალია პეტროვნა, უნებურად მომივიდაო, — ჩვენ ყველანი კმაყოფილები ვართ და ვიცინით, მხოლოდ ერთი რამ გვაკვირვებს — მამას სულ არ ეშინია ნატალია პეტროვნასი. ხოლო როცა სადილად ტკბილ ღვეზელს მოგვართმევენ, მამა ამბობს, ამ ნამცხვრით ქაღალდის დაწებება და კოლოფების გაკეთება შეიძლებაო. ჩვენც გავრბივართ ქაღალდის მოსატანად და მამა კოლოფებს გვიკეთებს.

დედა გვიბრაზდება, მაგრამ მამას არც მისი ეშინია.

ზოგჯერ მამასთან ყოფნას არაფერი სჯობს, ისეთი მხიარულია.

ყველაზე კარგი ცხენოსანია, ყველაზე სწრაფად დარბის და ყველაზე ლონიერია.

არასოდეს არ გვიჯავრდება, მაგრამ თვალებში ჩაგხედავს თუ არა, უკვე იცის, რაზედაც ფიქრობ და მაშინ შიშით გული მელევა.

სულ ადვილად შემიძლია ვიცრუო დედასთან, მამას კი ვერ მოვატყუებ, იმიტომ, რომ მაინც მიხვდება. მას არასოდეს არავინ არ ატყუებს.

მამამ ყველა ჩვენი საიდუმლო იცის. ერთხელ იასამნის ბუჩქებში სახლობანას ვთამაშობდით, სამი დიდი საიდუმლო გვქონდა და მხოლოდ ჩვენ ვიცოდით — მე, სერიოჟამ და ტანიამ. უცბად მამა მოვიდა და გვითხრა, სამივე თქვენი საიდუმლო ვიცი და სამივე ასო „ბ"-ზე იწყებაო. წარმოიდგინეთ, მართალი იყო, პირველი საიდუმლო ის გახლდათ, რომ დედას მალე ეყოლებოდა „ბაია", მეორე — რომ სერიოჟას ბარონესა შეყვარებოდა, მესამე კი აღარ მახსოვს.

დედ-მამის გარდა ჩვენ გვყავდა დეიდა — ტატიანა ალექსანდროვნა ერმოლსკაია. იგი ქვემოთ ცხოვრობდა, ნატალია პეტროვნასთან ერთად, კუთხის ოთახში, სადაც მოვერცხლილი დიდი ხატი ეკიდა.

დეიდა სულ იწვა და როცა ვინახულებდით, მწვანე ვაზით მოგვართმევდა მურაბას.

იგი სერიოჟას ნათლია იყო და ყველაზე მეტად ის უყვარდა.

მერე მოკვდა და ბავშვები შეგვიყვანეს მის ოთახში. გაყვითლებული,

თითქოს ცვილისაგან ჩამოქნილი დეიდა კუბოში იწვა. კუბოსთან და ხატთან სანთლები ენთო. ჩვენ ძლიერ, ძლიერ გვეშინოდა იქ ყოფნა. დედამ გვითხრა, ნურაფრისა გეშინიათო, მაგრამ მაინც ერთად მივიყუჟეთ და დედას გვერდიდან არ მოვცილებივართ.

დეიდას ოთახი დაბალ სართულზე იყო, ფანჯრიდან მოჩანდა ჭა, ღრმაზე ღრმა და ძალზე საშიში. დედა გვეუბნებოდა, ჭასთან ნუ მიხვალთ, თორემ ჩავარდებით და დაიხრჩობითო. თურმე ერთხელ ვედრო ჩაუვარდათ და ძლივს ამოიღეს.

როდის ჩამოვიდა ჩვენთან ინგლისელი ქალი, სახელად Hannah Tarseg ზუსტად არ მახსოვს. ალბათ მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. იგი ჩვენი გუვერნიორიც იყო და ჩვენი გადიაც, დიდხანს, ალბათ ასე ათი წელი ცხოვრობდა ჩვენთან.

ძიძა მარია აფანასევნას შემდეგ ეს ქალი იყო ჩემი უფროსი. მუდამ მშვიდი, კეთილი და მხიარული Hannah ჩემს მეხსიერებას ნათელ მოგონებად შემორჩა. ბავშვებმა შევიყვარეთ იგი და ყველაფერს ვუჯერებდით. როგორ შევისწავლე ინგლისური ენა, არ მახსოვს. ვგონებ, ერთდროულად დავიწყე ლაპარაკი რუსულად და ინგლისურად. „Wash your hands, the breakfast is ready“ [1] თუ ბავშვის ასაკისათვის საჭირო სხვა სიტყვები თავისთავად შევითვისე, მე ისინი არ მისწავლია.

შობა დღეს, ნაძვის ხეზე, ჰანა „plum pudding“-ს [2] გვიცხობდა და სუფრაზე მოგვართმევდა ხოლმე რომმოსხურებულსა და სანთლებით გაჩახჩახებულს. როცა მასთან ერთად ვსეირნობდით ბაღში, ყოველთვის კარგად ვიქცეოდით და ბალახებში არ ვითხვრებოდით. ხოლო როცა ერთხელ დუნიაშას გაგვაყოლეს, არ დავუჯერეთ და ბუჩქებში გავექეცით. საბრალო გვიყვიროდა: „ბავშვებო, ბილიკ-ბილიკ! ბილიკ-ბილიკო!“ და მას შემდეგ ერთხმად შევარქვით „დუნიაშა ბილიკ-ბილიკა“. მეორე დუნიაშას, მოახლე გოგოს, ყველაფერი ავიწყდებოდა და „დუნიაშა გულმავიწყა“ ერქვა. მესამე დუნიაშას, მოურავის ცოლს, „დუნიაშა, დედა საქმეზე მოვიდა“-ს ვეძახდით.

იგი ქვემოთ ცხოვრობდა, ფლიგელში, და კარჩაკეტილში უყვარდა ჯდომა. დედა რომ მიგვიყვანდა, ჩვენ კარზე ვუბრახუნებდით და გავყვიროდით: „დუნიაშა, დედა საქმეზე მოვიდა!“

მაშინ დუნიაშა გვიღებდა მუშამბაგადაკრულ კარს და მურაბიანი ჩაით გვიმასპინძლდებოდა. მურაბას ლამბაქებზე გვისხამდა და ერთადერთი ვერცხლის პატარა, წვრილი, მთლად დაღეჭილი კოვზი გამოჰქონდა. ყველამ ვიცოდით, რატომ იყო კოვზი ასე დაღრეცილი: ღორს ეპოვა როფში და დაელეჭა.

ხუთი წლის რომ გავხდი, დედამ წერა-კითხვა დამაწყებინა.

ჯერ რუსული წერა-კითხვა ვისწავლე, შემდეგ კი ფრანგული და ინგლისური.

არითმეტიკას მამა მასწავლიდა.

ადრე ვხედავდი, როგორ ამეცადინებდა სერიოჟასა და ტანიას, და მი-

---

[1] ხელები დაიბანეთ, საუზმე მზადაა (ინგლ).

[2] ქლიავის პუდინგი (ინგლ.).

სი გაკვეთილებისა ძლიერ მეშინოდა. იმიტომ, რომ თუ სერიოჟა ზოგჯერ რაღაცას ვერ მიხვდებოდა, მამა ეუბნებოდა, ჯინაზე არ გინდა გაიგოო. მაშინ სერიოჟას უცნაური თვალები გაუხდებოდა და ტირილს იწყებდა. ზოგჯერ მეც მიჭირდა რაიმეს გაგება და მამა მიბრაზდებოდა. გაკვეთილის დაწყებისას იგი ყოველთვის კეთილი იყო, ხუმრობდა კიდეც, შემდეგ კი, როცა საქმე გაძნელდებოდა და ახსნას დამიწყებდა, შიშით აცახცახებული სულ ველარაფერს ვიგებდი.

ექვსი წლისას მახსოვს, როგორ ამეცადინებდა მამა სოფლის ბიჭებს.

მათ ასწავლიდნენ „იმ სახლში“ [1], სადაც ალექსეი სტეფანოვიჩი ცხოვრობდა, ზოგჯერ ჩვენთანაც, ქვემოთ.

სოფლის ბიჭები ბევრნი იყვნენ, როცა სახლში შემოდიოდნენ, დერეფანში ჯუბების სუნი დგებოდა. მათ ერთად ამეცადინებდნენ მამა, სერიოჟა, ტანია და ძია კოსტია [2]. გაკვეთილები მხიარულად და ცოცხლად ტარდებოდა.

ბავშვები თავისუფლად იქცეოდნენ, ვისაც სად უნდოდა, იქ იჯდა, არადა ერთი ადგილიდან მეორეზე გადარბოდნენ. შეკითხვებზეც ერთხმად პასუხობდნენ. ხან ერთმანეთს არ აცლიდნენ და საერთო ძალებით იხსენებდნენ წაკითხულს. თუ რომელიმეს რამე გამორჩებოდა, მეორე ან მესამე წამოხტებოდა და შეეშველებოდა ხოლმე და ასე ერთხმად ჩაათავებდნენ მოთხრობას ან ამოცანას.

მამა განსაკუთრებით აფასებდა თავის მოწაფეთა თავისებურსა და ხატოვან მეტყველებას.

იგი არასოდეს არ თხოულობდა წიგნიერი გამოთქმების სიტყვა-სიტყვით გადმოცემას და ყველაფერი „საკუთარი“ მოსწონდა.

მახსოვს, ერთხელ პატარა ბიჭი გააჩერა, მეორე ოთახში რომ გარბოდა.

— შენ საით?

— ძიასთან, ცარცი უნდა მოვაწიწკნო.

— მაშ, მიდი, გაიქეცი. ამათ ჩვენ კი არ უნდა ვასწავლიდეთ, პირიქით, ამათგან უნდა ვსწავლობდეთ, — უთხრა მამამ ვიღაცას, ბიჭი რომ გავიდა, — აბა, რომელი ჩვენგანი იტყოდა ასე? ის კი არ უთქვამს, უნდა მოვტეხო, ზუსტად მითხრა — „უნდა მოვაწიწკნოო“. იმიტომ რომ ცარცს კი არ ატეხენ, სწორედ აწიწკნიან.

ერთხელ მამამ პატარა ბიჭი მომიყვანა და მითხრა, „დედაენა“ წაუკითხე და ასწავლეო. ბევრს ვეცადე, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. ბოლოს გული მომივიდა და გავარტყი. კარგა მაგრად დავქოჩრეთ ერთმანეთი და ორივენი ავღრიალდით.

მამა მაშინვე ჩვენთან გაჩნდა და მითხრა, არასოდეს აღარავინ ამეცადინო, არ შეგძლებიაო. მე, რაღა თქმა უნდა, მეწყინა და დედას შევჩივლე: ჩემი ბრალი არ არის, ტანიას და სერიოჟას კარგი მოწაფეები ჰყავთ, ჩემი კი ბენტერა და საძაგელია-მეთქი.

სახლი იასნაია პოლიანაში, წინაპართა პორტრეტები, მამის კაბინეტი

მე მახსოვს ჩვენი სახლი იასნაია პოლიანაში ისეთი, როგორიც იყო მამაჩემის დაქორწინების პირველ წლებში.

---

[1] ასე ერქვა ქვის ფლიგელს (ავტ. შენიშვნა).

[2] კ. ა. ისლავინი.

1871 წელს, მაშინ ხუთი წლისა ვიყავი, სახლს დარბაზი და კაბინეტი მოაშენეს.

მახსოვს, როგორ მუშაობდნენ კალატოზები, როგორ ჩაატანეს საძირკველში ვერცხლის ფულებით სავსე კოლოფი, როგორ გაჭრეს კარი ძველ სახლში და განსაკუთრებით კარგად მახსოვს, როგორ დააგეს პარკეტი. მე იატაკზე ვიჯექი დურგლებთან ერთად და ვუყურებდი, როგორ აწყობდნენ რიგ-რიგად მუხის ფირფიტებს, როგორ რანდავდნენ, შემდეგ თხევად, სურნელოვან წებოს უსვამდნენ და მჭიდროდ სვამდნენ ერთმანეთში ჩაქუჩით.

როცა დაგებას მორჩნენ და პარკეტს თაფლის სანთელი გადაუსვეს, ისეთი პრიალა გახდა, შიშით ძლივს დავდიოდით.

მერე იატაკმა შრობა დაიწყო; ზოგჯერ ისე ტკაცუნობდა, თითქოს თოფს ისვრიანო. თუ ოთახში არავინ იყო, ელდანაცემი გავრბოდი გარეთ.

მერე დარბაზის კედლებზე ჩამოკიდეს წინაპართა ძველი პორტრეტები.

ბაბუებს გოროზი სახეები ჰქონდათ და თავდაპირველად ცოტა არ იყოს გვეშინოდა მათი, მერე კი შევეჩვიეთ. ერთი მათგანი — ჩემი პეპერა ილია ტოლსტოი კიდევაც შემიყვარდა, ალბათ იმიტომ, რომ მამგვანებდნენ. იგი გლუხაია პოლიანაში ცხოვრობდა, ჩვენივე ტულის გუბერნიაში.

პეპერას უაღრესად კეთილი, მსუქანი პირისახე ჰქონდა. მამამ გადმოცემით იცოდა, რომ იგი თეთრეულს თურმე გასარეცხად ჰოლანდიაში გზავნიდა. საგანგებო საზიდრებს მიჰქონდათ და მოჰქონდათ ხოლმე თეთრეული წელიწადში რამდენიმეჯერ. ღვინო მხოლოდ ფრანგული სწამდა, ბროლი — ბოჰემიისა. საოცარი სტუმართმოყვარე იყო, მხიარული და გულუხვი. საიდანღა არ მოსდიოდა სტუმრები, ყველას ასმევდა, აჭმევდა და თავის სიცოცხლეშივე გაანიავა ცოლის უზარმაზარი ქონება. იგი იყო მოხუცი გრაფ როსტოვის პროტოტიპი „ომსა და მშვიდობაში", იქნებ უფრო გამოკვეთილიც, ვიდრე მამამ აღწერა.

გვერდით ეკიდა მეორე პეპერას — თავად ნიკოლოზ ვოლკონსკის პორტრეტი. ეს გახლდათ ბებიაჩემის მამა. შავი, ხშირი წარბები ჰქონდა, ჭაღარა პარიკი ეხურა და წითელი ხიფთანი ეცვა. იასნაია პოლიანაში ყველა ნაგებობა მას აუშენებია. თურმე სამაგალითო მეურნე იყო, ჭკვიანი და ამაყი. ყველა დიდზე დიდ პატივს სცემდა იქაურ მხარეში.

მეორე კედელზე, ორ კარს შუა, მთელი იაქთაღი ეჭირა უსინათლო მოხუცის — თავად გორჩაკოვის პორტრეტს. ის გახლდათ ბებიაჩემის დედის — პელაგია ტოლსტაიას, ილია ანდრეევიჩის მეუღლის, მამა.

მოხუცი ქუთუთოებდახრილი იჯდა მრგვალ მაგიდასთან და ორივე მხრიდან ცხვირსახოცები შემოეწყო მტკივანი, აცრემლებული თვალების მოსაწმენდად.

მასზე ყვებოდნენ, უაღრესად მდიდარი და საშინლად ძუნწი იყოო. ფულების თვლა უყვარდა და დილიდან საღამომდე გაუთავებლად თვლიდა და თვლიდა თურმე თავის ასიგნაციებს.

ბოლოს, როცა დაბრმავდა, ერთ თავის შინაკაცს, ყველაზე მეტად რომ ენდობოდა, მოატანინებდა სანუკვარ წითელი ხის ზარდახშას, აღებდა თავისი გასაღებით და ხელის ცეცებით ისევ და ისევ ითვლიდა გაცრეცილი ქაღალდის ფულებს.

ამ დროს კი ნდობით აღჭურვილი შინაკაცი თურმე ჩუმად აცოცებდა ასიგნაციებს და მათ ადგილზე გაზეთის ნახევებს უწყობდა.

მოხუციც გულდაგულ ელაციცებოდა გაზეთის ნაგლეჯებს გამხდარი, აცახცახებული თითებით და ეგონა, ფულს ვითვლიო...

შემდეგ ეკიდა გორჩაკოვის დედის, თავადის ქალ მორდკინას (1705 წ.) სურათი. თავადის ქალს მონაზონივით ეცვა და ხელში კრიალოსანი ეჭირა, შემდეგ ნიკოლოზ ვოლკონსკის მეუღლის, თავადის ასულ ტრუბეცკაიას სურათი იყო, კიდევ ვოლკონსკის მამის პორტრეტი, სწორედ იმ ვოლკონსკისა, იასნაია პოლიანაში პარკი, ცაცხვების ხეივანი რომ გააშენა და „პროშპექტები" გაიყვანა.

დაბლა, დარბაზს ქვემოთ, მამამ კაბინეტი მოიწყო. კედელში ნახევარწრიული წალო გამოაღებინა და შიგ შედგა თავისი საყვარელი განსვენებული ძმის — ნიკოლოზის ბიუსტი. ეს ბიუსტი საზღვარგარეთ ერთ კარგ მოქანდაკეს გაეკეთებინა ნიღბიდან მისივე მითითებით და ხშირად ამბობდა, ზუსტიაო.

ბიძაჩემს კეთილი, ოდნავ საწყალი სახე აქვს, თმა ბავშვურად გვერდზე გადავარცხნილი. უწვეროულვაშოა, სულ მთლად თეთრი და პრიალა. კაბინეტი მამას შუაზე აქვს გაყოფილი წიგნების კარადებით, შიგ ბევრი, ბევრი წიგნი აწყვია. კარადები რომ არ გადაყირავდეს, ერთმანეთზე ხის დიდი ძელებით გადაუბამთ, მათ შორის კი თხელი არყის ხის კარია გაჭრილი. კარს უკან მამის საწერი მაგიდა და ნახევარწრიული სავარძელი დგას.

ერთი ამ ძელთაგანი დღემდე შემოგვრჩა. მე ახლაც მზარავს მისი დანახვა, რადგან ვიცი, რომ მამამ ერთხელ მასზე დააპირა თავის ჩამოხრჩობა.

მაგრამ ამაზე შემდეგ, შემდეგ, ახლა ნურაფერს ვიტყვით...

კედლებს ირმის რქები და თავი ამშვენებს, მამამ ისინი კავკასიიდან ჩამოიტანა.

ამ რქებზე მამა პირსახოცსა და ქუდს ჰკიდებს. აქვე კედელზე ჰკიდია დიკენსის, შოპენჰაუერისა და ფეტის ახალგაზრდობის სურათები, აგრეთვე 1855 წლის „სოვრემენიკის" წრის ცნობილ მწერალთა ერთი ჯგუფის პორტრეტი. ამ ჯგუფში არიან ტურგენევი, ოსტროვსკი, გონჩაროვი, გრიგოროვიჩი, დრუჟინინი და მამაჩემი, სულ მთლად ახალგაზრდა, უწვეროდ, ოფიცრის მუნდირში.

დილით მამა საწოლი ოთახიდან გამოდის. ეს ოთახი ზემოთაა, სახლის კუთხეში. გამოდის აჩეჩილი, დაუვარცხნელი წვერით და ქვემოთ ჩადის ჩასაცმელად.

შემდეგ, ნაცრისფერ ხალათში გამოწყობილი, მხნე და ხალისიანი დარბაზში შემოაბიჯებს ყავის დასალევად.

ჩვენ ამ დროს უკვე ვსაუზმობთ.

თუ სტუმარი არა გვყავს, დარბაზში ცოტა ხანს რჩება, გააქვს ჭიქა ჩაი და კაბინეტში შედის.

თუ სტუმრები ან მეგობრები ეწვივნენ, საუბარში ერთობა და უჭირს მათი დატოვება.

ცალ ხელს ტყავის ქამარში გაიჩრის, მეორეში ვერცხლის საჭიქე უჭირავს ჩაით სავსე ჭიქით და ჩერდება კართან; ხშირად კარგა ხანს, მთელ ნახევარ საათს ერთ ადგილზე დგას და ვერ ამჩნევს, რომ ჩაი გაუცივდა; ლაპარაკობს, ლაპარაკობს შეუჩერებლივ და რატომღაც სწორედ ამ წუთებში

საუბრობს განსაკუთრებით ცოცხლად და საინტერესოდ. ჩვენ ყველას შემჩნეული გვაქვს ეს ადგილი ზღურბლზე და ვიცით, თუ მამამ ჩაით ხელში კარისაკენ გაუტია, უეჭველად შეჩერდება, იტყვის საბოლოო გადამწყვეტ სიტყვას — და სწორედ აქ იწყება ყველაზე საინტერესო ამბები.

ბოლოს მამა სამეცადინოდ გადის. ჩვენ, თუ ზამთარია, საკლასო ოთახებისკენ გავრბივართ, ზაფხულობით კი ბაღში კროკეტის სათამაშოდ. დედა დარბაზში რჩება, ან საკერავს მიუჯდება, ან გადაწერას იწყებს, თუ ღამით ვერ მოასწრო დასრულება. ამგვარად, სამ-ოთხ საათამდე სახლში სამარისებური სიჩუმეა.

შემდეგ მამა გამოდის კაბინეტიდან და სასეირნოდ მიეშურება. ზოგჯერ თოფი მიაქვს და ძაღლიც მიჰყავს, ზოგჯერ ცხენით მიდის, ზოგჯერ კი უბრალოდ ფეხით მიუყვება სახაზინო ნაკაფს. ხუთ საათზე ირეკება ზარი, სახლის წინ, ბებერი თელას ჩამოტეხილ ტოტზე რომ კიდია. ჩვენ გავრბივართ ხელის დასაბანად და ვემზადებით სადილისათვის. ზოგჯერ მამა იგვიანებს და ყველანი მას ველოდებით.

ბოლოს ისიც გამოცხადდება, ოდნავ დარცხვენით უბოდიშებს დედას, ვერცხლის სირჩაში ისხამს ბალახის ნაყენს და სუფრასთან ჯდება.

ეტყობა, მაგრად მოშიებია, ისე ხარბად შეექცევა ყველაფერს, რაც კი ხელთ ხვდება. დედა არ აცლის ფაფით დანაყრებას, კიდევ უნდა მოიტანონ კატლეტები და მწვანილი, „თორემ ისევ აგტკივდება ღვიძლიო". მაგრამ მამა ყურს არ უგდებს და გამალებული ჭამს, ვიდრე გულს არ მოიჯერებს. შემდეგ გვიყვება სეირნობის შთაბეჭდილებებს, — როგორ წააწყდა როჭოს ბარტყებს, როგორ მიაგნო ახალ ბილიკებს „კუდიაროვების ჭის" გაღმა, რა მალე შეეჩვია ლაგამს მისი კვიცი... ამას ისე ცოცხლად და საინტერესოდ ყვება, რომ დრო შეუმჩნევლად მიიპარება.

— დედა, დღეს რა ნამცხვარი გვაქვს? — უეცრად კითხულობს ტანია, მუდამ გაბედული და დამოუკიდებელი.

— ილუშას საყვარელი მურაბიანი ბლინებია, — დინჯად პასუხობს დედა და ვერ ამჩნევს ხუმრობის კილოს, ეგზომ ხშირად რომ იჩენს თავს ტანიას საუბარში.

მე მამაჩემის გვერდით ვზივარ და მეშინია ორ ბლინზე მეტი ავიღო. მურაბას კი, რამდენსაც მინდა, იმდენს გადმოვიღებ, იმიტომ რომ მაშინვე დავაფარებ მეორე ბლინს და ისე გადავახვევ, ვერავინ შეამჩნევს. ის იყო მოვიმზადე ბლინები, ჭამა უნდა დამეწყო, რომ მამამ შეუმჩნევლად გამოაპარა ხელი, თეფში ამაცალა და მითხრა: „ახლა კი გეყოფაო". მე აღარ ვიცი, რა ვქნა: ვიტირო თუ ვიცინო. კიდევ კარგი, თვალებში ჩამხედა და გაიცინა, თორემ აღრიალებას აღარაფერი მიკლდა.

სადილობის შემდეგ მამა ისევ თავის კაბინეტში შედის წიგნის წასაკითხად. შემდეგ რვა საათზე მოაქვთ ჩაი. დგება ყველაზე საუკეთესო დრო — საღამო ხანი. ყველანი დარბაზში ვგროვდებით, უფროსები საუბრობენ, ხმამაღლა კითხულობენ, ფორტეპიანოზე უკრავენ, ჩვენ კი ან ყურს ვუგდებთ უფროსებს ან ჩვენთვის ვერთობით, მხიარულად ვთამაშობთ და თან გული გვიკანკალებს — სადაცაა დარეკავს კიბის თავზე ძველებური ინგლისური საათი და წკრიალით ჩამოთვლის ათს.

იქნებ დედამ ვერც გაიგონოს, პატარა სასტუმრო ოთახში ზის და გადაწერითაა გართული.

— ბავშვებო, ძილის დროა, დაგვემშვიდობეთ!

— ახლავე, დედა, კიდევ ხუთი წუთი!

— არა, არა, უნდა დაიძინოთ, თორემ ხვალ ადრე ველარ გაიღვიძებთ და ველარ იმეცადინებთ.

დამშვიდობებას ვაჭიანურებთ, ყველანაირად ვცდილობთ დავახანოთ და ბოლოს მაინც მივდივართ დასაძინებლად. გული გვწყდება, რომ პატარები ვართ და უნდა წავიდეთ — დიდები კი სხედან არხეინად და როცა უნდათ, მაშინ დაიძინებენ.

ნეტა რას აკეთებენ იქ უჩვენოდ?

ალბათ სწორედ ახლა, ჩვენი წამოსვლის შემდეგ გააჩაღეს მხიარულება.

ტყუილად კი არ ამბობს მამა — როცა დიდი გავიზრდებიო; რა ენაღვლება, ხუმრობს, უკვე დიდია და ყველაფერი აქვს. ეჰ, ნეტა მეც იმდენი რამ მქონდეს!

განა ცოტაა თოფი, ხანჯლები, ძაღლები, ცხენი? თანაც არ სწავლობს, მე კი კარგა ხანს ვიქნები პატარა და უნდა ვიწვე ასე — ბავშვების ოთახში, ძიძის გვერდით. აი, უკვე ჩააქრო ქონის სანთელი და მებუზღუნება, ნუ წრიალებო.

რა ვქნა ახლა, ვიტირო?

არა, ისევ ჯობია თავზე საბანი წავიხურო და დავიძინო.

ჰოდა, ვერც კი ვასწრებ თვალების დახუჭვას, რომ უკვე დილაა, მხიარული და ნათელი.

მერე რამდენი სიხარული მელის — ახლავე წამოვხტები, ჩავიცვამ და გავინავარდებ ბაღში, იქ მე და ტანიამ მიწაში სარდაფი და საკუჭნაო გამოვთხარეთ. მერე გავიქცევი პეპლების დასაჭერად, ამის მეტი რაა ხშირ ბალახებში, „ჩეპიჟის“ მახლობლად.

უეჭველად უნდა დავიჭირო „მაქაონი“, სერიოჟამ უკვე დაიჭირა, მე კი არა. მერე ვიმეცადინებ, მაგრამ ეს არაფერი, ამაზე ფიქრიც არა ღირს, შემდეგ ისევ საუზმე, ბანაობა, სადილი...

რა კარგია სიცოცხლე! რა თვალისმომჭრელად ანათებს მზე! რა ხმამაღლა მღერის ფანჯრებთან ბულბული! რამდენი სიხარული მელის ხვალ და ზეგ...

„ანა კარენინა“

მე ბუნდოვნად მახსოვს ის უბედური შემთხვევა, როცა ჩვენი მეზობლის ქალმა თავი მოიკლა. ის ამბავი შემდგომში მამამ ანა კარენინას სიკვდილის აღწერისას გამოიყენა.

ეს მოხდა 1872 წლის იანვარში.

მეზობლად მცხოვრებ ბიბიკოვს, გონებასუსტი ნიკოლენკას მამას (ეს ბიჭი ერთხელ ჩვენთან მოიყვანეს ნაძვის ხეზე), ჰყავდა ეკონომი ქალი — ანა სტეფანოვნა ზიკოვა [1].

ანა სტეფანოვნა გუვერნიორ ქალზე ეჭვიანობდა, სადგურ იასენკაზე მა-

---

[1] ი. ტოლსტოი ცდება, ა. ნ. ბიბიკოვის ეკონომი ქალი გვარად პიროგოვა იყო.

ტარებელს ჩაუვარდა და დაიღუპა. მახსოვს, როგორ ჩამოვიდა ჩვენთან, იასნაიაში, ერთი კაცი ამ ამბის შესატყობინებლად და როგორ გაიქცა მამაჩემი მაშინვე ბიბიკოვთან. იგი დაესწრო სასამართლო-სამედიცინო გაკვეთასაც იასენკაში.

თითქოს კიდეც მაგონდება ანა სტეფანოვნას მრგვალი, კეთილი და უბრალო სახე.

უწყინარი, ტკბილი ქალი იყო და გული მატკინა მისმა დაღუპვამ. ვერაფრით ვერ წარმომედგინა, როგორ შეეძლო ალექსანდრე ნიკოლაევიჩს სხვაზე გაეცვალა ასეთი ჩინებული მანდილოსანი.

მახსოვს, როგორ მუშაობდა მამა 1871 და 1872 წლებში „დედაენასა“ და „საკითხავ წიგნებში“, მაგრამ არ მაგონდება, როდის დაიწყო „ანა კარენინა“. როგორც ჩანს, ამაზე მაშინ არაფერი ვიცოდი.

აბა რაში აინტერესებს ან რა იცის შვიდი წლის ბიჭმა, რას წერს მამამისი?

უფრო მოგვიანებით, როცა ეს სიტყვები უკვე ხშირად გაისმოდა ჩვენს ოჯახში და ყოველდღიურად ღებულობდნენ გამოგზავნილ კორექტურას, მე მივხვდი, რომ „ანა კარენინა“ რომანის სათაური იყო და ამ რომანზე მუშაობდნენ მამა და დედა.

მაშინ დედაჩემის წვლილი ამ საქმეში უფრო დიდი მეჩვენებოდა, ვიდრე მამისა, იმიტომ რომ იგი ჩვენ თვალწინ მუშაობდა.

იჯდა სასტუმრო ოთახში, დარბაზის გვერდით, თავის პატარა საწერ მაგიდასთან და მთელ თავისუფალ დროს წერას ანდომებდა.

ქაღალდზე თავდახრილი, ახლომხედველი თვალებით ჩასჩერებოდა მამაჩემის ბატიფეხურ ნაწერს და ასე ატარებდა მთელ საღამოებს, ხშირად კი დასაძინებლად შუაღამეზე წვებოდა, ყველაზე გვიან.

ზოგჯერ, თუ ნაწერს თავსა და ბოლოს ვერ გაუგებდა, მიდიოდა მამასთან და ეკითხებოდა, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა, დედას არ უყვარდა მისი შეწუხება.

ასეთ შემთხვევებში მამა გამოართმევდა ხელნაწერს, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკებდა: რა არის აქ გაუგებარიო, და ჩაიკითხავდა, მაგრამ ძნელ ადგილზე ენა ებმოდა და გაჭირვებით არჩევდა ან, უკეთ რომ ვთქვათ, აზრით ხვდებოდა, სად რა ეწერა.

მამას ცუდი ხელი ჰქონდა და ამავე დროს საშინელი ჩვეულება — ჩაემატებინა სტრიქონებს შუა მთელი ფრაზები, ჩაეწერა სიტყვები ფურცლის კუთხეებში და ზოგჯერ ნაწერის გარდიგარდმოც.

ხშირად დედა აწყდებოდა გრამატიკულ შეცდომებს, უთანხმებდა მამას და ასწორებდა.

როცა დაიწყო „ანა კარენინას“ ბეჭდვა „რუსკი ვესტნიკში“, კორექტურის სვეტებად ანაწყობები მამას ფოსტით ეგზავნებოდა გადასახედად და ჩასასწორებლად.

თავდაპირველად ანაწყობის არეზე ჩნდება კორექტურული ნიშნები, გამოტოვებული ასოები, ჩასწორებული სასვენი ნიშნები, შემდეგ იწყება გადახაზვ-გადმოხაზვა, ჩამატებანი. საბოლოოდ კორექტურა ისეა აჭრელებული და ალაგ-ალაგ გადაშლილი, მისი ამგვარი სახით გაგზავნა წარმოუდგენე-

ლია. კაციშვილი, დედაჩემის გარდა, პირობითი ნიშნების, გადატანილი და გადაშლილი სიტყვების ამ კორიანტელში თავსა და ბოლოს ვერ გაარკვევს.

დედა მთელ ღამეს ზის და წერს.

დილით კი მაგიდაზე აწყვია გადათეთრებული, გარკვეული ხელით გადაწერილი ფურცლები და ყველაფერი მზადაა იმ დროისათვის, როცა „ლიოვოჩკა ადგება".

მალე მამაც დგება, გააქვს ფურცლები კაბინეტში, რომ „საბოლოოდ" გადახედოს. საღამოთი კი ყველაფერი თავიდან იწყება, ხელნაწერი კვლავ გადაკეთებულია და ერთიანად აჭრელებული.

— სონია, ძვირფასო, მაპატიე, ისევ წყალში ჩაგიყარე შრომა, მეტს აღარ ვიზამ, — ეუბნება იგი დედას დამნაშავესავით და აწვდის ფურცლებს, — ხვალ უეჭველად გავგზავნი. — ეს „ხვალ" კი ხშირად კვირაობით და თვეობით გრძელდებოდა.

— მე მხოლოდ ერთ ადგილს ჩავხედავ, — თავს იმშვიდებდა ხოლმე მამა, შემდეგ სამუშაო იტაცებდა და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ფოსტით გაგზავნილ კორექტურაში მამა მოინდომებდა ცალკეული სიტყვების შეცვლას და ტელეგრაფით უკავშირდებოდა რედაქციას.

ამის გამო ბეჭდვა „რუსკი ვესტნიკში" ყოვნდებოდა და წიგნიც რამდენიმე თვის დაგვიანებით გამოდიოდა.

როცა მამა „ანა კარენინას" მერვე თავზე მუშაობდა, რუსეთ-თურქეთის ომი იყო. ომის მაუწყებელი გახლდათ 1876 წელს გამოჩენილი არაჩვეულებრივი სილამაზის კომეტა და უჩვეულოდ წარმტაცი ჩრდილოეთის ციალი. მისი მზერით ვტკბებოდით ზამთრის გრძელ ღამეებში.

ეს ცეცხლოვანი ციალი და კუდიანი ვარსკვლავების კაშკაშა ნათება რაღაც სტიქიურსა და ავბედითს გვიქადდა.

იმხანად მამა და ჩვენი ოჯახის წევრები, მათ შორის ბავშვებიც, დიდად დაინტერესებული ვიყავით ომით.

მოვიდოდა თუ არა ტულიდან გაზეთები, მაშინვე წაიკითხავდნენ ხმამაღლა და მთელი სახლი გროვდებოდა მოსასმენად.

ყველა გენერალს ვიცნობდით არა მარტო სახელითა და მამის სახელით, არამედ სახითაც, რადგან მათი პორტრეტები კალენდრებში, ბაზრულ სურათებსა და შოკოლადის კამფეტებზედაც კი იბეჭდებოდა.

დიაკოვებმა ნაძვის ხეზე გვაჩუქეს მთელი პოლკი სათამაშო ჯარისკაცებისა — თურქებისა და რუსების. ჩვენც მეტი რა გვინდოდა, დილიდან საღამომდე ომობანას ვთამაშობდით.

ბოლოს შევიტყვეთ, რომ ტულაში ჩამორეკეს ტყვე თურქების მთელი გროვა და აი, ერთხელ მე და მამა წავედით მათ სანახავად.

მახსოვს, როგორ შევედით ქვის დიდი გალავნით შემორაგულ ეზოში და დავინახეთ რამდენიმე თურქი. ლამაზი ვაჟკაცები იყვნენ, ეხურათ წითელი ქუდები და განიერი ლურჯი შარვლები ეცვათ.

მამა გაბედულად მიუახლოვდა მათ და გამოელაპარაკა.

ზოგიერთმა რუსული იცოდა და პაპიროსი სთხოვეს. მამამ პაპიროსიც მისცა და ფულიც.

მერე გამოკითხა, თუ როგორ ცხოვრობდნენ, დაუმეგობრდა ტყვეებს

და ორი ზორბა თურქი კიდევაც შეაჭიდა. მერე თურქი რუს ჯარისკაცსაც დაეჭიდა.

— რა ლამაზი, სანდომიანი და უწყინარი ხალხია, — თქვა მამამ, როცა წამოვედით. მართალი გითხრათ, გამიკვირდა, ასე კარგად რომ მოეპყრა იმ საშიშ თურქებს. მათ უნდა სცემდე და არ ინდობდე — აბა, რატომ სჭრიან ყელს ბულგარელებს და ხოცავენ რუსებს?

„ანა კარენინას" ბოლო თავში, სადაც ვრონსკის კარიერის დასასრულს აღწერს, მამა უარყოფითად იხსენიებს მოხალისეთა რაზმებს და სლავურ კომიტეტებს, რის გამოც უთანხმოება მოუვიდა კატკოვთან.

მახსოვს, როგორ გაცხარდა, როცა კატკოვმა უარი უთხრა ამ თავების მთლიანად დაბეჭდვაზე, სთხოვა — შეამცირე ან შეარბილეო, ბოლოს კი ხელნაწერი უკან დაუბრუნა. კატკოვმა თავის ჟურნალში გამოაქვეყნა პატარა შენიშვნა. შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ გმირი ქალის სიკვდილით რომანი, არსებითად, მთავრდება, შემდეგ მოდის ორგვერდიანი ეპილოგი, სადაც სხვადასხვა ამბებია მოთხრობილი და სასურველია ავტორმა ეს თავები „განავრცოს თავისი რომანის საგანგებო გამოცემაშიო".

ამ შემთხვევის გამო მამა წაეჩხუბა კატკოვს და მას შემდეგ აღარც შერიგებია.

სხვათა შორის, კატკოვთან დაკავშირებით, მაგონდება მამაჩემის ერთი უაღრესად თავისებური გამონათქვამი: ის ამბობდა, ლიტერატორ ადამიანებს მეტწილად სრულებით არ ეხერხებათ ლაპარაკი და პირიქით — მჭევრმეტყველ ადამიანებს სრულებით არ ეხერხებათ წერაო.

პირველი შემთხვევის მაგალითად მოჰყავდა კატკოვი. იგი საუბრისას, მისი თქმით, ბლუკუნებდა და ორ სიტყვას ერთმანეთზე ვერ აბამდა, მეორის მაგალითად კი ასახელებდა მრავალ ცნობილ ორატორს, მათ შორის ფ. ნ. პლევაკოს.

დაბოლოს, მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრათ იმის თაობაზე, თუ რა აზრისა იყო მამა „ანა კარენინაზე".

1877 წელს იგი ასე წერს ნ. ნ. სტრახოვს: „ანა კარენინას" ბოლო ნაწყვეტის წარმატებამ, უნდა გამოგიტყდე, ძლიერ გამახარა. არაფრით კი არ ველოდი, მერწმუნე, ძლიერ მაოცებს ის ამბავიც, რომ ასეთი ჩვეულებრივი და უბადრუკი რამ მოსწონთ".

1875 წელს კი ფეტს სწერდა:

„ორი თვეა ხელები მელნით არ გამისვრია და გული ფიქრებით, ახლა კი ვიწყებ მოსაწყენ, უხამს „კარენინას". ჩემი ერთადერთი სურვილია — ჩქარა განვთავისუფლდე და მოვიცალო სხვა საქმეებისათვის, ოღონდ არა პედაგოგობისთვის. მიუხედავად დიდი სიყვარულისა, ამას თავი უნდა დავანებო. ძლიერ ბევრ დროს მართმევს".

1876 წელს მამა ნ. ნ. სტრახოვს სწერს:

„შიში მიპყრობს, რადგან ვგრძნობ, როგორ მეუფლება საზაფხულო განწყობილება. მეზიზღება ყველაფერი, რაც დამიწერია. ახლაც მიდევს კორექტურები აპრილის წიგნისა და ვშიშობ, ძალა არ მეყოფა მათ გასასწორებლად. ყველაფერი საძაგელია, ყველაფერი გადასაკეთებელი, ყველაფერი, რაც დაიბეჭდა, უნდა აჭრელდეს, გადაიყაროს, დაიგმოს, მერე კი

ვალიარო: მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამ-მეთქი, და ვწერო სულ სხვა რამ — ახალი, ოღონდ არა ასეთი აბდაუბდა, რაიც არც წყალია და არც ღვინო".

ასეთი აზრის იყო მამა თავის რომანზე მუშაობის პერიოდში.

შემდგომში არაერთხელ მსმენია მისგან უფრო სასტიკი შეფასებაც:

— განა ასეთი ძნელი დასაწერია, როგორ შეიყვარა ოფიცერმა ქალბატონი? — ამბობდა იგი, — აქ სულაც არაფერია უჩვეულო და არც კარგი. ეს ყველაფერი საძაგელია და უვარგისი!

ეჭვი არ მეპარება, მამას რომ შესძლებოდა, ადრევე გაანადგურებდა ამ რომანს, არასდროს რომ ყვარებია და არ მოსწონებია.

ფეტი, სტრახოვი, გე

— ეს ვისი ხმალია? — ჰკითხა გვარდიის პორუჩიკმა, ყმაწვილმა ათანასე ფეტმა ლაქიას, როცა დერეფანში შევიდა ივანე ტურგენევთან. ეს ამბავი მოხდა პეტერბურგში, ორმოცდაათიან წლებში.

— გრაფ ტოლსტოისა გახლავთ. ჩვენთან ათევს ღამეს, სასტუმრო ოთახში, ივან სერგეევიჩი კი კაბინეტში ჩაის მიირთმევს, — უპასუხა ზაქარიამ.

— მთელ საათს დავრჩი ტურგენევთან, — ჰყვება ფეტი თავის მოგონებებში, — ორივენი ხმადაბლა ვლაპარაკობდით, რომ არ გაგვეღვიძებინა მეორე ოთახში მძინარე გრაფი.

— აი, სულ ასეა, — მითხრა სიცილით ტურგენევმა, — რაც სევასტოპოლის ბატარეადან დაბრუნდა, ჩემი სტუმარია და თავაშვებულ ცხოვრებას ეწევა. ქეიფს, ბოშებსა და ბანქოს გადაჰყვა. ღამეებს ათენებს, დილით კი მკვდარივით სძინავს. ბევრი ვუშალე, მაგრამ ვერაფერს გავხდი და ხელი ჩავიქნიე...

ერთი-ორი დღის შემდეგ გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფორმალური გაცნობა. იმ ხანებში ტოლსტოის მე არაფერი წამეკითხა და არც მისი ლიტერატურული სახელი გამეგონა, თუმცა ტურგენევი ბევრს ლაპარაკობდა ტოლსტოის პირველსავე მოთხრობებზე.

მალე მას შემდეგ მამა ფეტს დაუახლოვდა და ეს ორი ადამიანი დამეგობრდა. მათი მიმოწერა თითქმის ფეტის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა.

მხოლოდ ფეტის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როცა მამა ახალმა, ფეტისთვის სრულიად უცხო იდეებმა გაიტაცა, მათი ურთიერთობა დაიძაბა და ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ.

გაცნობის პირველი დღეებიდანვე მათი ცხოვრების გზები პარალელურად წარიმართა.

ერთმანეთი რომ გაიცნეს, ორივენი ახალგაზრდა ოფიცრები იყვნენ, დამწყები ლიტერატორები.

შემდეგ ორივე დაქორწინდა (ფეტი გაცილებით ადრე) და დასახლდა სოფლად.

ფეტი ცხოვრობდა თავის ხუტორში, სტეფანოვკაში (მცენსკის მაზრაში). ეს ხუტორი ტურგენევის მამულის სპასკოე-ლუტოვინოვის მახლობლად

იყო. ერთხანობას მასთან სტუმრად იკრიბებოდნენ მამა, მისი უფროსი ძმა — ნიკოლოზი და ივანე ტურგენევი.

იქ ისინი ნადირობდნენ როჭოებზე და ხშირად გადადიოდნენ სპასკში, სპასკიდან კი ნიკოლსკო-ვიაზემსკოეში, ბიძაჩემის — ნიკოლოზ ტოლსტოის მამულში.

სწორედ ფეტთან, სტეფანოვკაში, მოუვიდათ ჩხუბი მამასა და ტურგენევს.

ჯერ კიდევ რკინიგზის გაყვანამდე მოსკოვს ეტლით მიმავალი ფეტი უეჭველად შემოივლიდა ხოლმე იასნაია პოლიანაში, მამასთან. ეს უკვე ყველასათვის ტრადიციად იქცა.

შემდგომში, როცა რკინიგზის ხაზი გაიყვანეს და მამა უკვე ცოლიანი იყო, ფეტი კვლავ არ ღალატობდა ჩვეულებას და გვერდს არ უვლიდა ჩვენს კარმიდამოს. თუ ასეთი რამ მაინც მოხდებოდა, მამა სასტიკ საყვედურებს უთვლიდა და ისიც დამნაშავესავით უბოდიშებდა.

იმ შორეულ ხანაში, რომელზედაც ახლა მოგახსენებთ, მამას ფეტთან აკავშირებდა როგორც ლიტერატურული, ისე სამეურნეო ინტერესები.

საინტერესოა მამის ზოგიერთი წერილი, რომლებიც სამოციან წლებს განეკუთვნება. მაგალითად: 1860 წელს იგი მსჯელობს ერთ წერილში ტურგენევის ახალგამოსულ რომანზე „წინადღით“ და შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „რა ღირს ბეითლის საუკეთესო იარაღი ცხენის საექიმოდ? რა ღირს წყვილი ლანცეტი და კოტოშები?“

მეორე წერილში მამა წერს: „ამავე ფოსტით წერილს ვგზავნი ნიკოლსკოეში, რომ ფაშატისათვის კაცი გაგზავნონ... ფასი, ყოველ შემთხვევისათვის, მომწერეთ“. და იქვე უმატებს: „აქ ყველაფერი საუცხოოა, უკეთესი თქვენი არაფერი წამიკითხავს“ (იგულისხმება ფეტის ლექსი „გადაგვიქროლა უკანასკნელი ღრუბლების წყებამ“).

მაგრამ მამაჩემსა და ათანასე ფეტს მხოლოდ ერთნაირი შეხედულებანი როდი აკავშირებდა.

მათი სიახლოვის მიზეზი, მამაჩემის სიტყვით, ის გახლდათ, რომ „ერთნაირად ფიქრობდნენ გულითაც“.

„ათასგვარ შეუმჩნეველ თვისებათაგან მე თქვენში უეცრად აღმოვაჩინე ჩემი მონათესავე სულიც“, — სწერს მამა ფეტს 1876 წელს და იმავე წელს იმეორებს: „საოცარია, რარიგ ახლობლები ვართ ერთმანეთისათვის გონებითა და გულით“.

მამა ფეტზე ამბობდა, მისი მთავარი დამსახურება ის არის, რომ დამოუკიდებლად აზროვნებს, არავისგან არ სესხულობს აზრებსა და სახეებსო. ალბათ ამიტომაც მიიჩნევდა მას ტიუტჩევთან ერთად ჩვენს საუკეთესო პოეტად. ფეტის გარდაცვალების შემდეგადაც ხშირად გაიხსენებდა ხოლმე მის ზოგიერთ ლექსს, მომიბრუნდებოდა და მეტყოდა: „ილუშა, ერთი მითხარი ის ლექსი „ვფიქრობდი, მაგრამ აღარ მახსოვს, რასა ვფიქრობდი...“ ან „ხალხს სძინავს...“ ალბათ გეცოდინება“. აღტაცებული მიგდებდა ყურს, საუკეთესო ადგილებს მკარნახობდა და ხშირად თვალები ცრემლით ევსებოდა.

* * *

მე მახსოვს ფეტის სტუმრობა სულ პატარაობიდან.

თითქმის ყოველთვის თან ახლდა თავისი მეუღლე მარია პეტროვნა და ხშირად რამდენიმე დღე რჩებოდა ჩვენთან.

მას გრძელი, შეჭაღარავებული წვერი ჰქონდა, ტიპიური ებრაული სახე, პატარა ქალური ხელები და არაჩვეულებრივად გრძელი, მოვლილი ფრჩხილები.

დაბალი, ბოხი ხმით ლაპარაკობდა და ერთთავად ახველებდა, მერე შეისვენებდა ხოლმე, თავს დაბლა დახრიდა, გაბმით ჩაიდუდუნებდა — ჰმ... ჰმო, წვერზე ხელს ჩამოისვამდა და საუბარს განაგრძობდა.

ზოგჯერ ისეთ რამეს იტყოდა, ყველანი გულიანად ვხარხარებდით.

მოგვწონდა მისი ხუმრობა, ფრთიან სიტყვას ისე უეცრად გამოახტუნებდა, თავადაც გაოცებული რჩებოდა.

ჩემი და ტანია ჩინებულად ბაძავდა ფეტს ლექსების კითხვაში:

„აი პოოორტრეტიც, კიდეც ჰგავს და კიდეც არა ჰგავს, ჰმ, ჰმ... რითი ჰგავს ანდა რითი არ ჰგავს, როგორ გავიგო... ჰმ,... ჰმ... ჰმ... ჰმმმ!“

ბავშვობაში (ეს ეხება ადრეულ ასაკს), პოეზია ნაკლებად გაინტერესებს.

ლექსები თითქოს იმისთვის გამოუგონიათ, რომ ჩვენ, ბავშვებს იძულებით დაგვაზეპიროონ.

პუშკინის ლექსმა — „შემოცვივდა ქოხში ცეტი, დაფეთებულ ბავშვთა ჯარი“ და ლერმონტოვის „ანგელოსმა“ ისე მომაბეზრა თავი, რომ შემდგომში კარგა ხანს ყოველგვარი ლექსის წაკითხვა სასჯელად მიმაჩნდა.

ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ პატარაობისას ფეტი სრულებით არ მიყვარდა და არც ვკითხულობდი. ასე მეგონა, მამა იმიტომ დაუმეგობრდა, რომ „სასაცილო“ კაცი იყო.

მხოლოდ კარგა მოგვიანებით შევიცანი იგი, როგორც პოეტი, და ჭეშმარიტად შევიყვარე.

* * *

მაგონდება აგრეთვე ნიკოლოზ სტრახოვის სტუმრობაც.

იგი უაღრესად წყნარი და მოკრძალებული კაცი იყო.

იასნაია პოლიანაში პირველად ჩამოვიდა სამოცდაათიანი წლების დამდეგს და მას შემდეგ ყოველ ზაფხულს ჩვენთან ატარებდა.

სტრახოვს მუდამ გაოცებით მზირალი დიდრონი თვალები და ჭაღარა წვერი ჰქონდა. საუბრის დროს ყოველი ფრაზის დაბოლოებისას მორცხვად ჩაიცინებდა ხოლმე: ხა, ხა, ხა...

მამას ლევ ნიკოლაევიჩს კი არ ეძახდა, არამედ ლიოვ ნიკოლაევიჩს და ამ „იო“-ს რბილად გამოთქვამდა.

ცხოვრობდა ქვემოთ, მამას კაბინეტში, დილიდან საღამომდე პირში თვითნაკეთი პაპიროსი ჰქონდა გაჩრილი და ან წერდა, ან კითხულობდა.

სადილობამდე ერთი საათით ადრე, როცა კართან ცხენებშებმულ ფორანს მოგვაყენებდნენ და დიდი თუ პატარა საბანაოდ გავემზადებოდით, ნი-

კოლოზ სტრახოვიც გამოდიოდა თავისი ოთახიდან, თავზე რბილი ნაცრისფერი ქუდი ეხურა, ხელში კი ჯოხი და პირსახოცი ეჭირა.

ყველას ძლიერ გვიყვარდა იგი, უფროსებსა თუ პატარებს. ვერც კი წარმომიდგენია, რომ შეიძლებოდა ვინმესთვის არასასურველი ყოფილიყო.

სტრახოვი ჩინებულად კითხულობდა კოზმა პრუტკოვის ერთ სახუმარო ლექსს — „ჭკნება ფოთოლი". ბავშვები ხშირად ხვეწნა-მუდარით გულს ვუწყალებდით, ვიდრე არ გადაიხარხარებდა და თავიდან ბოლომდე არ ჩაათავებდა: „იუნკერო შმიდტ, ღმერთმანი, ზაფხული დაბრუნდა". — ბოლო სიტყვას ხაზგასმით წარმოთქვამდა და შემდეგ უეჭველად ჩაიცინებდა: ხა, ხა, ხა!

სტრახოვს ეკუთვნის პირველი და ყველაზე საუკეთესო კრიტიკული ნაშრომები, სადაც შეფასებულია „ანა კარენინა" და „ომი და მშვიდობა".

როცა „დედაენა" და „საკითხავი წიგნები" მზადდებოდა, სტრახოვი ეხმარებოდა მამას მათ გამოცემაში.

ამასთან დაკავშირებით დაიწყო მამასა და სტრახოვს შორის გაცხოველებული მიმოწერა, თავდაპირველად საქმიანი, შემდეგ კი ფილოსოფიური და მეგობრული.

„ანა კარენინაზე" მუშაობის დროს მამა დიდ ანგარიშს უწევდა სტრახოვის აზრს და აფასებდა მის კრიტიკულ ალღოს.

„ჩემთვის ისიც კმარა, რომ თქვენ ასე გესმით", — სწერს მას მამა ერთ წერილში 1872 წელს („კავკასიის ტყვეს" გამო).

1876 წელს კი, უკვე „ანა კარენინას" თაობაზე, მამა სწერდა:

„თქვენ მეკითხებით, სწორად გაიგეთ თუ არა ჩემი რომანი და რა აზრისა ვარ თქვენს მოსაზრებებზე. რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ისეა, როგორც თქვენ ფიქრობთ. მე აუწერელ სიამოვნებას მანიჭებს თქვენეული გაგება, მაგრამ ყველანი ვალდებული ოდი არიან, ისე გაიგონ, როგორც თქვენ გესმით".

მხოლოდ კრიტიკული მოღვაწეობა არ ყოფილა სტრახოვის მამაჩემთან დაახლოების მიზეზი.

მამას საერთოდ არ უყვარდა კრიტიკოსები და ამბობდა, ამ საქმით მხოლოდ ისინი არიან დაკავებული, ვისაც თავად არაფრის შექმნა არ შეუძლიათ.

სულელები განიკითხავენ ჭკვიანებსო, — ხშირად უთქვამს პროფესიულ კრიტიკოსებზე.

რაც შეეხება სტრახოვს, მამა დიდ პატივს სცემდა, როგორც უაღრესად განათლებულ და დაკვირვებულ მოაზროვნეს.

უბრალო საუბრის დროსაც კი, როცა მამა რაიმე მეცნიერულ შეკითხვას მისცემდა (სტრახოვი განათლებით ბუნებისმეტყველი იყო), მე მახსოვს, ისეთი არაჩვეულებრივი სიზუსტითა და სიცხადით ჩამოაყალიბებდა ხოლმე პასუხს, თავი კარგი მასწავლებლის გაკვეთილზე გეგონებოდათ.

„იცით, რამ გამაოცა თქვენში ყველაზე მეტად? — სწერს მამა სტრახოვს ერთ წერილში, — სახის გამომეტყველებამ, როცა ერთხელ ბაღიდან კაბინეტში შემოაღეთ კარი და არ იცოდით, იქ თუ ვიყავი. ამ გამომეტყველებამ, უცხომ, დაფიქრებულმა და მკაცრმა, შემაძლებინა თქვენი შეცნობა

(რაღა თქმა უნდა, იმის შემწეობით, რასაც წერთ და ამბობთ). დარწმუნებული ვარ, ფილოსოფიური მოღვაწეობისათვის ხართ დაბადებული... თანაც ერთი ისეთი თვისება გაქვთ, არც ერთი რუსისათვის რომ არ შემინიშნავს — ესაა ნათელი, ლაკონური თხრობა და ამავე დროს ძალასთან შერწყმული სისათუთე: თქვენ კბილებით კი არ ბრდღვნით, არამედ ფაფუკი, ძლიერი თათებით".

სტრახოვი მამაჩემის „ნამდვილი მეგობარი" იყო (როგორც თავად შეარქვა) და მას ულრმესი პატივისცემითა და სიყვარულით ვიგონებ.

* * *

დაბოლოს, მინდა მოვიგონო მამაჩემისათვის სულით ყველაზე ახლობელი ადამიანი — ნიკოლოზ გე.

„პაპა გე", როგორც მას ვეძახდით, მამამ 1882 წელს გაიცნო.

იგი თავის ხუტორში, ჩერნიგოვის გუბერნიაში ცხოვრობდა. ერთხელ შემთხვევით წააწყდა მამაჩემის წერილს „აღწერის თაობაზე". ამ წერილში ჰპოვა პასუხი იმ საკითხებზე, რაც თავად სტანჯავდა, ჰოდა, ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე მოაშურა მოსკოვს.

მახსოვს მისი პირველი სტუმრობა. მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მამაჩემმა და გემ პირველი სიტყვებიდანვე გაუგეს ერთმანეთს და ერთ ენაზე ალაპარაკდნენ.

მამაჩემივით იმ ხანებში ისიც მძიმე სულიერ კრიზისს განიცდიდა, ჭეშმარიტების ძიებაში თითქმის იმავე გზით მიდიოდა, როგორც მამა. ბოლოს სახარების შესწავლა დაიწყო და ახლებურად აღიქვა იგი.

„ქრისტეს პიროვნებას, — წერდა ჩემი და ტატიანა მისდამი მიძღვნილ წერილში „იასნაია პოლიანას მეგობრები და სტუმრები", — იგი მხურვალე და ნაზი სიყვარულით ეკიდებოდა, უახლოეს ადამიანად მიიჩნევდა, მთელი სულითა და გულით რომ უყვართ. ხშირად, მწვავე კამათისას ჯიბიდან ამოიღებდა სახარებას, რომელსაც სულ თან დაატარებდა, და შესაბამის ადგილებს უკითხავდა მოსაუბრეებს.

ამ წიგნში ყველაფერია, რაც კი ადამიანს სჭირდებაო, — ამბობდა ხოლმე ასეთ წუთებში.

სახარების კითხვისას იგი ხშირად აპყრობდა მზერას მსმენელს და ზეპირად განაგრძობდა, წიგნში ჩაუხედავად. სახე ამ დროს ისეთი შინაგანი ალტაცებით უნათდებოდა, აშკარა იყო, რა ძვირფასი და ახლობელი გამხდარიყო მისთვის ყოველი სიტყვა.

გემ თითქმის ზეპირად იცოდა სახარება, მაგრამ, მისი სიტყვით, ყოველთვის, როცა კი კითხულობდა, მუდამ ჭეშმარიტ სულიერ სიამოვნებას განიცდიდა. სახარებაში მისთვის არათუ ყველაფერი იყო გასაგები, არამედ მისი კითხვისას თითქოს საკუთარ სულს შეიცნობდა და ძალას გრძნობდა ასულიყო მაღლა, უზენაესთან, რათა შერწყმოდა მას".

ხამოვნიკში ჩამოსვლისას გემ სურვილი გამოთქვა, დაეხატა ჩემი დის ტანიას პორტრეტი.

— მინდა გადაგიხადოთ ის სიკეთე, რაც ჩემთვის გაგიკეთებიათ, — თქვა მან.

მამამ სთხოვა დაეხატა დედაჩემის სურათი. გემ მეორე დღესვე მოიტანა საღებავები, ტილო და მუშაობა დაიწყო.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ხატავდა, მაგრამ მიუხედავად მის თანამგრძნობელ მაყურებელთა ათასგვარი შენიშვნებისა, ყურადღებით რომ ისმენდა და ითვალისწინებდა, ან იქნებ ამ შენიშვნების წყალობითაც პორტრეტი უხეირო გამოვიდა და გემ იგი თვითონვე გაანადგურა.

როგორც ნატიფ ხელოვანს, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილებდა მხოლოდ გარეგნული მსგავსება. თვითონვე შეძრწუნდა, როცა დახატა „ხავერდისკაბიანი ქალბატონი, ჯიბეში რომ ორმოცი ათასი აქვს“, და გადაწყვიტა ყველაფერი თავიდან დაეწყო.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ახლოს გაიცნო და შეიყვარა დედაჩემი, შესძლო დაეხატა იგი. სურათზე დედა მთელი ტანითაა გამოსახული და ხელში ჩემი უმცროსი და — საშა უჭირავს.

პაპა გე ხშირად ჩამოდიოდა ჩვენთან სტუმრად, მოსკოვშიაც და იასნაიაშიაც და გაცნობისთანავე ჩვენი ოჯახის ახლობელ, შინაურ კაცად იქცა.

როცა იგი მამის პორტრეტს ხატავდა, მისივე კაბინეტში, მოსკოვში, მამა ისე შეეჩვია, რომ სრულებით არ აქცევდა ყურადღებას და მუშაობდა, თითქოს ოთახში მარტოკა იყო. ამავე კაბინეტში ათევდა ღამეს პაპა გე.

მას საოცრად საყვარელი, ინტელიგენტური სახე ჰქონდა.

მხრებზე ჩამოფენილი გრძელი, შეჭაღარავებული კულულები, შიშველი თავის ქალა და ნათელი, ჭკვიანური თვალები ბიბლიური წინასწარმეტყველის იერს აძლევდა.

საუბრის დროს, როცა ავნთებოდა (ენთებოდა კი ყოველთვის, უკეთუ საუბარი სახარების მოძღვრებასა და ხელოვნებას შეეხებოდა), მოელვარე თვალები და ენერგიული ჟესტები მართლა მქადაგებელს ამგვანებდა. საოცარია, რომ იმ ხანებშიაც კი, როცა თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისა ვიყავი და რწმენის საკითხები სრულებით არ მაინტერესებდა, „პაპას“ ქადაგების მოსმენა მიყვარდა და არ მიმძიმდა. ალბათ იმიტომ, რომ მის სიტყვებში დიდ გულწრფელობასა და სიყვარულს ვგრძნობდი.

მამაჩემის გავლენით ნიკოლოზ გემ კვლავ მიჰყო ხელი ხატვას. ის ხომ დიდი ხანია აღარ ხატავდა. მისი ბოლო ნამუშევრები: „რა არის ჭეშმარიტება“, „ჯვარცმა“ და სხვანი უკვე სახარების სიუჟეტთა ახლებური გაგებისა და განმარტების ნაყოფია, თანაც ნაწილობრივ მამაჩემის მიერ შთაგონებულიც.

ვიდრე ხატვას შეუდგებოდა, იგი დიდხანს ფიქრობდა ხოლმე სურათზე და ყოველთვის წერილობით ან სიტყვიერად აცნობდა თავის ჩანაფიქრს მამაჩემს. იგი დიდად თანაუგრძნობდა და გულწრფელ აღტაცებას გამოთქვამდა მისი ნატიფი გემოვნებისა და ოსტატობის გამო.

ნიკოლოზ გესთან მეგობრობას მამა ძლიერ უფრთხილდებოდა.

ეს იყო პირველი ადამიანი, ვინაც სავსებით გაიზიარა მისი შეხედულებანი და ამავე დროს გულწრფელად შეიყვარა.

ორივენი ჭეშმარიტებას ეძიებდნენ, ორივე შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა მას, მუდამ მხარდამხარ იღვწოდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ ერთნაირ განცდებს.

მამა ადევნებდა თვალყურს გეს მხატვრულ შემოქმედებას. ასევე გეც წაუკითხავს არ სტოვებდა მამაჩემის არც ერთ სტრიქონს, თვითონვე იწერდა ხელნაწერებიდან და ყველას ეუედრებოდა გაეგზავნათ მისთვის, თუკი მამა ახალს რაიმეს შექმნიდა.

ორივემ ერთდროულად გაანება თავი თამბაქოს წევას და ვეგეტერიანობის მიმდევარი გახდა.

მათი შეხედულებები დაემთხვა ფიზიკური შრომის აუცილებლობის აღიარებაშიც.

თურმე გეს შესანიშნავად ეხერხებოდა ღუმელის დადგმა და თავის ხუტორში თვითონ უდგამდა ღუმელებს შინაურებსა და გლეხებს.

ეს რომ შეიტყო, მამამ სთხოვა დაედგა ღუმელი ერთი იასენელი ქვრივისათვის. მამამ ამ ქალს თავისი ხელით აუშენა ალიზის ქოხი.

პაპა გემ წინსაფარი გაიკეთა და სამუშაოდ წავიდა.

იგი ოსტატი იყო, მამა კი შეგირდის როლს ასრულებდა.

ნიკოლოზ გე გარდაიცვალა 1894 წელს.

როცა იასნაიაში მისი გარდაცვალების დეპეშა მოვიდა, ჩემი დები — ტატიანა და მაშა ისე გაოგნდნენ, ვერაფრით ვერ გაბედეს მამისათვის ამ ამბის გამხელა.

ეს მძიმე მოვალეობა ბოლოს დედამ იკისრა.

ტურგენევი

მე არ მინდა ვილაპარაკო იმ გაუგებრობაზე, მამაჩემსა და ტურგენევს შორის რომ მოხდა და საბოლოოდ სრული განხეთქილებით დამთავრდა 1861 წელს.

ამ ამბის ფაქტიური მხარე ყველასათვის ცნობილია და გამეორებას აზრი არა აქვს.

საყოველთაოდ აღიარებული აზრის თანახმად იმ დროის ორ საუკეთესო მწერალს შორის უსიამოვნება ჩამოვარდა ლიტერატურული გაჯიბრების საფუძველზე.

ამ შეხედულებას პირადად მე არ ვიზიარებ. ვიდრე მოგითხრობდეთ ტურგენევის მიერ იასნაია პოლიანაში გატარებულ დღეებზე, მინდა, რამდენადაც შევძლებ, გავარკვიო ნამდვილი მიზეზი ამ ორი კარგი და ერთმანეთის გულწრფელად მოყვარული ადამიანის გამუდმებული კინკლაობისა, რამაც ისინი უთანხმოებამდე მიიყვანა.

რამდენადაც ვიცი, მამაჩემს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ტურგენევის გარდა, არავისთან მოსვლია მძაფრი შეტაკება. ტურგენევიც მამაჩემისადმი მიწერილ წერილში 1856 წელს ასე წერს: „...თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, ვისთანაც უთანხმოება მომივიდა“.

როცა მამა ყვებოდა ტურგენევთან მომხდარ უთანხმოებაზე, ყოველთვის თავის თავს ადანაშაულებდა. ტურგენევიც, მამასთან ჩხუბის შემდეგ მუდამ წერილობით უხდიდა ბოდიშს და თავს არასოდეს იმართლებდა.

მაშ რა იყო იმის მიზეზი, ტურგენევის თქმისა არ იყოს, მათი „თანავარსკვლავედები“ ასე ერთმანეთის „საპირისპირო, მტრული მიმართულებით რომ მოძრაობდნენ ეთერში?“.

აი, რას წერს ამის თაობაზე ჩემი და ტატიანა თავის წიგნში:

„ლიტერატურულ გაჯიბრებაზე, ჩემი აზრით, ლაპარაკიც კი ზედმეტია. ტურგენევმა მამაჩემი ლიტერატურულ სარბიელზე გადადგმული პირველი ნაბიჯებიდანვე უდიდეს ტალანტად აღიარა და მასთან გაჯიბრება არასოდეს უფიქრია. იგი ჯერ კიდევ 1854 წელს სწერდა კოლბასინს: „ოღონდაც დასცალდეს ტოლსტოის სიცოცხლე და ღრმად დარწმუნებული ვარ, იგი ყველას გაგვაოცებს“. ამ დროიდან მოკიდებული, ტურგენევი თვალს ადევნებდა მამაჩემის ლიტერატურულ მოღვაწეობას და აღტაცებით ეხმიანებოდა.

„როცა ეს მაჭარი დადულდება. — წერს იგი 1856 წელს დრუჟინინს, — მისგან ღმერთების საკადრისი სასმელი დადგება“.

1857 წელს კი პოლონსკის წერდა: „ეს კაცი შორს წავა და ღრმა კვალსაც მოიტოვებს“.

ამავე დროს კი ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გამონახეს საერთო ენა...

როცა მამაჩემის სახელზე გამოგზავნილ ტურგენევის წერილებს კითხულობთ, შეამჩნევთ, რომ მათ შორის გაუგებრობას დასაწყისშივე უჩენია თავი. ორივე მხარე ცდილობდა წყენა მიეჩქმალა ან გულიდან ამოელო, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გაუგებრობა უკვე სხვა, შეცვლილი სახით ამღვრევდა წყალს და საქმე კვლავ გასარკვევი, კვლავ მოსარიგებელი ხდებოდა.

1856 წელს ტურგენევი მამას სწერდა:

„თქვენმა წერილმა ჩემამდე საკმაოდ გვიან მოაღწია, ძვირფასო ლევ ნიკოლაევიჩ... უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ წერილი დაწერეთ და იმისათვისაც, რომ გამომიგზავნეთ. მე ყოველთვის მეყვარებით და ყოველთვის დავაფასებ თქვენს მეგობრობას — თუმცა ალბათ ჩემი მიზეზით ორივეს კარგა ხანს გაგვყვება ერთგვარი უხერხულობის გრძნობა. რატომ და რისთვის, ვფიქრობ, თქვენთვისაც ნათელია. თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, ვისთანაც უთანხმოება მომივიდა. ეს სწორედ იმიტომ მოხდა, რომ მე არ დავკმაყოფილდი უბრალო მეგობრული ურთიერთობით, უფრო მეტი სიახლოვე მოვინდომე, მაგრამ შევცდი, წინდაუხედავად მოვიქეცი, გული გატკინეთ და უკან დავიხიე, როგორც ჩანს, ძალზე სულსწრაფად. აი, რამ წარმოქმნა ჩვენ შორის „უფსკრული“.

მაგრამ ეს უხერხულობა — მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური შთაბეჭდილებაა და მეტი არაფერი. თუ თქვენთან შეხვედრისას თვალებში კვლავ „ეშმაკები ამითამაშდება“, ეს იმიტომ როდი მოხდება, რომ ცუდი კაცი ვარ. გარწმუნებთ, სხვა ახსნა ამას არც გააჩნია. ოღონდაც იმას თუ დავუმატებთ, რომ გაცილებით უფროსი ვარ თქვენზე და თანაც სხვა გზით მიმავალი... გარდა ეგრეთ წოდებული ლიტერატურული ინტერესებისა — მე ამაში დავრწმუნდი — ჩვენ შეხების წერტილები არ გაგვაჩნია, მთელი თქვენი ცხოვრება მომავლისაკენ მიისწრაფვის, ჩემი კი წარსულზეა ნაგები... მე თქვენ ვერ გამოგყვებით და ვერც თქვენ ივლით ჩემი გზით. ძლიერ შორსა ხართ ჩემგან; ამას გარდა, საკმაოდ მყარად დგახართ საკუთარ ფეხებზე, რომ ვისიმე მიმდევრობა გესაჭიროებოდეთ. მე შემიძლია დაგაჯეროთ, რომ არასოდეს მიგრძვნია თქვენგან სიავე და ლიტერატურული შური. ბევ-

რი რამ თქვენი (ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისათვის) მე უთავბოლოდ მიმიჩნევია, მაგრამ უმსგავსად კი არასოდეს. თქვენ საკმაოდ გამჭრიახი გონების პატრონი ხართ და არა მგონია, ვერ მიხვდეთ: თუ ჩვენგან რომელიმე შურის ღირსია, ყოველ შემთხვევაში, არა მე".

ერთი წლის შემდეგ მამას ტურგენევისაგან მოდის წერილი, რომელიც, ჩემი აზრით, ნათელსა ჰფენს მამაჩემისადმი მის დამოკიდებულებას:

„თქვენ მწერთ, ძლიერ კმაყოფილი ვარ, თქვენს რჩევას რომ არ დავუჯერე და მხოლოდ ლიტერატურით არ შემოვიფარგლეო. კეთილი, არ გეკამათებით, იქნებ მართალიც იყოთ, მაგრამ მე, ცოდვილს, ვერაფრით ვერ გამირკვევია: მაშ ვინ ხართ, თუ არა ლიტერატორი? ოფიცერი? მემამულე? ფილოსოფოსი? ახალი რელიგიური მოძღვრების ფუძემდებელი? საქმოსანი? თუ ღმერთი გწამთ, მიხსენით გაჭირვებისგან და მითხარით, ამ ვარაუდთაგან რომელია მართალი? მე ვხუმრობ, — სინამდვილეში ფრიად მოხარული დავრჩები, თუ დაბოლოს მთელი სისწრაფით, აფრაგაშლილი გაუტევთ წინ".

ვფიქრობ, ტურგენევი, როგორც ხელოვანი, მამაჩემში მხოლოდ მის უზარმაზარ ტალანტს აფასებდა და უფლებასაც არ აძლევდა ყოფილიყო რაღაც სხვა, გარდა ლიტერატორისა. მამაჩემის ყოველგვარი სხვა საქმიანობა თითქოს ანაწყენებდა და კიდეც აბრაზებდა, რომ მხოლოდ ლიტერატურულ საქმიანობას არ ახმარდა მთელ თავის ენერგიას მამა. იგი ბევრად უფროსი იყო მამაზე, თავს გაბედულად აღიარებდა ნაკლები ნიჭის პატრონად და მხოლოდ ერთ რამეს სთხოვდა: მთელი თავისი ნიჭი მწერლობისათვის მოეხმარებინა. მამა კი გულგრილად ეკიდებოდა მის დიდსულოვნებასა და თავმოდრეკას, არ ეპუებოდა და მიდიოდა იმ გზით, საითაც სულიერი მოთხოვნილებანი ეწეოდა. თავად ტურგენევის ჩვევები და ხასიათი აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა მამაჩემის ბუნებას. რამდენადაც ბრძოლა ალაფრთოვანებდა და ძალას მატებდა მამას — იმდენად უჩვეულო იყო ბრძოლა ტურგენევისათვის".

მე სავსებით ვეთანხმები ჩემი დის მოსაზრებას, მხოლოდ მინდა დავუმატო განსვენებული ბიძაჩემის — ნიკოლოზ ტოლსტოის სიტყვები: „ტურგენევი ვერაფრით ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ლიოვოჩკა იზრდება და თანდათანობით სცილდება მის კალთასო".

მართლაც, როცა ტურგენევი უკვე ცნობილი მწერალი იყო, ტოლსტოის არავინ იცნობდა, ფეტის თქმისა არ იყოს, „მხოლოდ იმ მოთხრობებზე ლაპარაკობდნენ, „ბავშვობის" ტომში რომ დაიბეჭდაო".

წარმომიდგენია, რა ფარული მოწიწებით მოექცეოდა ტურგენევს მაშინ სრულიად ახალგაზრდა და დამწყები მწერალი. მით უმეტეს, რომ ივანე ტურგენევი მისი საყვარელი უფროსი ძმის — ნიკოლოზის მეგობარი იყო.

ჩემი მოსაზრების დასტურად გამოდგება ნაწყვეტი ვ. პ. ბოტკინის წერილიდან. იგი მამაჩემისა და ტურგენევის მეგობარი იყო და აი, რას სწერდა ა. ფეტს უშუალოდ მათი უთანხმოების შემდეგ:

„ჩემი აზრით, ტოლსტოის უაღრესად მოსიყვარულე გული აქვს და დიდი სურვილი — უყვარდეს ტურგენევი მთელი მგზნებარებით, მაგრამ, საუბედუროდ, მის მხურვალე გრძნობას ეგებება უწყინარი, მშვიდი გულგრილობა და ამას ვერაფრით ვერ შეგუებია".

რაც შეეხება ტურგენევს, იგი ყვებოდა, რომ ნაცნობობის პირველ ხანებში მამა თურმე სულ კუდში დასდევდა „შეყვარებული ქალივით“, თავად კი გაურბოდა მისი ოპოზიციური განწყობილებით დაშინებული.

მე ვერ დავიჩემებ, მაგრამ ასე მგონია, როგორც ტურგენევს არ სურდა შემოფარგლულიყო მხოლოდ და მხოლოდ „უბრალო მეგობრული ურთიერთობით“, ასევე მამაჩემიც ძალზე გულმხურვალედ ეკიდებოდა მასთან მეგობრობას და სწორედ აშიტომ მთავრდებოდა ყოველი მათი შეხვედრა კამათითა და უსიამოვნებით.

მამაჩემს შესაძლოა აღიზიანებდა ოდნავ მფარველური კილო, რაც მასთან საუბარში დაამკვიდრა ტურგენევმა გაცნობის პირველი დღეებიდანვე. ტურგენევს კი აბრაზებდა მამას „ახირებანი“. ისინი განარიდებდა მამას, ტურგენევის აზრით, მისი ძირითადი პროფესიიდან — ლიტერატურისაგან.

1860 წელს, ჯერ კიდევ უთანხმოებამდე, ტურგენევი ფეტს სწერდა: „...ლევ ტოლსტოი კვლავ ახირებულად იქცევა. როგორც ჩანს, გაჩენის დღიდან ასე დაებედა. ნეტა როდისღა მორჩება მალაყებს და საბოლოოდ დადგება ფეხზე?“

ასევე მიუდგა ტურგენევი მამის „აღსარებას“, რომელიც მან სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე წაიკითხა. ჯერ აღუთქვა, რომ „შეეცდებოდა გაეგო“ და „არ გაბრაზებულიყო“, კიდეც დაიწყო „აღსარების“ პასუხად დიდი წერილის წერა..., მაგრამ ვერ დაასრულა... იმიტომ, რომ არ სურდა „კამათზე გადასვლა“.

დ. გრიგოროვიჩისადმი მინაწერ წერილში მან „აღსარებას“ მცდარ წინამძღვრებზე აგებული ნაშრომი უწოდა, „ყოველგვარი ცოცხალი ადამიანური ცხოვრების უარყოფად“ და „თავისებურ ნიჰილიზმად“ მონათლა.

როგორც ჩანს, ტურგენევი მაშინაც ვერ მიხვდა, რარიგ ძლიერად დაეუფლა მამას მისი ახალი მსოფლმხედველობა და მზად იყო ეს აღტყინებაც მის ჩვეულებრივ ახირებად მიეჩნია, როგორც საერთოდ მიიჩნევდა მამას გატაცებას პედაგოგობით, მეურნეობით, ჟურნალის გამოცემით და ა. შ.

ივანე ტურგენევი, რაც მე მახსოვს, იასნაია პოლიანაში სამჯერ ჩამოვიდა.

ორჯერ აგვისტოსა და სექტემბერში, 1878 წელს, მესამედ კი უკანასკნელად — 1880 წლის დამდეგს.

ყველა მისი სტუმრობა მახსოვს, ოღონდ ძალზე წვრილმანი ამბები შესაძლოა ამერიოს.

მახსოვს, როცა ტურგენევს ველოდით — ეს ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო — ყველაზე მეტად დედაჩემი ღელავდა. მისგან შევიტყვეთ, რომ მამა და ტურგენევი თურმე ნაჩხუბრები იყვნენ და რომ ტურგენევმა იგი ოდესღაც დუელშიაც გამოიწვია, ახლა კი მამას მოპატიჟებით შესარიგებლად ჩამოდიოდა.

ტურგენევი სულ მამაჩემთან იჯდა, რომელიც იმ დღეებში „მეცადინეობაზეც“ კი უარს ამბობდა. ერთხელ, შუადღისით, დედამ უჩვეულო დროს თავი მოგვიყარა სასტუმრო დარბაზში, სადაც ივანე ტურგენევმა წაგვიკითხა თავისი მოთხრობა „ძაღლი“.

მახსოვს მისი მაღალი, ლომკაცური ტანი, ჭაღარა, აბრეშუმივით რბილი,

მოყვითალო თმა, ოდნავ უნიათო, დინჯი სიარული და წვრილი ხმა, რაიც სულ არ შეესაბამებოდა მის დიდებულ გარეგნობას.

გულიანი სიცილი იცოდა, უეცრად აუტყდებოდა ხითხითი სულ მთლად ბავშვივით, და მაშინ ხმა კიდევ უფრო მეტად უწვრილდებოდა.

საღამოს, სადილის შემდეგ, ყველამ დარბაზში მოვიყარეთ თავი.

იმ ხანებში იასნაიაში სტუმრად იყვნენ ბიძია სერიოჟა (მამაჩემის ძმა), თავადი ლეონიდ ურუსოვი (ტულის ვიცე-გუბერნატორი), ბიძია საშა ბერსი, მისი ახალგაზრდა ცოლი, ულამაზესი ქართველი ქალი ფატი და კუზმინსკების მთელი ოჯახი.

დეიდა ტანიას[1] სთხოვეს ემღერა.

ჩვენ გულისფანცქალით ვუსმენდით და ველოდით, რას იტყოდა ტურგენევი, სიმღერის კარგი მცოდნე და მოყვარული.

მან, რა თქმა უნდა, შეაქო დეიდა ტანია და, მე ვფიქრობ, გულწრფელადაც.

სიმღერის შემდეგ კადრილი გააჩაღეს.

მაშინ ვიღაცამ ტურგენევს ჰკითხა, ფრანგები ისევ ძველ კადრილს ცეკვავენ თუ ყველა ცეკვა კანკანს დაამსგავსესო. ტურგენევმა უპასუხა: „ძველებური კანკანი სულაც არ არის ის უხამსი ცეკვა, ამჟამად რომ ცეკვავენ კაფეშანტანებში. ძველი კანკანი მშვენიერი, გრაციოზული ცეკვაა“. უცბად ივანე ტურგენევი წამოდგა, ხელი ჩაავლო ერთ-ერთ მანდილოსანს, თითები ჟილეტის ჭრილში გაიყარა და ძველებური კანკანი იცეკვა.

ყველანი ხარხარებდნენ. ყველაზე მეტს თავად იცინოდა.

ჩაის შემდეგ „დიდებმა“ საუბარი წამოიწყეს და მალე ცხარე კამათი შეექნათ. ყველაზე მეტად ფიცხობდა და სულ ერთთავად ტურგენევს უტევდა თავადი ურუსოვი.

ეს ის დრო იყო, როცა მამას უკვე დაეწყო „სულიერი განახლების“ ხანა (როგორც თვითონ უწოდებდა) და თავადი ურუსოვი მისი ერთ-ერთი უპირველესი პიროუთვნელი თანამოაზრე და მეგობარი გახლდათ.

არ მახსოვს, რას ამტკიცებდა თავადი ურუსოვი, იგი მაგიდასთან ივანე ტურგენევის პირდაპირ იჯდა და საუბრისას ენერგიულად იქნევდა ხელებს. ეს კია, სრულიად მოულოდნელად უჩვეულო რამ მოხდა: ურუსოვს სკამი გამოეცალა და როგორც იჯდა, ისევე დასკუპდა იატაკზე წინ გაშვერილი ხელითა და მუქარით შემართული თითით.

თითქოს არაფერიაო, ისე განაგრძო თავადმა იატაკზე ლაპარაკი.

ტურგენევმა ეს რომ დაინახა, თავი ველარ შეიკავა და გულიანად ახარხარდა.

— ნამდვილად გამაგიჟებს, ბოლოს მომიღებს, il m'assomme, ეგ თქვენი ტრუბეცკოი! — იძახდა სიცილისაგან დაოსებული და ამ სიცილში თავადის გვარიც შეეშალა.

ურუსოვი ცოტაც და განაწყენდებოდა, მაგრამ რა დაინახა, დანარჩენებიც ახარხარდნენ, წამოდგა და თავადაც სიცილი ამჯობინა.

იმ საღამოს სასტუმრო დარბაზში ვისხედით, მრგვალი მაგიდის გარშემო.

საუცხოო ზაფხულის დღე იდგა.

---

[1] ტატიანა კუზმინსკაია სოფია ტოლსტაიას და იყო.

ვიღაცამ, მგონი, დედამ, ახალი გასართობი წამოიწყო: ყველა იქ მყოფს უნდა გაეხსენებინა თავისი ცხოვრების უბედნიერესი წუთი.

— ივან სერგეევიჩ, თქვენ დაიწყეთ, — უთხრა მან ტურგენევს.

— ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთი ის გახლდათ, როცა საყვარელი ქალის თვალებში თანაგრძნობა ამოვიკითხე, — თქვა ივანე ტურგენევმა და ჩაფიქრდა.

— სერგეი ნიკოლაევიჩ, ახლა თქვენი ჯერია, — მიუბრუნდა დეიდა ტანია ბიძია სერიოჟას.

— კეთილი, ოღონდ მე ყურში გეტყვით, — უპასუხა ბიძია სერიოჟამ სარკაზმული ღიმილით.

— ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთი ის გახლდათ... — ჩურჩულით წარმოთქვა მან და სახე დეიდა ტატიანას ისე ახლოს მიუტანა ყურთან, რომ დანარჩენი სიტყვები აღარავის გაუგონია.

მე მხოლოდ ის დავინახე, როგორ დაიხია უკან დეიდა ტანიამ და მერე სიცილი ატეხა:

— ოი, ოი, ოი, თქვენ მუდამ უცნაური რამ უნდა თქვათ, სერგეი ნიკოლაევიჩ! აუტანელი ვინმე ხართ!..

— რაო, რა თქვა სერგეი ნიკოლაევიჩმა? — იკითხა დედამ, რომელიც ვერასოდეს ვერ მიმხვდარიყო ხუმრობას.

— მერე გეტყვი.

ამით დასრულდა კითხვა-პასუხი.

ტურგენევის მესამე სტუმრობისას კარგად მახსოვს ნადირობის ამბავი. ეს იყო 1880 წლის ორ თუ სამ მაისს.

მთელი ჩვენი ოჯახი, უფრო სწორად, მამა, დედა და ჩვენ, ბავშვები, ვორონკის გალმა გავედით.

მამამ ტურგენევი ყველაზე საუკეთესო ადგილას დააყენა, თავად კი ასე ასორმოცდაათ ნაბიჯზე დადგა, იმავე მდელოს მეორე ბოლოში.

დედა ტურგენევს გვერდით ედგა, ჩვენ კი, ბავშვებმა, მოშორებით კოცონი გავაჩაღეთ.

მამამ რამდენჯერმე გაისროლა და ორი ტყის ქათამი მოკლა, ტურგენევს კი ბედი არ უმართლებდა და მამას შენატროდა.

ბოლოს, შეღამებისას, ტურგენევს თავზე გადაუფრინა ტყის ქათამმა და მანაც მაშინვე ესროლა.

— მოჰკალით? — დაუყვირა მამამ შორიდან.

— ქვასავით ჩამოვარდა, ძაღლი გამომიგზავნეთ, მოიტანოს, — გასძახა ტურგენევმა.

მამამ ძაღლი ჩვენ გაგვატანა. ტურგენევმა გვიჩვენა, სად უნდა მოგვეძებნა ტყის ქათამი. ბევრი ეძება ძაღლმა, ბევრი ვეძებეთ ჩვენ, მაგრამ ქათამს ვერ მივაგენით.

ბოლოს მოვიდა ტურგენევიც, მამაც, მაგრამ ტყის ქათამი კი ვერა და ვერ ვიპოვეთ.

— იქნებ დაიჭრა და გაფრინდა, — თქვა მამამ გაოცებით, — შეუძლებელია ძაღლს ვერ მიეგნო.

— რას ბრძანებთ, ლევ ნიკოლაევიჩ, ცხადად დავინახე, ქვასავით ჩა-

მოვარდა, დაჭრილი კი არა, მოკლული იყო. კარგად ვიცი, როგორია მკვდარი ფრინველი.

— მაშ ძაღლი რად ვერ პოულობს? არა, აქ რაღაცაშია საქმე.

— ვერაფერს გეტყვით, ეს კი ვიცი, მართალს ვამბობ, ქვასავით ჩამოვარდა, — დაჟინებით იმეორებდა ტურგენევი.

ასე და ამგვარად, ქათამი ვერ ვიპოვეთ. ყველას რაღაც ხინჯად დაგვრჩა ეს ამბავი გულში, მათ შორის რომელიღაც მართალი არ იყო — ან ტურგენევი, რომ იფიცებოდა, ტყის ქათამს სული გავაფრთხობინეო, ან მამაჩემი, რომ ამტკიცებდა, ძაღლი მოკლულ ფრინველს უეჭველად იპოვისო.

ეს მოხდა სწორედ მაშინ, როცა ორივენი გულდაგულ ცდილობდნენ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილებას.

ამის გამო ხომ სერიოზულ საუბარსაც კი გაურბოდნენ და მხიარულ დროსტარებაში იქცევდნენ თავს...

საღამოს, გამომშვიდობებისას, მამამ ჩაგვჩურჩულა, დილა ადრიანად წადით და იქაურობა კარგად დაათვალიერეთო.

და იცით, რა აღმოჩნდა?

ტყის ქათამი ჩამოვარდნისას ვერხვის კენწეროზე ორკაპს გამოსდებოდა. რის ვაივაგლახით ჩამოვაგდეთ ძირს.

ჰოდა, როცა ტყის ქათამი დიდი ზარზეიმით მოვიტანეთ შინ, ყველაზე მეტად ტურგენევმა და მამაჩემმა გაიხარეს, მათ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ორივენი მართლები აღმოჩნდნენ და საქმეც კეთილად დაბოლოვდა.

ტურგენევი ქვემოთ იძინებდა, მამას კაბინეტში.

როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მე ის ოთახში შევაცილე და, სანამ ტანთ გაიხდიდა, საწოლზე ჩამოვჯექი. საუბარი ნადირობაზე წამოვიწყე.

სროლა თუ იციო, მკითხა.

ვუპასუხე, ვიცი, მაგრამ სანადიროდ ვერ დავდივარ, უხეიროო ერთლულიანი თოფი მაქვს-მეთქი.

— მე გაჩუქებ თოფს, — მითხრა ტურგენევმა, — პარიზში ორი თოფი მაქვს, ერთი სულ არ მჭირდება. ძვირფასი არ არის, მაგრამ კარგია. შემდეგ ჩამოსვლაზე უეჭველად ჩამოგიტანო.

მე დავიოცხვინე, მადლობა გადავუხადე და საოცრად ბედნიერად ვიგრძენი თავი. მიხაროდა, რომ მალე სანადირო თოფის პატრონი შევიქნებოდი.

სამწუხაროდ, მას შემდეგ ტურგენევი რუსეთში აღარ ჩამოსულა[1].

თოფი, რომელიც ჩემთვის უნდა ეჩუქებინა, შემდგომში მემკვიდრეებისაგან მინდოდა შემესყიდა, მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხე.

აი, ყველაფერი ის, რაც მაგონდება ამ ძვირფას, მიამიტურად გულღია ადამიანზე, ბავშვური თვალები და ბავშვური სიცილი რომ ჰქონდა და რომლის სიდიადე ჩემს წარმოდგენაში მომხიბვლელ გულითადობასა და უბრალოებას ერწყმის.

---

[1] „მოგონებების" ავტორი აქ ცდება. უკანასკნელად ტურგენევი რუსეთში ჩამოვიდა 1881 წ. მაისში, ამავე წლის აგვისტოში უკანასკნელად იყო იასნაია პოლიანაში.

1883 წელს მამამ ივანე ტურგენევისაგან მიიღო უკანასკნელი, გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე გამოგზავნილი წერილი, ფანქრით ნაწერი. მახსოვს, როგორი მღელვარებით წაიკითხა იგი. ხოლო როცა მოვიდა ცნობა, ტურგენევი გარდაიცვალაო, მამა რამდენიმე დღე სულ ამ ამბავზე ლაპარაკობდა, სულ იძიებდა მისი ავადმყოფობისა და უკანასკნელი დღეების წვრილმანებს.

რაკი ტურგენევის ეს წერილი ვახსენე, მინდა ისიც მოგახსენოთ, რომ მამას გულწრფელად აღაშფოთებდა ხოლმე, როცა ამ წერილიდან ნასესხები ერთი ეპითეტით ამკობდნენ. ეს იყო — „რუსული მიწის დიდი მწერალი“.

მამას საერთოდ სძულდა გაცვეთილი ეპითეტები, ეს ეპითეტი კი უაზრობად მიაჩნდა.

— რატომ „მიწის მწერალი?“ პირველად მესმის, რომ მწერალი მიწისა იყოს. აიკვიატებენ ხოლმე რაღაც სისულელეს და წარამარა იმეორებენ, საჭიროა თუ არა.

ზემოთ მე მოვიყვანე ნაწყვეტები ტურგენევის წერილებიდან. ისინი ცხადყოფენ, თუ როგორი უცვლელი აღტაცებით განადიდებდა იგი მამაჩემის ლიტერატურულ ნიჭს.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი მამაჩემზე.

მისმა მგზნებარე ბუნებამ აქაც იჩინა თავი.

პირადი ურთიერთობა ხელს უშლიდა ობიექტური ყოფილიყო.

1867 წელს, როცა გამოქვეყნდა ტურგენევის რომანი „კვამლი“, იგი ფეტს სწერდა: „კვამლში“ არ არის არც სიყვარული და არც პოეზია. არის მხოლოდ მრუშობა, ამჩატებული და დარდიმანდული. ამიტომაც ამ მოთხრობის პოეზია ამაზრზენია... მაგრამ მე მეშინია გამოვთქვა ჩემი აზრი, რადგან არ შემიძლია ფხიზლად შევაფასო ავტორი, ვ ი ს ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ც ა რ მ ი ყ ვ ა რ ს.“

1865 წელს კი კვლავ ფეტს სწერს:

„კმარა“ არ მომეწონა. პირადული, სუბიექტური მხოლოდ მაშინაა კარგი, როცა სიცოცხლითა და ვნებითაა აღსავსე, აქ კი მხოლოდ უსიცოცხლო ტანჯვა-წამებით დამძიმებული სუბიექტურობის მოწმე ხდები“.

1883 წელს, შემოდგომაზე, უკვე ტურგენევის გარდაცვალების შემდეგ, როცა მთელი ჩვენი ოჯახი საზამთროდ მოსკოვს გადაბარგდა, მამა იასნაია პოლიანაში დარჩა აგაფია მიხაილოვნას ანაბარა და მთელი ტურგენევი გულდაგულ გადაიკითხა.

აი, რას სწერს იგი ამ ხანებში დედაჩემს:

„... ტურგენევზე ხშირად ვფიქრობ და საშინლად მიყვარს იგი, მეცოდება და ისევ ვკითხულობ. სულ მასთან ვარ, მასთან ერთად ვცხოვრობ. უეჭველად წავიკითხავ ტურგენევზე ან დავწერ და გადავცემ წასაკითხად, ასე გადაეცი იურევს...“

„...ახლა ვკითხულობდი ტურგენევის „კმარას“. წაიკითხე. რა მშვენიერია...“

სამწუხაროდ, ეს საჯარო კითხვა ტურგენევის შემოქმედებაზე არ შემდგარა.

მთავრობამ, მინისტრ გრაფ დ. ა. ტოლსტოის სახით, აკრძალა იგი და საშუალება არ მისცა მამას უკანასკნელი ვალი მოეხადა განსვენებული მეგობრის წინაშე, ვისთანაც მთელი სიცოცხლე მხოლოდ იმიტომ მოსდიოდა უთანხმოება, რომ არ ძალუძდა ყოფილიყო მისადმი გულგრილი.

თარგმნა ლილი ფოფხაძემ

ლორენ აისლი

შეუპოვარი არსება

1

ტექნიკის სწრაფი განვითარებისა და მისი ენით უთქმელი ტრიუმფის მიუხედავად, ჩვენი დროის ანთროპოლოგები სულ უფრო და უფრო მეტად რწმუნდებიან იმაში, რომ ადამიანს არსებითად ჯერ კიდევ არ გაუმარჯვნია ბუნებაზე, რადგან მას არ გაუმარჯვნია თავის თავზე. სწორედ თანამედროვე ადამიანი ანუ Homo sapiens, ე. ი. „გონიერი“, როგორც თვითონ უწოდებს თავის თავს, გადაიქცა ჩვენი საუკუნის ფარულ საშინელებად, კოშმარად. ეს კოშმარი ავბედითი აჩრდილივით დღისითა და ღამით მოუშორებლად თან სდევს მთელი მსოფლიოს სახელმწიფო მოღვაწეებს.

ამას წინათ მე მომიხდა ყოფნა ა შ შ-ს ერთ-ერთ დიდ მუზეუმში. დავათვალიერე ადამიანის ისტორიისადმი მიძღვნილი დარბაზი. ამ განყოფილების შესაქმნელად დიდმა მეცნიერებმა გასწიეს შრომა და, ვიმედოვნებდი, აქ მეპოვნა კაცობრიობის ბედის რამენაირი გასაღები, რაიმე მინიშნება, დაწურული ფორმით ადამიანის ბუნებას რომ გამიხსნიდა. ეს გამოფენა დიდი კითხვის ნიშნით მთავრდებოდა. იგი დასმული იყო ატომური ძრავისა და იმ ენერგიის გრაფიკული გამოსახულების წინ, რომელსაც ახლა დაეუფლა ადამიანი. მე, რა თქმა უნდა, არ შემეძლო არ დავთანხმებოდი კითხვის ნიშანს, რითაც ამ დარბაზში წარმოსახული კაცობრიობის ისტორია მთავრდებოდა.

სათავისკენ დავუყევი და თანდათანობით, სხვადასხვა ერათა წიაღ-წარსულში რომ ვღრმავდებოდი, ბოლოს მივადექი არსებას, რომელიც მიახლოებით თუ ჰგავდა ადამიანს. იგი კოცონთან იჯდა და ბუწუწა წარბებიდან გამომზირალი თვალებით შემომჩერებოდა. ტაბლოზე წავიკითხე: „ადამიანის პირველი ნაბიჯი ენერგიის დაუფლების გზაზე. მან ისწავლა ცეცხლის გაჩენა“. წარწერების თვალიერებაში რამდენჯერმე მოვიარე დარბაზი. ჩემი მზერა კვლავ კოცონთან მიყუჟულმა პირველყოფილმა არსებამ, — დედაკაცმა მიიპყრო, რომელსაც გულში ჰყავდა ჩაკრული ბავშვი. მე ხელახლა მოვიარე დარბაზი. აქ იყო თავმოყრილი ყველაფერი, რაც, მეცნიერთა აზრით, ადამიანის ისტორიის

თვალსაჩინო სურათს იძლეოდა. ჩემ წინ იყო გამოფენილი მონადირეთა იარაღი, მიწათმოქმედების განვითარებით გამოწვეული თვალნათლივ დასანახი ეკონომიური გადატრიალება, მოსახლეობის ზრდა, ქალაქებისა და იმპერიების აყვავება და დაქცევა. და, მიუხედავად ყველაფრისა, კაცობრიობის ენერგეტიკული რესურსების დაგროვება გრძელდებოდა.

მაგრამ აქ სხვა რამეც შეინიშნებოდა: წლითი წლობით იზრდებოდა და მტკიცდებოდა შეიარაღებული ძალები, ვიდრე ბოლოს მსოფლიო ორ ბანაკად არ გაიყო და მისი ყოფნა-არყოფნა იმ თმაგაბურძგნული დედაკაცისა და მისი ბანჯგვლიანი მეუღლის ნაშიერთა ხელთ არ აღმოჩნდა, რომლებიც მე კოცონთან ვნახე.

რაღაცნაირი მერყეობით მე ისევ შევჩერდი წარსულის უკვე დავიწყებული იარაღების წინაშე, რადგან მომეჩვენა, რომ მათ აკლდა ერთგვარი კავშირი, რაღაც მთავარი, ის, რაც მხოლოდ ადამიანისთვისაა ნიშანდობლივი. მე ვგრძნობდი, რომ ქვას, ფოლადსა და კატაპულტს მეტად შორიდან და თან არასწორი კუთხით ვუყურებდი. „ადამიანის ისტორია“ — მომაგონდა ისევ ის წარწერა დარბაზის შესასვლელთან და მაშინვე მივხვდი, რომ წარსულს თანამედროვე ამერიკელის ან, თუ გნებავთ, — დიდი განსხვავება არაა — თანამედროვე საბჭოელი მოქალაქის თვალით ვუყურებ.

თავმოყრილ ექსპოზიციაში ფართოდ იყო წარმოდგენილი მარცვლეულის, ცეცხლისა და ნავთობის დაუთრგუნველი ძალა, მაგრამ ძნელი იყო თავის მსგავსებთან ურთიერთობისას ადამიანის ფიქრების გამოცნობა. შოუს პარაფრაზი რომ მოვიშველიოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ ქაღალდზე ან თავის უიდუმლეს ზრახვებში შესძლო ადამიანმა ამაღლებულიყო თავის თავზე, თავის ვნებებზე და სურვილებზე. ამ უზარმაზარ დარბაზში ნართაულადაც კი არ იყო მინიშნებული ადამიანის ყველაზე შესანიშნავი მხარე, მისი, როგორც სულიერ ღირებულებათა შემქმნელის, ზრდა და ის გზა, რომელზეც მისმა ფიქრმა და ოცნებამ, განუწყვეტელი ფერისცვალებისა და გარდაქმნის მეოხებით ბოლოს და ბოლოს დღევანდელ გარემომცველ სინამდვილემდე მიიყვანა იგი.

განათლებული ხალხი დაადგა მეცნიერულ თვალსაზრისს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცხოველური და მცენარეული სამყაროს მსგავსად, ადამიანიც უსასრულო ევოლუციური პროცესების პროდუქტს წარმოადგენს. მაგრამ, ვეთანხმებით რა მეცნიერების ამ ვერდიქტს, ჩვენ იშვიათად ვუფიქრდებით ხოლმე ადამიანისა და სხვა ცოცხალ არსებათა ევოლუციას შორის არსებულ სხვაობას. ჩვენ ცუდად ვწვდებით ადამიანის იმ აზრებს, რომლებსაც მასში ხიფათის მუქარა და მისთვის დამახასიათებელი მოვალეობის გრძნობა აღძრავს.

ამას წინათ, ჩემი მეგობრისა და კოლეგისაგან მივიღე წერილი, სადაც ლაპარაკი იყო მის ქალიშვილზე. გოგონა იზრდებოდა თავისებურ „კეთილშობილ ქალთა პანსიონში“. „მას ასწავლიან, — გულმოკლული მწერდა მეგობარი,—რომ არსებობს ადამიანების ორი ტიპი: ძლიერი, გულსასტიკი ადამიანებისა და სუსტი, გულჩვილი ადამიანების ტიპი. პროფესორმა უთხრა მას, რომ საბოლოოდ გულსასტიკნი გაიმარჯვებენო“.

მე შემძრა ამ დრომოჭმულმა თვალსაზრისმა. ვიცოდი, რომ ამაში ბრალი არ მიუძღვით უანგარო და თავდადებულ მეცნიერებს. მაგრამ იგი ეხებოდა საკითხს, რომელიც პასუხს მოითხოვდა. ამ პასუხში მოცემულია ადამიანის მთე-

ლი უნიკალური ბუნება. საერთო ჯამში ხომ ადამიანმა გადაშენებას თავი დააღწია არა გულსასტიკობის მეოხებით, — ამის დამტკიცება თვით უდიდესმა ევოლუციონისტებმა დარვინმა და უოლესმაც ვერ შესძლეს, არამედ პირუკუ, მას გულჩვილობამ უშველა. თავისი პატივმოყვარეობის მწვერვალებიდან ადამიანი შესაძლოა ყვიროდეს, რომ ძლიერთა საქმე ბრძოლაა, ხოლო სუსტებისა — სიყვარული და ტანჯვა-წვალება. ამგვარი იდეების საყოველთაო გავრცელების მიუხედავად, საქმის არსი ისაა, რომ ადამიანს სინაზე რომ არ გამოეჭლავნებინა მოყვასის მიმართ, იგი რომ თავისებურად, ადამიანურად მოსიყვარულე არსება არ ყოფილიყო, მის ძვლებს დიდი ხანია დახრავდნენ აფრიკაში მოწანწალე აფთრები, იმ აფრიკაში, სადაც მან პირველად შეიმოსა კაცური სახე.

ბავშვობა იმ პროფესორისა, მომავალი დედების წინაშე უხეში ძალის მქადაგებლის როლში რომ გამოდიოდა, ისევე როგორც თვითეული ადამიანის ბავშვობა, ყველა სხვა ცხოველურ არსებათა შორის განსაკუთრებული უმწეობითა და ხანგრძლივობით გამოირჩევა. ჩვენს მშობლებს რომ გაეზიარებინათ აწ დიდად პოპულარული ზოგ-ზოგი შეხედულება, ან ჩვენს წინაპრებს გულარძნილობის ისეთ საფეხურამდე რომ მიეღწიათ, რომელიც მათ ნებას მისცემდა წარმავალი სიამოვნების წილ უარეყოთ საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობა, — ვერც ერთი ჩვენთაგანი, ვერც თქვენ და ვერც მე, ვერასოდეს ვიგემებდით სიცოცხლის სიხარულს.

2

ადამიანმა მოიხვეჭა მსოფლიოში ერთადერთი ნიჭი — მოაზროვნე გონება. მას შეუძლია განსაზღვროს პლანეტებისა და ატომების წონა, მაგრამ არ ძალუძს იმ ცხრა თვის განმავლობაში განავითაროს თავისი გონება, მის დაბადებას რომ უძღვის წინ. ამავე დროს, მისი გონება ფრიად მგრძნობიარეა, რაკი იგი სოციალურ გარემოში წარმოქმნილი შთაბეჭდილებების აღსაქმელადაა გათვალისწინებული. ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანს ინსტინქტი მინიმუმამდე აქვს დაყვანილი. მაშასადამე, საჭიროა ადამიანის გონება გაიზარდოს, განვითარდეს, შეიძინოს ცოდნა და ამ ცოდნისაგან სარგებლობა მიიღოს. განვითარების თითქმის ყველა ეს პროცესი ბავშვის დაბადების შემდეგ იწყება. ამრიგად, ჩვილი ფრიად უმწეო და განუვითარებელ მდგომარეობაში ევლინება ქვეყანას. ხოლო ბავშვობის ხანა მეტად ხანგრძლივია, რაკი მისმა ინტელექტმა მოცემული გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვევებისა და ცოდნის დიდი მარაგი უნდა დააგროვოს.

ამრიგად, ბავშვს ბევრად მეტი ცოდნა მოეთხოვება, ვიდრე დანარჩენ ცხოველებს. სწორედ ამ გარემოებამ გახადა აუცილებელი ბავშვის ერთი ოჯახის წიაღში არსებობა, ბევრი სხვა ცხოველის მოუწესრიგებელი სქესობრივი ცხოვრების პირობების საწინააღმდეგოდ. თუმცაღა სხვადასხვა ხალხების ოჯახური ყაიდის მეორადი თავისებურებები ურთიერთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება, სიყვარული და მზრუნველობა ბავშვისადმი ყველა ხალხსა და რასას ერთნაირად აქვს მომადლებული.

ახალგაზრდა თაობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ადამიანური საზოგადოების სოციალური საფუძველია. პირველი გრძნობა, რასაც ადამიანი შეეყრება ცხოვრებაში, დედ-მამის სიყვარულთანაა დაკავშირებული. ეს

გრძნობა მთელ მის ბავშვობას მიჰყვება. ამრიგად, ის ვინც ზოგჯერ ცდილობს უარყოს სიყვარულის გრძნობა, ის გრძნობა, რომელსაც თავის არსებობას უნდა უმადლოდეს, ვინც „სულის სიმტკიცესა“ და „არსებობისათვის ბრძოლაზე“ გაჰყვირის, — უარს ამბობს თავის ადამიანურ ღირსებაზე, საკუთარ ადამიანურ მემკვიდრეობაზე. ადამიანს წართმეული რომ ჰქონდეს ის იდუმალი ძალა, რომლის მეშვეობითაც მისი ტვინი სწრაფად ვითარდება, მას რომ არ ჰყავდეს მშობლები (არასრულყოფილნი, მაგრამ მოსიყვარულენი), წლების განმავლობაში რომ ზრდიან და უვლიან თავიანთ პატარებს, — მისი გასაგისი აღიგვეზოდა დედამიწის ზურგიდან.

3

ადამიანის ცხოვრების ბევრ უბრალო ფაქტს ჩვენ ხშირად აღვიქვამთ როგორც თავისთავად ცხად რამეს. მაგრამ იმისათვის, ვინც ადამიანის ევოლუციას სწავლობს, უფროსებს შორის ხანგრძლივად არსებულ ოჯახურ ურთიერთობასთან ჩვილის შესანიშნავი და თავისებური შეგუება ცხოვრების ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს საიდუმლოდ რჩება. სიცოცხლის ეს მოვლენა იმდენად არაჩვეულებრივია, რომ მხოლოდ ცოცხალ არსებათა ერთ სახეობაში (იმ სახეობაში, რომლისგანაც ადამიანი წარმოიშვა) მიაღწია მან თავის სრულ განვითარებას დედამიწაზე სიცოცხლის სამი მილიარდი წლის მანძილზე. ადამიანში ოჯახი განსაზღვრავს ყველაფერ დანარჩენსაც: კულტურის შეთვისების უნარს, ცოდნის შეძენას, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რის გამოც ეწოდება მას ადამიანი. ქვეყანაზე გაჩენას იგი სიყვარულს უნდა უმადლოდეს, ისეთ სიყვარულს, რომელიც უცხოა ყველა სხვა ცოცხალი არსებისათვის. ადამიანი მისგანვეა დავალებული თავის შემდგომი განვითარების დროსაც. და მით უფრო უცნაურია, რომ სწორედ ადამიანი მოგვიწოდებს უარვყოთ ეს გრძნობა, როგორც ყალბი და მავნე, და ცხოვრებაში გულსასტიკობის პრინციპით ვიხელმძღვანელოთ.

ყურადღებით დავაკვირდეთ იმას, თუ ოდესღაც ამაღლებული მისწრაფებებით გამსჭვალული ეს არსება როგორ ცხოვრობს ახლა ამ მახეში გაბმის შიშით, რომელსაც ჯერ კიდევ უხსოვარ დროში განყენებულ აზროვნებას მიჩვეული მისი წინაპრები დაუძვრნენ. „ადამიანი თავის თავშივე არეკლილი ჯუჯაკაცია“, — წერდა ემერსონი. და, შესაძლოა, არასოდეს არ ყოფილა ადამიანი ისე უბადრუკი, როგორც ახლა, ჩვენს დროში, როცა მას ესოდენ დიდი ძლიერება აქვს მორჭმული. სიჯანსაღის ერთადერთი დამამშვიდებელი ნიშანი ისაა, რომ მას უნარი შესწევს ამოფორთხდეს ტექნიკურ მიღწევათა სულ უფრო და უფრო სისქემომატებული გარსიდან და, აზრზე მოსულმა, განგაშისა და უკმაყოფილების გრძნობა განიცადოს.

მას ასეთი განცდის ყველა საფუძველი აქვს, რადგან ადამიანი ჯერ არასდროს არ ყოფილა მოწმე, ერთი მხრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის ასეთი წინსვლისა, მანქანების მეოხებით თავისი ძალმოსილების ასეთი კოლოსალური ზრდისა, ხოლო, მეორე მხრივ, ყველასათვის, ვინც მაღალ და კეთილშობილ იდეალებს ესწრაფვის, ასეთი ძნელი ჟამისა. ყველა მცდელობა ადამიანისა ამაღლდეს ინსტინქტებზე, ამაოა, ვინაიდან მისი ცხოველური ბუნება დღენია-

დაგ გვახსენებს ხოლმე თავს. საკუთარი ავბედითი აჩრდილის წინაშე შიშით გამოწვეული და მეომრული სულისკვეთებით აღსავსე მისი სურვილი გაფრინდეს მარსზე სხვა არაფერია, თუ არა უმწიფარი არსების მისწრაფება უკან მოუხედავად გაიქცეს და სხვა პლანეტებზე მიიტანოს თავისი გადაუწყვეტელი პრობლემები, იმის მაგივრად, რომ აქვე გადაწყვიტოს ისინი.

„ომები კოსმოსურ სივრცეებში გაიმართება, — განაცხადა ამას წინათ დიდმა სამხედრო ავტორიტეტმა, — ასწავლეთ თქვენს ბავშვებს მკაცრი სიმართლე". „უკაცრავად, მაგრამ რომელი სიმართლე?" — შეუძლია ჰკითხოს მასწავლებელმა, რაკი იცის, რომ მოზარდის ტვინი სწავლის პროცესში ყალიბდება და ამავე პროცესში იქცევა იმად, რასაც მას ასწავლიან. სულიერი ინტუიციისა და დიდსულოვნების გარეშე, მექანიკურ ძალებზე აღზევების უნარის გარეშე, ადამიანი თავის გზაზე ბუნებას კი არ შეეყრება, მას რომ სიცოცხლე მიანიჭა, არამედ საკუთარი გონების უზარმაზარ, საშინელ მოჩვენებას — თავისსავე თავს. და ეს, მე ვფიქრობ, ყველაზე საზარელი რამ იქნება, რაც მას წარმოუდგება თვალწინ სიკვდილის უკანასკნელ საათს.

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ როცა წარსულს უდგები რაღაცნაირი მორალური გულდამშვიდებით, რაღაცნაირი ცხოველური შეზღუდულობით რომ ამართლებს ომების გარდუვალობას, ვერასოდეს ვერაფერს გაუგებთ ამ წარსულს. მართალია, ადამიანის გაჩენამდე სიცოცხლის ევოლუცია ცალკეული ნაწილების — სპორას, მცენარის ეკლისა თუ ნადირის ღოჯის ევოლუცია იყო და ყველაფერი ეს ცდილობდა მომავლისათვის მარად ბრძოლაში არსებობის შენარჩუნებას. სიცოცხლე უსიცოცხლო ბუნების ბრმა ძალებით იჭედებოდა. სიცოცხლე მკვდარი მატერიისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ცოცვის სურვილი ჰქონდა. უზარმაზარ არაორგანულ სამყაროში მას სურდა მოენახა რამენაირი ნაპრალი, ხვრელი, მყუდრო თავშესაფარი, რომ იქ სული მოეთქვა და თავი დაეცვა საშინელი ძალებისაგან, ყოველივე ცოცხალს დაღუპვით რომ ემუქრებოდნენ. ადამიანის გაჩენამდე დედამიწაზე არ არსებობდა არც ერთი ცხოველი, წარსულის დამახსოვრება და მომავალზე ფიქრი რომ შესძლებოდა. არც ერთ ცხოველს ცრემლი არ დაუღვრია მოყვასის ნეშტზე, არც ერთ არსებას უნარი არ გამოუჩენია მოეცვა და მოეაზრებინა ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდებოდა.

ასე იყო სამი მილიარდი წლის განმავლობაში, მაგრამ დღეთა ამ უზარმაზარი ნაკადის დასასრულს მოხდა მცირე და სავსებით უჩუმარი შერყევა. არსებითად ეს იყო ფანტასტიკური აფეთქება, რაკი იგი თავის თავში მოიცავდა და წინასწარ განსაზღვრავდა მთელ მომავალს, ატომური აფეთქების დამაბრმავებელ მცხუნვარებას, წყალბადის ბომბის ვარვარა მორევს — ყველაფერ ამას პოტენციურად შეიცავდა ნაცრისფერი ნივთიერების პატარა გორახი, რომელმაც მილიონიდან ექვსას ათასამდე წლის წინათ მაიმუნის სქელძვლიან თავის ქალაში უეცარი ზრდა იწყო.

ეს მოხდა სრულ სიჩუმეში. მომცრო თავის ქალაში ჩაჭედილი, წარმოუდგენელი სისწრაფით გამრავლებული უჯრედების სიჩუმეში. ტყეში გაკაფული ახოების სიჩუმეში, სადაც მდუმარე ღამის უკუნეთში უზარმაზარი სოკოები იზრდებოდნენ. ეს აფეთქება სრულიად მოულოდნელი იყო, როგორც ეს ხანდახან სჩვევია ბუნებას, როცა იგი უეცრად განიზრახავს დაარღვიოს თავისივე კანონები და თავაწყვეტილი გაიჭრება ახალი და ყველასაგან გაუთვალისწინებელი ექსპერიმენტების გზით. ახლა თავად მზის სისტემა განიცდის ამ

უხმაურო, უმნიშვნელო აფეთქების გავლენას. ის ფაქტი, რომ იგი ევოლუციური პროცესების შედეგად წარმოიშვა, სრულიადაც არ ამცირებს მის არაჩვეულებრივ თვისებებს.

სამი მილიარდი წლის მანძილზე არაფერი არ იძვროდა დედამიწაზე ჭაობის ლიამპალისა და მის მკვიდრთა გარდა. თავად უკვდავი დამკვირვებელიც კი, ვინც არ იცის, რა არის ჟამი, პირს მიიბრუნებდა და დაღლილ მზერას მოარიდებდა ქვეყანას; და მხოლოდ სულ ახლახან — „გეოლოგის თვალსაზრისით“, გაჩნდა უსუსური უმსგავსი ცხოველი, რომელიც კლდოვანი, უდაბური ტაფობის ლოდებში მიყუჟულიყო. კომბალს ჩაფრენილი, იგი ღრმააზროვნად ღეჭდა მის ბოლოს. იგი უდიდესი აფეთქების მუხტს ამზადებდა. მის თავში უკვე ელვარებდა ათინათი იმ ცისარტყელასი, რომელიც ჩვენს სამყაროს ღმერთთა საუფლოსთან აკავშირებს.

ამ დღიდან ადამიანის წინაპარი ნივთთა შემქმნელად, შემოქმედად იქცა, იგი უკვე აღარ იყო ბუნების ძალთა სათამაშო, მაგრამ ამავე დროს დიდი დანაკლისიც განიცადა: მან დაჰკარგა ცხოვრებასთან ინსტიქტურად შეგუების უნარი.

ადამიანი ღირებულებათა შემქმნელ ცხოველად გადაიქცა. იგი გარკვეულ მიზნებს ისახავს თავის წინაშე და თანდათანობით იმორჩილებს ბუნების ძალებსა და უჯიათ მატერიას. ასეთმა მოქმედებამ ზღვარი დაუდო ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების ევოლუციას. მან ადგილი დაუთმო ახალ ევოლუციას, რომლის დროსაც ეს ნაწილები მანქანებსა და შრომის იარაღებში ხორციელდებიან. ამ მხრივ ადამიანი ერთადერთი და განუმეორებელი არსებაა. მიაღწია რა მაღალ ინტელექტუალურ დონეს, იგი, შესაძლოა, თითქმის აღარც კი შეიცვალოს გარეგნულად, მაშინ როდესაც დანარჩენი ცხოველები უწინდებურად ექვემდებარებიან ფერისცვალების კანონს. ადამიანის გონება ჰქმნის ახალ ნაწილებს და მით ცვლის ძველებს, მაგრამ ეს მოღვაწეობა მიმართულია მხოლოდ ადამიანის მიერ გამოგონილი მექანიკური იარაღების გამოცვლისაკენ. ამრიგად, ადამიანი იხვეჭს ისეთ თავისუფლებას, რაც მანამდე უცხო იყო ყველა ცხოველისათვის. იგი — ანრი ბერგსონის თქმით — წარმოადგენს განუსაზღვრელობის, ინდეტერმინიზმის რეზერვუარს: მას კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანის უდიდესი უნარი გააჩნია.

5

არჩევანის ეს უნარი ადამიანის ნებისყოფას უსაზღვრო თავისუფლებას ანიჭებს, თუმცა თავისუფლების მორალური მხარეები მხოლოდ კაცობრიობის რჩეულ სულიერ წინამძღვრებს თუ აქვთ გაცნობიერებული. განვითარების ზენიტზე მდგარ კაცობრიობას მოუშორებლად თანასდევს ორი დაბრკოლება, პირველყოფილობის უფსკრულში დანთქმას რომ უპირებენ მას, თან ისეთ უფსკრულში, როგორიც არასოდეს დასიზმრებია, და მართლაც, დროდადრო გეჩვენება, რომ ადამიანი ისეა გატაცებული თავისი მსოფლიოს შექმნით, რომ დაკარგული აქვს თანადროული საზოგადოების ნაკლის შემჩნევის უნარი. იგი წარსულის გამოცდილების და შეზღუდული თვალსაწიერის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება, რაც მას სულიერი განვითარების ადრეული ეპოქებიდან აქვს გამოყოლილი. მეორე მხრივ, იგი ერთმანეთში ურევს პროგრესისა და იმ ტექნი-

კური მიღწევების ცნებებს, რომლებშიც ბიოლოგიური შერჩევის კაპრიზებზე მისი გამარჯვებებია განხორციელებული. ერთი სიტყვით, ადამიანი ამჟღავნებს იმის საშიშ ნიშნებს, რომ დინოზავრს ემსგავსება, თუმცა სულ სხვა გზით მიდის.

„ადამიანი, — ამბობს ჯონ ბეროუზი, — გარეული მხეცების მომთვინიერებელს ჰგავს. საკმარისია ერთი წუთით მათზე ზეგავლენის შესუსტება და მას დაღუპვა ელის. მიზიდულობის, ელექტრონის, ცეცხლის, წყალდიდობის, გრიგალის ძალა პირისაგან მიწისა აღგვის ადამიანს, თუ მას უმტყუნებს მარჯვენა ან მოუჩლუნგდება აზრი“. იმას ვერ უარვყოფთ, რომ ადამიანი დიდ შეჭირვებაში ჰყავდა ბუნების კაპრიზებს, მაგრამ მას მიზნად არასოდეს დაუსახავს მოესპო ადამიანი. ბევრ რამეში ბუნების ახირება ეხმარებოდა ამ უკანასკნელს და აზროვნებას უმახვილებდა. ადამიანი გადაურჩა მყინვარების ულმობელ შემოტევას... იგი შიმშილის, გვალვისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა მსხვერპლი იყო. მის თვალწინ ემხობოდა ქალაქები, სადაც ხელოსნები და განსწავლული ოსტატები მუშაობდნენ. იგი ხედავდა, როგორ იპყრობდა ამ ქალაქებს უდაბნოდან შემოღწეული ქვიშა, როდესაც სასტიკი მტერი წყალს მოუწყვეტდა მათ.

ვინ იყო ეს მტერი? თავად ადამიანი. ის ადამიანი, ბუნების შებრუნებულ მხარეს რომ წარმოადგენს, ბუნებისა, რომლისაც მას ასე ეშინია. და ახლაც, როცა ადამიანმა ისწავლა ელვის დამორჩილება, როცა მილიონი გრადუსით აღნუსხული ტემპერატურა მის ნებას ემონება, შემზარავი მოჩვენება თავზე ადგას მსოფლიოს ყველა ლაბორატორიას. ამ მოჩვენებაში ჩვენ ვცნობილობთ ნაკვთებს იმ კაცისას, მუზეუმში ცეცხლთან მჯდომარე რომ გამოსახეს. ის შუბისა და შურდულის იგივე მფლობელია, ოღონდ ახლა მზის დაბნელების შემძლე გიგანტად გადაქცეული. მისი ტვინი შეპყრობილია ათასგვარი ბოროტი ძალით, რომელთაგან თავის დაღწევის საშველს აქამდე ბუნებაში პოულობდა. იგი შეპყრობილია ერთადერთი მიზნით — შექმნას უსაშველო იარაღი, აუცდენელი, გადამწყვეტი და საბოლოო იარაღი, თითქოს დაღუპვა გარდაუვალი იყოს და წინასწარგანჩინების ეს ჟამი ყოველ წუთს შესაძლოა დადგეს.

და შაინც, როგორც უკვე აღვნიშნე, არც ერთ ცხოველს არ ესაჭიროება სიყვარული ისე ძალუმად, როგორც ადამიანს. უსიყვარულოდ სიცოცხლე მისთვის წარმოუდგენელია. ადამიანი წინააღმდეგობებისაგან არის შეძერწილი მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი მილიტარისტების მტკიცებით, ადამიანებს მეომრული ინსტინქტები აქვთ, კაცობრიობის უმრავლესობას სძულს და ეშინია ომისა. ხალხი რომ აომო, საჭიროა მოუწოდო, პროპაგანდით გააყრუო, დაარწმუნო საკუთარი საქმის სიმართლეში. დიქტატორებიც კი იძულებულნი არიან ჰუმანური პრინციპები მოიშველიონ. ყველაფერი ეს ნაკლებად ამტკიცებს მეომრული ინსტინქტების არსებობას. სამაგიეროდ, ჩვენი წარსულის ბნელ უფსკრულებში ვპოულობთ ბოროტ განზრახვათა ახსნას. ადამიანს შიშიეუფლებოდა, როცა გამოქვაბულის ბნელ სიღრმიდან მას აშტერდებოდა კოცონის შუქზე მოელვარე უცნობი თვალი... ადამიანი შორსაა სრულყოფისაგან — და ამაშია მისი წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნების მთელი საიდუმლო. მისი შექმნა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული... შესაძლოა, ოდესმე მის შექმნას დაამთავრებენ. ძველად, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, ადამიანს Homo duplex-ს, — ნახევრად მიწას, ნახევრად სულს უწოდებდნენ. ეს განსაზღვრება საკმაოდ ზუსტია.

ახლა ჩვენ გაგვაჩნია დიდი ცოდნა ადამიანის ევოლუციაზე, მაგრამ მე ხანდახან მეჩვენება, რომ მეცნიერებმა ვერ შეძლეს რიგითი ადამიანისათვის საკმარისი სიცხადით განემარტათ მისი გარდაქმნის სასწაული. ჩვენ ვუჩვენებდით მას ადამიანის მსგავსი მაიმუნის თავისქალას. ჩვენ ვუმტკიცებდით მას, რომ ადამიანის ინტელექტი უძველესი წარმოშობის ინსტრუმენტს წარმოადგენს. მაგრამ იგი არ წარმოქმნილა უცებ, მზა სახით: პირიქით, იგი ძველისა და ახლისაგან შედგება და აღსავსეა გადმონაშთებით და დაუმთავრებლობით, ეს კი ყველაფერ მზარდსა და ცოცხალს ახასიათებს. ჩვენს სხეულში მიმალული რუდიმენტული ორგანოები, რომლებიც მსოფლიოს ლეთაში დაძირულ შორეულ წარსულს — ულრან ტყეებსა და უძირო წყლებს გვაგონებს, თავიანთ პარალელს ადამიანის ინსტინქტში პოულობენ. რისხვის უმიზეზო ამოფრქვევა, ირაციონალური, მოტივირების არმქონე ქცევები, — წინანდელი, უფრო პრიმიტიული ორგანიზმის რამდენიმე ატავისტურ გამოვლინებას წარმოადგენენ. ამასთან ერთად გულითადი მიდრეკილებანი, ალტრუისტული გრძნობები, ურთიერთ დახმარების მისწრაფება, მშვენიერებისადმი სიყვარული და მომავალ ცხოვრებაზე ოცნება. შესაძლოა, ჩვენზე ბევრად უფრო პრიმიტიულ საზოგადოებაშიც ვიპოვოთ.

მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენ აწმყო უნდა გვაინტერესებდეს, რადგან აწმყოსაგან წარმოდგება ხვალინდელი დღე. ვინ იბრძვის ამ ხვალისათვის, ბალისტიკური და კოსმოსური რაკეტების ამ საუკუნისათვის, რომელთა ავბედითი აჩრდილი თავს გვადგას სუყველას? ჩვენ, მხოლოდ ჩვენა ვართ პასუხისმგებელნი მომავლისათვის, და არა ის დაღრენილი ცხოველი, წარსულის ულრანიდან რომ გამოვიდა და ეს აწმყო მოგვიტანა. ჩვენ ხელს ვერ გავუწვდით საშველად საყვარელ და გონიერ გმირებსაც, რომელთაც მშვენიერი მომავლის ბედნიერ და ნებიერ შვილებად ვსახავთ ჩვენს რომანებსა და ოცნებებში. ისინი გვეკარგებიან ჩვენ მიერ შექმნილ, ჯერ კიდევ შეუცნობელ და უფორმო მომავალში.

ნამდვილად ვესწრაფით კი ნათელ მომავალს? ისე ძალუმად ვესწრაფით ამ მომავალს, რომ მზადა ვართ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ვებრძოლოთ ბუნების დამანგრეველ ძალებს, თუნდაც რომ ესოდენ მკაცრ დროში ვცხოვრობთ? უკლებლივ ყველანი მზად ვართ თუ არა პირისპირ შევხვდეთ ამისათვის ჩვენი ველური წინაპრების მხეცურ აჩრდილებს? ნუთუ იმიტომ მოვიხვეჭეთ მთელი სამყაროს მომცველი გონება, რომ ბუნების ბორკილებისაგან თავდახსნილებმა ადამიანს დავუმონოთ ჩვენი სიცოცხლე?

ყოველ საზოგადოებას აქვს თავის თავსა და თავის ცხოვრების წესზე რაიმე წარმოდგენა. ამ წარმოდგენაში აისახება ხოლმე მილიონობით ადამიანის სწრაფვა და ოცნება. თუკი მასში მარტო აწმყოს მოვლენებია ასახული, თუკი დაკარგულია ტრადიციები, თუ წარსული დავიწყებას ეძლევა, მაშინ მთელი საზოგადოების მოზაიკა თანდათანობით დამახინჯდება.

ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველი იყო დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ ადამიანი გახდებოდა, მაგრამ აშენებდა რა საზოგადოებას და ჰქმნიდა იმ კულტურულ გარემოს, რაც გარს არტყია, იგი სავსებით შეუგნებლად მოქმედებდა. ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანს ესმის თავისი საზოგადოების ბუნება და ჩვენი მომავალი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ

ესახება ადამიანის გონებას საზოგადოების მომავალი სახე. სწორედ ეს სახე ეხმარება მას კაცობრიობის მომავლის შექმნაში და სწორედ ამიტომ მომავლისათვის ბრძოლა დღიდან დღემდე უნდა მიმდინარეობდეს აურაცხელ, არაფრით გამორჩეულ ადამიანთა გულში.

თანამედროვე ადამიანი ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობს, რომელიც უზარმაზარ მატერიალურ ღირებულებებს აუნჯებს. ეს საზოგადოება უპირატესად ცხოვრების მატერიალური მხარეებით არის დაინტერესებული. მაგრამ, ვცხოვრობთ რა ასეთ საუკუნეში, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ადამიანი ოდითგანვე ესწრაფოდა სულიერად ამაღლებულიყო თავის თავზე და რომ ეს მისწრაფება ჩვენი მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ეს მემკვიდრეობა უსათუოდ უნდა შევინარჩუნოთ, რადგან ღრმა ისტორიული მეხსიერების არმქონე საზოგადოებაში მომავალი წყდება, ხოლო აწმყო უაზრო კაკაფონიად იქცევა. ადამიანისათვის შესაფერ მომავალს მარტო მთვარის დაუნახავ მხარეზე გაფრენებით ვერ მივაღწევთ. მას ვერც კოსმოსურ სივრცეში მოვნახავთ. უკეთუ იგი მიღწევადია, ჩვენს გულში უნდა მოვიძიოთ იგი. არჩევანი ადამიანმა უნდა გააკეთოს, თავისუფალმა ადამიანმა, თამამად რომ შეჰყურებს კოსმოსს და უკან მოხედვასაც არ უფრთხის.

და თუკი ადამიანს უწერია ეს გამარჯვება, იგი გაიგებს, — რაკი ბევრად უფრო შორსმჭვრეტელი გახდება, — რომ ეს მისი გამარჯვება კი არ იქნება, არამედ ახალი და საბოლოო ზეიმი კაცის გულში დავანებული ბუნებისა, შესაძლოა იმ ბუნებისა, რომელსაც ღმერთი ჰქვია. „ადამიანის ჯანსაღი აზრი, — წერდა ოდესღაც დიდი ღვთისმეტყველი, — ბუნებაში დარჩენილი ის მცირე ჭუჭრუტანაა, რომლის წიაღ ჩანს, რომ მისი საზღვრების მიღმა დაფარულია რაღაც“. ზნეობრივად თავისუფალმა ადამიანმა უნდა დაამტკიცოს ამ სიტყვების სიმართლე.

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა

ემილ ანტუან გურდელი (საფრანგეთი)

როდენი და ხელოვნება

ადოწყალეო ხელმწიფევ!

პროვანსულ სოფლად, სადაც ჩემი სული მარაოდ მოსდგომია მოსვენების მწყურვალ ჩემსავე სხეულს, კვიპაროსების შორისეთებს გამოსცდა და ჩემამდე მოაღწია ეგოდენ საპატიო თხოვნამ.

ხმა შვეიცარიისა შეერთო ზღვისკენ მისწრაფებულ მისტრალს.

ჩემთვის ახლობლურია სული თავისებურადაფალი, რომელიც აგრე რიგად აღანთებს თქვენი სამშობლოს მთიელთ და მე, ლაღი შვილი საფრანგეთისა, სალამს ვუძღვნი შვეიცარიის თავნება ნიავქარს.

მოგსურვებიათ შეგეტყოთ ჩემი საზრისი როდენის ხელოვანების შესახებ. დიდი სიამით ვასრულებ ამ თხოვნას.

ჩემ თვალწინ ნელინელ წარმოდგება ხატი დიდოსტატისა და ვღელავ ძლიერ.

მეხსიერებაში ამოიზიდება როდენის თითქოსდა კლდეში ნაკვეთი თავისახის ნამსხვილები, წახნაგოვანი ნაკვთები შეერწყმის უხვად გაბარდნილ წითურ, ნიალვრისებურ წვერს.

ვჭვრეტ მის ომახ ფიგურას, შუქიანი თვალების ჭკვიანურ გამოხედვას, დენთივით დამუხტულ ძალასა და წინასწარმეტყველის შარავანდს.

როდენი იყო ფორმათა უნატიფეს მიმოხრათა და მათი შთამალული წყაროების მოუღალავი მაძიებელი, ის გახლდათ ღირსეული მემკვიდრე ძველთაძველი ფრანგული ძეგლების აღმშენებელთა შტოისა.

ამ ღვთაებრივი ეპოქიდან გადარჩენილი, ერთიან სულს ნაზიარევი თვითეული ნამუსრევიც უმაღლეს მწვერვალებს მიაახლებს ჩვენი მიწა-წყლის მკვიდრთა.

პატივი დამდეთ თქვენა და დიდი წოდება მომანიჭეთ, მაგრამ ეს ის წოდებაა, რომლის შეშვენა არ ძალმიძს არასგზით და რომელსაც ვერც დავიჩემებ. ამიტომაც შეეხო ეს წერილი ჩემი სულის სიმს მგრძნობიარეს.

დიდხანს ვიმუშავე როდენის ხელდასხმით, წილხვედრი ვარ მისი ყველაზე რთული ჩანაფიქრის განხორციელებისა. მეტრის მრავალ საიდუმლოს ჩავხვდი. ვსჯი და ვსაზღვრავ ახლა ყოველივეს და ასე მგონია: მე მისი ანტიმოწაფე უნდა ვიყო.

ყოველი ჩემი განზოგადება წინ აღუდგება მისი ხელოვნების წარმმართველ კანონებს, სწორედ ასევე სხვადასხვაა ჩვენი სათავე და პირველწყარო.

მე მოვიპოვე რწმენა ჩემებური და გამოვსახე ჩემეული ჭეშმარიტება. მინდა ვაუწყო ყველას და დავმოძღვრო მითვე, რომ ჩემი გზა გაიკვალა მხოლოდ და მხოლოდ დიდხნობით ნამწიფ იდუმალებათა მომკით როდენისეულ ველზე. ეს კია, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი ჩემეული ხელოვნების შინაგან კანონს.

ერთობლივ მუშაობაში გატარებულმა წლებმა მასწავა ერთად შემეკონა ფორმათა შინაგანი ენის წვდომის, გარე სიბრტყისა და მოხაზულობის კავშირთგანჭვრეტის სხივთა ისრები.

რა ვეზიარე დიდოსტატის მონაპოვარს, განვიცადე უნეტარესი წუთები გაცისკროვნებისა, მონიჭებული ზეგარდმო მადლით.

იმოდენი მარცხი და სიმწარე გვიგემია ამ დროში, რომ იშვიათად თუ გამოკრთება ხოლმე ცაზე ჩვენი ბედის ვარსკვლავი.

ეს დიდი ბედნიერებაა ამიტომაც.

დაე, ყურად იღონ მომავლის ოსტატებმა: ფეხდაფეხ მივყვებოდი როდენს, ვერა და ვერ გამებედა ამომეღწია ჩემი სულის მაღაროიდან და ხალხისთვის გამეწვდინა იქ მოძიებული ნაღვერდალი.

არა და არ ჩამოიქნება მხატვარი ჭეშმარიტი დიდხნობითი ზიარების

გარეშე. თავის ხელოვნებაში როდენმა მტკიცედ და ძლიერ დაამკვიდრა ერთი იშვიათ კანონთაგანი, იგივ ძალმოსილება ჩვენი ძველი წინაპრებისა, ფრანგული ტაძრების ფერმწერთა და ქვისმთლელ ია.

არ შობილა და არც აწ იშვება ქვეყნად ბადალი ოსტატი, ვისაც აგრე რიგად ხელეწიფებოდეს შთაბეროს თიხას, გინა ბრინჯაოს სწრაფვა სხეულებრივი.

მისი ხელოვნება ნაირგვარია და ნატიფია ამ მხრივ და სამყაროს ტრაგიკული აღქმის ანარეკლია. ამ სფეროში როდენი სწორუპოვარია და უებრო.

გრძნობიერია და წამებული, ვითა მისი „მოაზროვნე", რომელიც ისე ჩამირულა სასოწარკვეთაში, ისე მოზიდულა, გეგონება, ფრთონავსო მოსვენებადაკარგული, ვარვარა ბრძმედში გამომწყვდეული ბრინჯაო მისი სხეულისა.

ფეთქს ეს დამფერფლავი ხატი, მუდმივი ვაებით გათანგული, იგი მედუზასავით იტყვევნის მზერას და თავად შემოსწერს გარშემო საშინელებათა რკალს.

საძმო მწვერვალზე კი რა ხანია გამეფდა მეორე „მოაზროვნე" — გიგანტი მიქელანჯელო, რომლის დაუნჯებული მზერა, ნაჩრდილი საუკუნეთა სპეტაკი ბინდით, ჩვენს სულს ნეტარ სურნელსა ჰფენს.

თუ ფიქრით დედამიწას გადაწვდებით, გონიერების ცადაწვდილ კლდეზე, დროთა ფენებს მიღმა კიდევ ერთ მოაზროვნეს მოვიხილავთ — ფიდიასის თეზევსს, აღვსილს სულიერი სიმშვიდით, მტვირთველს ღმერთების უკვდავებისა და სამყაროს თანხმიერებისა. ნამუსრევი მისი მკლავისა დღესდღეობითაც მართავს და განაგებს ქვეყნიერებას.

ყოველივე ესე წარსულშია უკვე და შორსაა ჩვენგან.

ღვთაებებივით მარტოსულ გმირთა სახეები — ესაა ფიდიასი.

სახეები, აღვსილი ქვეყნიერების გამწვდომი წინასწარმეტყველური ძალით — ესაა მიქელანჯელო.

სახეები ჩამოქნილი ადამის შვილთა მსგავსად — ესაა როდენი.

არავის ეგონოს ამ სამების დვრიტაში მომწიფდეს იგი — მთლიანი, რაიცა სჭირია ხვალინდელი დღის ხელოვნებას, ჩვენ უნდა ვხნავდეთ და ვთესდეთ რაც შეიძლება შორს მათგან, თუკი გვსურს ერთ მშვენიერ დღეს მოვიმკათ თავთავები ყველასა და ყოვლის მაერთებელი ხელოვნებისა. რათა აღვაშენოთ მომავლის ხელოვნება, უნდა შევუერთდეთ მორიდალ ნამუსრევს ძველის სიძლიერის, მძლე ფრანგული ტაძრების მწკლარტე, მაგრამ ნექტარ სურნელს, ღველფს რომ ინახვენ თავიანთ წიაღში.

ფენა-ფენა, აგურ-აგურ ავაგოთ უნდა ყველასთვის მისაწვდომი დამწერლობისა და სადაგ ნიშნადობათა ნაგებობა, უნდა აშენდეს სიმბოლოთა ტაძარი, ოღონდ ჭეშმარიტ სიმბოლოთა, იმ ნაგებობაში თვითეული კანონი და ყოველი ნაქანდაკარი, ფრთით, ხელის მტევანითა თუ შარავანდით მოეჭიდება ამ ძალუმ კედლებს.

სწორედ ეს კანონები დაედო საფუძვლად ბიზანტიურ ხელოვნებას, შემდგომ კი ჩვენსას, რომანულსა და გოთურს. თითოეული ქანდაკი თავისი განზომვითა და მოხაზულობით ეხამებოდა ამ შენობის კედლებს, მის თაღებს, მის ფუძესა და ბურჯებს.

მთავარანგელოზის ღვთაებრიობა შენობის მთლიან წყობას მორჩილებდა, წმინდანთა, გმირთა, ანდა შემწყალე ქალწულთა ქანდაკი განა თუ ცალ-ცალკე მშვენობდნენ, არამედ ვითარცა განუყოფელნი ნაწილნი, სისხლი სისხლთაგანი

და ხორცი ხორცთაგანი მთელის შენობისა. ქვაში ამოკვეთილი მცირე ყვავილიც კი ნათელსა ჰფენდა მთელ ტაძარს და აღმშენებელნიც ამა ტაძრისანი თავიანთი შემოქმედებით ადუღაბებდნენ საძმო გალავანის ლოდებს.

გახსოვდეთ! განა თუ ფიდიასი უნდა ვირჩიოთ მისაბაძ ნიმუშად, მისი თეზევსი მარტოსულია და თავისნება.

სხვა კანონები ამოჩნდნენ ახლა და უკვე იგინი განაგებენ ხვალინდელი დღის ხელოვნებას.

შთაგონებული წიგნი, მოციქულნი, ბრძენნი, ქადაგნი დღენიადაგ ღაღადებენ ამავე ჭეშმარიტებას: ძერწვის ხელოვნებაში ქვა ქვასთან, ნაწილი ნაწილთან ისე უნდა იყოს შედუღაბებული, ვითა წმინდა რწმენით შეთქმული გულები.

იმ ძველთაძველ დროს, ჩვენ ბაზილიკებში სულების ხმობად დამდგარი წმინდანისა, ანდა მოწყალე ღმერთის ფიგურა, ხუროთმოძღვართა იდეის მიხედვით იმავე დანიშნულებისა იყო, როგორც მკაცრად ნაკვეთი კუბი მარმარილოსი. ის ზუსტად გამოთლილ კონსტრუქტულ დეტალად წარმოგვიდგება. ყველა ესენი, ჯერეთ ცალ-ცალკე, მერე ერთად აღებულნი, ემიზნებიან ადამიანის სულის ამაღლებას.

მოჩუქურთმებული, თუ სადა ქვის ბლოკები ერთიანი ამოცანისკენაა მიმართული, ყველა ესენი დიდი, ერთიანი სულის მსახურებია, სწორედ ეს მოაქცევს ამ ალაგს სახიერად და წმინდად.

.მარადი ხელოვნების შექმნა ნიშნავს რიცხვთა და მიმართებათა ძმური ჰარმონიის დამყარებასა და დანარჩუნებას. ქვის ბლოკების უზღვრო ოკეანეში ცხადლივ ირჩევა თითო ლოდი, დატვირთული არც მეტ და არც ნაკლებ, არამედ ჯეროვან.

თანხმიერება ამ ნაწილებისა რიდიანი და ხმადაბალი აკორდებით შეიქმს უჩუმარ ქორალს, მარადიულ სიმართლეს რომ უგალობებს.

ხვალინდელი დღის მოაზროვნე იქნება ძეგლი ჭეშმარიტი, სადაც დროჟამის მსვლელობაში ყოველი, თუნდაც ამოცვივნული ფილა თავის უმნიშვნელო პროპორციებშიც კი დაინარჩუნებს ძველ გზნებასა და სწრაფვას. ეს იქნება სწორედ დასტური თვითშეწირულობისა. ამ პროცესში როგორც სარკეში, ისე აისახება მთლიანი ტაძარი.

ყოველი თანამედროვე მოქანდაკე, ვინაც არ ეზიარა როდენის ხელოვნებას, ბედს არ უნდა ემადლიერებოდეს, ხოლო როდენის თანამედროვენი, რომელთაც შეეძლოთ მისი მეშვეობით გაელვიძებინათ ამდენი ხნის მომლოდინე, რულმოკიდებული საკუთარი გულისხმა და ამის მაგიერ ყოველდღიურობის დოლს მიჰყვნენ და გვერდი უქციეს მეტრს, ვერა და ვეღარ მოიცილებენ უნიჭობის ტვიფარს.

მათზე რაღა ვთქვა, ვისაც როდენმა გზა გაუხსნა და ვისაც არც ახსოვს იგი და არც იხსენიებს?! შუბლის ძარღვი აქვთ მათ გაწყვეტილი. გარეწრები არიან და არაკაცნი. სხვა სახელს ვერც ვუწოდებთ მათ.

ვინც ჩახვდა როდენის ხელოვნებას, უნდა იგრძნოს კიდეც ის იდუმალი, ძალუმი ზამბარები, რაიც ძალმოსილებაა სხეულის განმასულიერებელი დიდოსტატისა.

როდენი იყო ჟან პოლ ფაბრი სხეულთა შინაგანი, ფარული წყობისა. მას,

ენტომოლოგიის ფრანგი ჰომიროსის მსგავსად, მონიჭებული ჰქონდა ნაყოფის მომტანი ჟინიანობა და ზეადამიანური სიაფთრე.

როდენის ფასი თუ გვინდა ვიცოდეთ, უნდა მოვათვალიეროთ მისი ე. წ. მეტოქეები, ჩემს დიდსულოვნებას უმადლოდნენ ისინი თუ მეტს არაფერს ვამბობ.

განა აუღელვებლად შეიძლება ლაპარაკი ამ თვითმარქვია და განდიდებულ გვამებზე, სახელს რომ ეცილებიან როდენს და სდევნიან კიდეც.

გაცილებით იოლია, დაიცვა ძველრომანული, ანდა გოთურ ნაგებობათა ოსტატნი, ვიდრე ხმა აღიმაღლო ჩვენი დროის თუნდაც გამოჩინებულ ოსტატთა გამო.

შუა საუკუნეების ოსტატები, რომლებიც ამშვენიერებდნენ ჩვენს ბაზილიკებს, საქმეს სიახლოვესაც არ აკარებდნენ უმეცართ. ჩვენს დროში კი ჭეშმარიტი ხელოვანნი მოჰგვანან ველურად ნაზარდ თავთავებს, ჯიუტი დაჟინებით მაღლა იშვერენ ყელს, წმიდა პური არ ეთმობათ, ყოველის მხრიდან კი მოსდებიათ ტიალი სარეველა.

უთვალავი მუშტარი გამოუჩნდა ქვას და მხატვრებიც იჩაგრებიან, სწორედ ისე, ჭანგა რომ მოაშთობს ხორბლეულს.

მერჩივნა სულაც ხმა არ დამეძრა ამის გამო, როდენზე მინდოდა მარტოოდენ მესაუბრა, მაგრამ ასე ხდება, როგორც კი როდენს ვახსენებ, წამსვე, ნებსით თუ უნებლიეთ, ვანადგურებ სხვათა დანარჩენთ.

უმჯობესია თავი ვანებოთ ამას. დაუდეგარი მისტრალი მოჰქრის ახლა, ცისა და ზღვის ლაჟვარდსა ჰკვეთს, ჩემს ფურცლებს მოეჭრება, აბურდავს და განაბნევს. აღარ იცდის კალამდაღირებული ფურცელი და იძულებული ვარ შევყოვნდე და გვერდზე გადავდო დაუწერელი ქაღალდები, იმის შიშით, ზედ არ გადმოპირქვავდეს მთელი სამელნე.

როდენზე, კვლავ და კვლავ როდენზე ვისაუბროთ, თვალნი და ყურნი მივაპყროთ მას.

წინასწარ მოფიქრებული თემა ფორმის ანალიზის საბაბადღა უჩნდა. ეს ყოველთვის ბატონობდა როდენის შემოქმედებაში. მთელი მისი ხელოვნება მიმიზნულია უშუალო შთაბეჭდილების მატერიალური ხორცშესხმის უკეთეს გზათა ძიებისაკენ. ესაა მისი შემოქმედების ხერხემალი. ამისთვის იბრძვის მოუღლელად. ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა იგი.

როდენის ჭეშმარიტი განზოგადებანი მუდამ შემოსაზღვრულია რეალური ცხოვრების გადმოცემით, მისი უმაღლესი ქმნილებანი ისე ახლოა სისხლითა და ხორცით შექმნილ არსებებთან, იმდენად სავსეა სიცოცხლით, რომ მხოლოდ ხელოვნებით მირონცხებულთა, ამ ემბაზში განათლულთა ხელი თუ შესძლებს წმინდად შეეხოს მათ.

როდენის მიერ სიცოცხლის დასალიერს შესრულებული ფერადოვანი ნახატები წარმოადგენენ მისი ძიებისა და ძალისხმევის უმაღლეს გამოხატულებას.

გულმოხებული განაგდებს ხელიდან ვივისექტორის საჭრეთელს. ფანქრით გავლებული ხაზი თრთის ჯერ კიდევ, მაგრამ ახლა უკვე უმეტესი სისადავე ახლავს. როდენმა აქ გადალახა სწორედ თავისი განუყრელი ლტოლვა ანალიზისაკენ. ზოგიერთი მისი ნახატი ღირსია გასცდეს ქაღალდის სამძღვარს, ახალი ხსნარით მოფარულ კედელზე ჰპოვოს ბინა, ფრესკად იქცეს, გასხივოსნდეს ახალი ძალით.

ბრწყინვალე ხილვებით გაცისკროვნებული როდენი ამ ნახატებში ციურ მადლს ეზიარება და საკუთარ ხელოვნებაზეც მაღლდება.

ეს იშვიათი ნახატები გვირგვინია როდენის შემოქმედებისა, მარგალიტებრ ციალებენ ისინი მის ქმნილებათა შორის და ოსტატის ყოველი საიდუმლო სწორედ აქ მოკრებილა ერთად.

თუ სხვა, ამათთან შედარებით ნაკლებად ამაღლებულ, მაგრამ თავისთავად მშვენიერ ნახატებსაც ჩავუკვირდებით, მეტრის მუშაობის ხერხებსაც ჩავწვდებით.

როცა მიწიდან ამოხეთქილი წყარო უხვად იღვრება, აუზს მორაგვავენ ხოლმე კაცთა გამოსადეგს და რაოდენი საბრალისი ჭყუმპალაობს იქა გაუგებრად და უსაზმნოდ.

დიდოსტატის ხელოვნების მაღალ და წმიდა სათავეს კი ეს ჯგრო ვერა და ვერ ეწაფება.

როდენი დარიალებს გრძნობათა ნისლოვანედში, ასე რომ მოჰრევია მას, ჰმონებს თვალხილულს. იგი ესწრაფვის გრძნობადი აღქმის ძახილს, საგნებსა და მოვლენებს სწორედ მაშინ შთაიბეჭდავს, როცა ამ გრძნობითაა პყრობილი და ამიტომაც ჟამი-ჟამ ფეხი უცდება. ისევ და ისევ კვალავს იგი თავის გზას, დაუსრულებლივ უბრუნდება უკვე გათელილ ბილიკს, სიცოცხლით მფეთქავ სხლეტს ყვავილებს აცლის, ისუნთქავს მათ სურნელს, მერე კი მოისვრის. ენაუთქმელად ლევენ სულს ყვავილები და მათი უჩუმარი სიკვდილი ახალი ფერებით ამდიდრებს შემოქმედის პალიტრას.

იგი მთელი არსებით ეძლევა სიყვარულს, ზოგჯერ კიცხავს საკუთარ თავს, ხან იბრალებს, იცოდებს, ხელს იღებს საკუთარ შემოქმედებაზე, ანდა განადიდებს ზომაზე მეტად, მკერდში იხშობს სულის ამოძახილს, ხან კი ამოაშადრევნებს გრძნობებს, განცდათა გუნდები ამოიშლება უეცრად მისი სულიდან, ვითა გზადაბნეული და თვალზე ბინდდაკრული ურდო.

როდენი არ განაგებს თავის ჩანაფიქრს, ვერც ვერაფერს ხედავს იმის მიღმა, რასაც თვალი აწვდის და უშუალო შთაბეჭდილება.

როდენი ძალზე იშვიათად ადუღაბებდა ერთიანად თავის შემოქმედებით ძალებს, მთელი მინაღწევარის ერთ ნამუშევარში თავმოყრის მიზნით. მარტოოდენ ამ მართლაცდა ზებუნებრივ ნახატებში აღასრულა ეს როდენმა და სწორედ ეს ქმნილებანი განანათლებენ მისი ცხოვრების დაისს.

როდენის მთელი სიყვარული მაინც ქანდაკებამ გადაწონა: მან ქანდაკებაში ჩააქსოვა მკლავის ძალა და გულის მხურვალება.

მეტწილ მის ქანდაკებებში უსაზღვრო ტრაგიზმი გამოსჭვივის. მათი სისხლსავსე სხეულის თბილი, მკვრივი გარსი დაშანთულია თავდავიწყებული სწრაფვით. როდენის გამორჩეულ, უმშვენიერეს ქმნილებებსაც ვნებათა წარუშლელი დაღი დაჩნევია.

საძნელო იყო ბრძოლა, როდენმა რომ გადაიტანა თავისი ცხოვრების მანძილზე.

თვალწინ მიდგას მისი დაზიდული მასიური თავი, გეომეტრიული მოხაზულობით გამოკვეთილი, ფოლადის საჭრეთლით გამოწვალულ თიხას ჯიუტად დამზერილი.

ვხედავ თუ როგორ იტანჯვის ამ თითქოსდა ციებცხელებიანი ხელით გა-

მოშიგნული თიხა. ამ ხელმა კი არ იცოდა რა იყო ზღუდე, თან კი სულ დათმობაზე მიგვანიშნებდა. ამ დაუოკებელ მკლავს ლაგამს სდებდა გონება, ადამიანის ძალთა ზღვრულობა და განუხრელი კანონი დროისა.

მხოლოდ ამათი ძალვით ატოვებდა იგი დაურწყულებელი გახელებით ნაფლეთ თიხას.

ეს ტრაგიკული მოქანდაკე თრგუნავს დასერილ, აფუნგულ თიხას, არღვევს, გადაშლის მოხაზულობათ, ამსხვრევს აღტყინებულ სახეებს. ამ შემოქმედებითი სიშმაგისას შორს გადაფრენილ ნატეხს მარადიულად დაეჭდევა ზედ შეყინული ღიმილი.

მერე კი ძალაგაცლილი ოსტატი თავს ჩამოდებს მოღლილ მკლავზე.

ცხადლივად მახსოვს ეს ყოველივე.

სიცილით მეტყოდა: ერთ წამში მოვსპე ის, რასაც არა ერთი და ორი დღე შევალიეო.

— ბურდელ, — დაუმატებდა ხოლმე მეტრი, — ვერაფერს შეინარჩუნებ, ვერ შეიტოვებ იცოდე ვერაფერს. ყოველდღე ხელახლა გიწევს განსწავლა.

ო, დიადო ქანდაკნო დიდოსტატისა! რაოდენი სასოწარკვეთა და იმედგაცრუებაა ჩამარხული ამ ფიგურებში, რაოდენი აუხდენელი რამ იმალვის ამ ტორსებში, რაოდენი სიმწარე ატყვია ჩაქინდრულ თავებს და მასწავლებლის დუხჭირი ახალგაზრდობის რაოდენ გასაჭირზე მეტყველებენ ეს ხელები.

ო, დიდმეფურნო ნამუსრევნო, ღირსნო ყოველთა თაყვანცემისა, იმათი დაფასებისაც კი, ვისაც გველური სიბრძნე მონიჭებია და იოტის ოდენა ნაკლი არ გამორჩება.

დიახ, ნამუსრევია ისინი სწორედაც. ოღონდ უსაზღვროებას განეკუთვნებიან ისინი, ეს ენებია პრომეთეს ცეცხლისა, ღვთაებრივ შუქით გაბრწყინებულ, დაჭრილ-დაკოდილ ანგელოსთა ანაფლეთი მხარ-ფრთა.

მაღლობზე აისრული უდაბური ფიჭვნარიდან გადავმზერ ხმელთაშუა ზღვას, ცას რომ შეერთვის. ჩვენი ქალაქის მოსალტულ ყურესაც ვხედავ.

ფიქრებით ვეშვები მის კლდეებზე, დავხეტიალობ ძველ ნავსადგურში, ვოცნებობ უკიდეგანო სივრცეებზე, შუბლს ვინამავ ტალღების ქაფით, მზე აჭერს ზემოდან და წყლის ნაჟური ცრემლებივით ელვენთება მორიყულ ნაპირს.

ზაფხულის უღრუბლო ლაჟვარდის ქვეშე ლაღად დარწეული ზღვაური ქალთა მსუბუქ სამოსს აშარიშურებს, კოცნას აფრქვევს იქეთ-აქეთ, ელამუნება მშვენიერ ასულთ მუქ ოქროსფერ კანს, მერე ნეტარებისაგან მემთვრალე ჩაისრიალებს ყმაწვილ ქალთა, ზღვისა და ხვატის ამ განუყრელი დობილების თასმასავ თ დრეკად სხეულებზე.

შუქჩრდილებსა და მზის სხივებს უძერწნიათ მათი სხეული, კუნთები, მყესები, ძარღვები იკვეთებიან მთრთოლავი ქსოვილის ქვეშ. ჯერეთ უხილავ და უცნობ, უზადო სინარნარით აღსავსე ქალწულთა დასი გადივლის ჩემს წინარე, მომავლისკენ მიმზერილი მშვიდი, შუქიანი თვალებით. მოქნილთ და ტანწყობილთ თეთრი პირბადეები უფრიალებთ სახეებზე, მსუბუქად იარებიან, თითქოს გამარჯვების ქანდაკებებს ჩასდგომოდეთ სული.

წერა-მწერელი წარმართავს ამ შავ და წითურთმიანთა სვლას ქუჩებსა და ხეივნებში გაბნეული ჯარისკაცებისკენ. მათი გამოჩენისას იწვართებიან ჯარისკაცები, წყობილად მიიჯრებიან.

ზაფხულისეული მშვენება და დიდებულება მოსავს მასილიას, გაცოცხლებულ ტაძარსა მოჰგავს.

წინასწარმეტყველი და ბრძენი წარსულის რიტმებს იგრძნობენ მასში და აბჟამინდელი და მომავლის ხელოვნებაც ენიშნებათ.

მძლავრი ცისფერი ნიავქარი ნავარდსა ჰკრავს, იმღერის, იმ ქალწულებს დასტრიალებს თავს, ფიქრიანი სვეტებივით რომ აღერილან.

აფრიალებული თეთრი დოლბანდები ქალწულებრივ, ენით აუწერელ მშვენებას გამოაჩენენ. იმდენად თვალწარმტაცია ეს სილამაზე, გეგონებათ, ზღვაც ვერ იტევს მღელვარებას ამის შემყურე და ტალღებსა გრაგნისო.

ფრთონავს ზღვა, იბურცება, მისი გაქაფული მერნები აწყდებიან ციურ სიმაღლეებს და ჩვენს ფერხთა ქვეშ განირთხმევიან.

ხმელთაშუა ზღვა — ჩემი შთამგონებელი, ვაყურადებ მისი ურაცხავი ტალღების ხმაურს, ჩვენი აბრუნებული პლანეტა რომ უნანავებს.

ხატი ქალისა და ხატი ზღვისა, ქარნაკრავნი, მესიტყვებიან.

აი, ვინ მომიბოძა გასაღები როდენისეული ხელოვანებისა.

თრთოლვა ქალისა, როცა ყოვლის გამსჭვალავი ქარი ქრის, ყოველი წუთითა და ყოველი წამით ცვალებადი ზღვა, რომლის მაძიებელი ჰორიზონტები საითკენღაც მიიწევიან მარად.

მათი მოძრაობის წერტილებით იქსოვება დიდი ერთიანობა.

იდუმალება და ტორტმანი ზღვისა მიგვანიშნებს სამყაროს არსზედ.

რამდენი ცრემლი ედინა ბუნებას, ვიდრემდე დაჰბადებდა უკიდეგანო ზღვის ძალოვან და მრისხანე ტალღებს.

ფორმა როდენის შემოქმედებაში იხუთვის შრომით ციებცხელებაში, რომელიც მოჰგავს სამყაროის იმ დამაშვრალობას, რითაც იქმნა ზღვა-ოკეანე.

ტალღები კვდებიან, ხელმეორედ იბადებიან და ეძლევიან უსასრულო ოცნებას. აი, ამდაგვარია სწორედ როდენის მიერ შექმნილი მარადიული ბრძოლის სილუეტები, ვნების მუდმივი ცეცხლი რომ მონიჭებიათ და მრავალჟამიერი სიცოცხლე უწერიათ უკუნითი უკუნისამდე.

ზღვა ამთაგორებს და ნაპირებს აზავთებს ტალღების მიერ დანთხეულ ცრემლებს. ადამიანი სწორედ ამ გოდებაში შეიცნობს საკუთარ თავს.

სწორედ ამგვარად იბადება სიცოცხლის ყიჟინით გამსჭვალული სასოწარკვეთა როდენის შემოქმედებაში. იგი მოჰგავს ადამიანის სულის ბნელეთიდან ამობრწყინებულ მირიად ნაელვებ სხივს.

ვერც ერთი ატომი როდენისეული ხელოვნებისა ვერ ეთვისება სიმშვიდეს.

მოძღვარი თავისი მძლავრი ხელით გადასწევს მძიმე საგდულს, რომელსაც მივყავართ გასაგნების დიად და ტრაგიკულ სამყოფელში, სად მეფობს როდენი, ვითარცა რაინდი შეჭმარიტი.

შესაძლოა გადაჭარბებულიც გეჩვენოთ შედარება როდენის შემოქმედებისა ზღვასთან, მაგრამ ამ ორთა მიახლოებაში ღრმა ჭეშმარიტება ძევს.

მე განვაზოგადე როდენისეული გამომსახველობითი ხერხები.

ახლა თუ გულისგულ მოვჩხრეკთ ზემოხსენებულ ცრუ, თვითმარქვია მეტრთა ნამოქმედარს, რას ვნახავთ იქა?

სიმშვიდეს? ვერასგზით, რადგან ყოველგვარ სიმშვიდეში ხომ სიცოცხლეა ჩაფესვილი. არცთუ ნაღდ სიკვდილს მოიხილავთ იქა, რადგან თვით სიკვდილშიც კი ბუდობს სიცოცხლე. თქვენ წარმოგესახებათ მარტოოდენ მოჩვენებითი არყოფნა.

ეს უგვანი ქარგლები ჭუჭყსა სცხებენ მხატვრის მაღალ წოდებას. დაე, თავისით ჩამოხმენ მათი გვირგვინები, ჩვენ ნუ შევახებთ ხელს, მათ ხომ არ ძალუძთ საკუთარი თავის შეცნობა და ნეტარ არიან უმეცრების წყვდიადით მოცულნი.

როდენის ნამუშევრები იმდენად გამგმირავია, ტანში გზარავს მათ მაცქერალს.

მე ვიცი ორი როდენისეული ეტიუდი. ორთავე გამოსახულებაა ქვეყნიერების დასაბამიდან მოყოლილი ტრაგედიისა. ხორციელ ვნებას გამოსახავენ იგინი. ესაა ორი უთავო ტორსი ქალისა.

მეტყოდა ხოლმე: იქნებ გგონიათ, ამ სხეულებს თავები აკლიათ? არა და არა... თუ ასე ფიქრობ, მაშინ, როგორც ჩანს, ანი და ბანი არ გესმის ხელოვნებისა. ამ ნამუშევარში ყველგან ჩინობს ადამიანის თავი, ეცადეთ, თქვენც გამოძერწოთ ცოცხალი ფრაგმენტები. თუკი იგრძნობთ, რა აცოცხლებს ფორმას, მაშინ მაცქერალიც ფიქრით განვლის თქვენს გზას და ჩახვდება, სად იმალვის შინაგანი წყაროებიდან ამოსხლეტილი ბიძგი და მისი გონება შეავსებს დანაკლის ნაწილებს.

ასეთია როდენის მიერ გარდამოცემული გაკვეთილი.

მისი ხელოვნება ესაა წიგნი, სადაც გამოთქმულია ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტება, მაგრამ აკლია ბოლო თავი.

უფრო სიღრმისეულად რომ შევიგრძნოთ დაგანძული სიმდიდრე როდენისეული შემოქმედებისა, მინდა წარმოსახული ხატი მოვიშველიო.

წარმომიდგება ბრძენი ნაოსანი, ჯანგატეხილი წყალქვეშა კლდეებთან ჯახითა და ჭიდილით, თვალდაშრეტილი და უღონიო. სხვა ჩარა არა აქვს, უნდა დაუტევოს სამუდამოდ ზღვის სტიქიონი.

ერთ გულკეთილ მიწის მუშას შეავედრებს თავს, როგორმე ზღვის პირს მიმიყვანეო.

საღამოა. მიწის მუშამ საქმე მოითავა, სიტყვა არ გატეხა, პირიანად მოიქცა, მხარში შეუდგა მოხუცსა და მიჰყავს ზღვისკენ. მაგრამ იძალა ღამემ, ვერა, ვერ მიაღწევენ ნაპირამდე. იზახის საბრალო: იჩქარე, მეგობარო, აჰანდე, მესმის ხმაური ზღვისა. და მოხუცი ორთავე ხელებს გაიწვდის წინ. მეგზური აქაფებულ მორევს მიაყენებს მოხუცს. ბებერი მეზღვაურის ხელებს ელამუნება ტალღების ქაფი. ზათქით ეხეთქებიან ნაპირს ტალღები. ზღვა შემოიჭრა მოხუცის გულში, სულთქმა ეკვრის, მეზღვაური მაინც არ იყოს, ცრემლს დაღვრიდა, გულს მოიოხებდა. ნანატრი ზღვა მარილის კრისტალს აზარნიშებს მის დაღარულ სახეზე.

ოდეს ფორმათა სამყარო მოუხილველი გახდეს ჩემთვის და მიმაახლონ ქანდაკს ამ დიდოსტატისა, ხელს შევახებ მის გარდამეტებულ მოხაზულობათა და ჩემი სულიც გასხივოსნდება. ეს ფორმები დამიბრუნებენ თვალის ჩინსა და ჩემში ამღერდება ტალღათა უჩუმარი ჰიმნი.

ასეთია როდენის ხელოვნება. ცხოვრების გამოსახვა მის ქმნადობაში, წამიერის მარადიულად ქცევა, იმ წამიერისა, როდესაც დრო უსაზღვრო სიღრმეს იძენს, ესაა ოსტატის უმაღლესი მიღწევა.

თუ გსურს მოგესმას დროის ნაბიჯი, ყურმახვილი უნდა იყო.

როცა ხალხი გამოიწაფება და დაინახავს იმას, რაც შორეთშია თვალთაგან მიფარული, როცა ადამიანები შეიცნობენ როდენის ფორმათა აზრსა და

დანიშნულებას, შინაგან მზერას როს გაამახვილებენ, მაშინ ხუროთმოძღვრის, მოქანდაკის, ფერმწერის სიტყვა მშობლიური გახდება მათთვის.

ამ მუნჯურ ენას ძალი სულისა ჩასწვდება მხოლოდ.

და სწორედ მაშინ ჩვენც დავადგებით წინაპართა გაკვალულ გზას და მოგვესმება სრულიადი წონასწორობის ჰიმნი.

ყურები გაიჭექა ციკადების სიმღერით. რაც მეტად უკიდებენ ხმას, მზეც თითქოს უფრო მცხუნვარე ხდება.

ჰაერში გაბნეული ფიჭვის ნემსა წიწვები ეკრობა კალამს, ალმური ასდის კალამს, წამდაუწუმ აშრება მელანი.

გუმანი მამცნობს, ჭეშმარიტება გადმოვალს სადაცაა.

მოწყალეო ხელმწიფევ, დიდი პატივი დამდეთ თქვენი ნდობით. ძველად მსმენია ასეთი მიმართვა, ადრეულ ბავშვობაში, როცა პატარა მწყემსი თხებს ვახატავდი საჩეხის კედლებს.

გულახდილი დავრჩები ბოლომდე.

იმ მეზღვაურმა, ვინაც ხელახლა ეზიარა მშობლიურ სტიქიონსა, და მე, თვალდავსებულიც რომ შევიგრძნობ მოხუცი მეტრის შემონაქმედს — ჩვენ ორთავემ განვიცადეთ ტალღათა მაცოცხლებელი ზემოქმედება.

მე ეს გამოვსახე ღრმა მნიშვნელობით აღსავსე ხატით. თვალუწვდენ სიმაღლეს ვუსწორე მეტრის შემოქმედება. სხვაგვარად ვერც ვიქმოდი, უფლება არა მქონდა. მაგრამ არც იმის უფლება მაქვს კიდევ მეტი სიმაღლე მივანიჭო მას, ვერ ხელვყოფ მომავალ თაობათა ჭეშმარიტების საზომს.

მე და ჩემს მიერ დახატული საბრალისი ადამიანი დავნათესავდით, შეხებით განვაცოცხლეთ აჩრდილები ჩვენს სულებში. მან — ზღვის ტალღები, მე — შემოქმედება როდენისა.

როდენმა მიჩვენა ის გზა, რითაც უნდა მევლო შემეცნებისაკენ მიმიზნულს. მაღალ ჭეშმარიტებას მხოლოდ და მხოლოდ ქმნადობაში თუ შევიცნობთ. სწორედ ამას ვუმადლი მეტრს. მან მიმაახლოვა ამგვარი შემეცნების მიჯნებს.

მაგრამ როცა კი გადავკვეთთ ამ საზღვარს, ჩვენს წინაშე გადაიშლება მაღლით მისწრაფებული იკანკლედური გზა და მოგვესმება ხმა იდუმალი, რომელიც მოგვიწოდებს ავიდეთ ზევით, ავცდეთ ფარვანული ჩრდილების წარმავლობას და მივუერთდეთ იმ მწვერვალებს, სადაც დაჰყოფენ შემოქმედნი ერთის, მთელისა.

აი, აქ კი როდენი უკვე აღარ ივარგებს ჩვენს მეგზურად.

მისი შემოქმედება ვერა და ვერ განგვიმარტავს, რა აიძულებს ზღვის მოუთვლელ ტალღებს, საკუთარი სწრაფვა კი არ გამოსახონ, არამედ შეერთონ ერთიან მიმოძრაობას, ციურ სფეროთა გადანაცვლებას, კოსმიურ კავშირთა მიქცევ-მოქცევას რომ აჰყოლია.

თუ გარეგან ხედვას მივსდიეთ, შეგვეძლება შევქმნათ უმშვენიერესი ნაწარმოებები, მაგრამ თუ ჩვენი სული შინაგან მზერას დაემყარება, მერე კი ორთავე ესენი თანხმობაში მოვა, ჩვენს წინაშე გადიშლება უფრორე ვრცელი და უმაღლესი ჰორიზონტები.

როდენი იყო უბადლო გაცხადება პირველხილვისა.

მაგრამ მოდგა ჯერი მეორესი!

დაჰკრა საათმა აღმშენებელთა!

სხეულის კანონები უნდა დამორჩილდეს სულის კანონებს, ასე გაიკვალება გზაი ახალი, მაგრამ ვიდრემდე ამ ბილიკს შევუდგებოდეთ, ხარკი უნდა მივუზღოთ მოძღვარს.

ჩემი გზა აკურთხა მისმა გამრიგე მარჯვენამ.

და ის, ვინაც გვერდს აუქცევს, ჯეროვან ყურადღებასა და მადლიერ მზერას არ მიაპყრობს განუმეორებელ როდენს, რომელმან შეაღო კონკრეტული სამყაროსა კარი, იგი შორიახლოსაც ვერ მიუდგება მშვენიერების ზღურბლს.

ხე კენწეროით გრძნობს თავისი ფესვების ცხოველქმედებას, ასევე ადამიანის სულიც შეიგრძნობს გარდასულ წინაპართა ცხოვრებას, უფრო მეტად რომ გადაშალოს ძალუმი რტოები, ხე ღრმად და ღრმად მიიწევს ფესვებით მიწისქვეშეთში.

მზით ნახანძრი, მწვანით შეფოთლილი ხე დაუღალავად ხაპავს სიღრმიდან საზრდოს. ნაყოფი ღუვდება და ივსება ბადაგით, მიწის წიაღიდან რომ მოედინება.

ახლა, როცა ჩვენმა ცამ გადაიკარა, ავღორძინდით დაცემის შემდგომ, კვლავ სისავსე და სისრულე გვწყურია, მოგვესურვა დავეწაფოთ განზოგადებულ ფორმებს, შევუერთდეთ სამყაროს დიად ჰიმნს, ჩვენი სხეულის ფარგლებს მიღმა რომ ჟღერს და განაბნევს ცეცხლოვან ცრემლებს ზეციური გონიერების ლაჟვარდოვან ბაღებში. რადგან უკვე ჩავწვდით ერთიანობას მოწყვეტილ მოვლენებს, ახლა უნდა ვიპოვოთ განუზომლობის მიზეზთა მიზეზი. ჯერ უნდა განვაზოგადოთ და მხოლოდ მერე მოვიძიოთ კერძოობითი.

აი, ბატონო ჩემო, ის აუღებელი ციხე-სიმაგრე, ჩვენ რომ უნდა დავლაშქროთ.

არ ძალმიძდა ართქმა ამისა. ამას ითხოვს მომავლის ხელოვნება. ეს ხელოვნება სანახევროდ ადამიანის შემოქმედებითმა ცეცხლმა შექმნა, ხოლო მის ფესვებად ფრანგი ხალხი რეიმსის ტაძრის წიაღს იგულვებს.

ვინც ხელაღებით ექცევა ამ სრულყოფილ ნაგებობას, ვინაც სათრევად ხდის ამ წმიდათაწმიდა ქვაფურცლოვან წიგნს, იგი ბილწავს ხვალინდელი დღის ხელოვნების წყაროს.

ერის სირცხვილია ეს და ვაი მას, ვინც ვერ გრძნობს ამ საშინელებას.

რეიმსის ტაძარი განა მარტოდენ მეფეთ კურთხევის ალაგია, მისი იდუმალებით მოცული ქვები გვახსენებენ, რომ ციური სული მიეახლა ადამიანებს, ამცნო მათ საიდუმლო მიზეზთა მიზეზისა, ხოლო აღმშენებელნი ამა ტაძრისა ქედმოდრეკით იყვნენ, ადამიანებად დარჩნენ ბოლომდე, სწორედ ამიტომაც შესძლეს ამაღლება ზენარ სფეროებამდე.

ვამთავრებ წერილს, მზე ეს ხანია გადაექანა თვალსაწიერსა, ღამეც ეშვება ზღვისა პირს. ბევრი ვიუბნე წარსულის ნანგრევებზე და ახლა ჩემი გულის დარდი და საღამოს ბინდი ერთად გადაილესა მელანში. ირგვლივ აზიდულან გარინდული, გასაოცარი ფიჭვები, თითქოსდა ტაძართა მოდარაჯე ისროვანი კამარედები. მწარტკბილი სურნელი მოედინება ზღვარეებიდან, უმშვენიერესი მდუმარება მოღვრილა მთელს არე-მიდამოში და აჰა, მოიწია დრომ მოვრჩე წერას წერილისას. დაფნის მკვიდრი შტო-ფოთოლი გადმოწვდილა ჩემსკენ, სტრიქონებით დაშაშრულ ფურცლებს ეშველებიან, სურნელი ეგვირისტება ამ ფურცლებს მუქ-მომწვანო ფოთლებისა და როცა ჩემს კალამს დიდი რუდუნებით, ასო-ასო გამოჰყავს როდენის სახელი, ჩრდილით მობინდული დაფნაც თრთის და შრიალებს.

თარგმნა ედიშერ გიორგაძემ

დავით დავლიანიძე

თოვლის ეული ფანტელი ზაფხულის მზიან დღეს

ჩვენი ალმანახის ამ ნომერში დაბეჭდილი თარგმანის საშუალებით ქართველი მკითხველი უფრო ახლოს გაეცნობა გამოჩენილი ავსტრიელი მწერლის რობერტ მუზილის (1880 — 1942) შემოქმედებას. უფრო ახლოს იმიტომ, რომ ადრე გამოქვეყნებული რამდენიმე წერილის მიხედვით უკვე აქვს ზოგადი წარმოდგენა მწერლის შემოქმედებაზე. ამიტომ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ ნაწარმოებზე და აღარ გავიმეორებთ ზოგად ცნობებს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ირგვლივ.

1924 წელს მუზილმა გამოსცა ნოველათა კრებული „სამი ქალი". ნოველებს ერქვა: „გრიჯია", „პორტუგალელი ქალი" და „ტონკა". „სამი ქალი" ეჭვიანობის თემის სამი ვარიაციაა. „გრიჯიაში" მისი მსხვერპლია ჰომო, „პორტუგალელ ქალში" სნეული რაინდი ეჭვიანობის წყალობით განიკურნება, „ტონკაში" ეჭვიანობა სხვა, უფრო ზოგად პრობლემას ემსახურება. ნოველებს ქალთა სახელები აქვს სათაურად, მაგრამ სინამდვილეში მთავარი მოქმედი პირები მამაკაცები არიან. გრიჯიას, პორტუგალელ ქალსა და ტონკას ავტორი შეყვარებული მამაკაცის თვალით გვიხატავს და ამ ხერხით სურს გადმოგვცეს იმ ამოუცნობისა და სიწმინდის შთაბეჭდილება, რასაც ახდენს ქალის ბუნება მამაკაცის ფხიზელ გონებაზე.

„ტონკა" მუზილმა ბერლინში სწავლის პერიოდში დაწერა (1903 — 1908), თავისი პირველი ნაწარმოების — „აღსაზრდელი ტიორლესის შეშფოთების" გამოქვეყნების შემდეგ (იხ. „ხომლი" № 3, 1969, გვ. 283 — 292). ამავე პერიოდში შექმნა მწერალმა თითქმის ყველა მომავალი ნაწარმოების პროექტი. თავდაპირველად „ტონკა" რომანის სახით იყო ჩაფიქრებული; შემდეგ კი მუზილმა თავისი რამდენიმე წლის ჩანაფიქრი ნოველის სახით გამოაქვეყნა და წინა ორ ნოველას დაუმატა. „სამი ქალის" გამოქვეყნებამ ომის შემდგომ სახელი გაუთქვა მწერალს. ამ წიგნის წარმატებამ გზა გაუხსნა შემდეგი ნაწარმოებების გამოცემას.

„ტონკაში" ასახულ მოვლენებს გასაგებს ხდის მწერლის ბიოგრაფია. მუზილის ბავშვობამ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა. მშობლებს შორის განხეთქილება ჯერ კიდევ 1881 წელს ჩამოვარდა, როდესაც მწერლის დედა ჰერმინე დაუახლოვდა თავისი ქმრის კოლეგას ჰაინრიხ რაიტერს. მათი სიახლოვე მთელი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდა. რაც რობერტს თავი ახსოვდა, „ძია ჰაინრიხი" მათი ოჯახის მუდმივი თანამგზავრი იყო, ყველგან თან ახლდა ცოლქმარს და მათ ჰერქვეშ ცხოვრობდა. ნოველაში რაიტერი ძია ჰიაცინტის სახით გვევლინება.

მამა უსიტყვოდ იტანდა ამ დამცირებას, შვილს კი რცხვენოდა და ებრალებოდა იგი. მამის უნიათობამ ადრე გაუღვიძა ბიჭს მამაკაცური თავმოყვარეობა, ამიტომაც დედასთან ხშირად მოსდიოდა უთანხმოება.

მუზილმა ჯერ კიდევ ყრმობის წლებში გადაწყვიტა აღარ ეცხოვრა მშობლებთან და საკუთარი ოჯახი შეექმნა. იგი დაუახლოვდა ჰერმა დიცს. მშობლები წინააღმდეგნი იყვნენ მისი ამ ქალთან სიახლოვისა, განსაკუთრებით მწერლის დედა. მუზილის შემოქმედების მკვლევარები თვლიან, რომ სწორედ ეს ბიოგრაფიული ფაქტი დაედო საფუძვლად „ტონკას". შემორჩენილია რამდენიმე ჩანაწერი, სადაც გმირებს ჯერ ისევ რეალური პროტოტიპების სახელები ჰქვიათ: „დედა და ჰერმა. დედასა და ჰერმას შორის არსებობს ფარული პარალელი. დედაც ხომ ოდესღაც იყო ქალიშვილი, ვინაც უფრო შეეფერებოდა რობერტს, ვიდრე ჰერმა". [1]

მაგრამ მოთხრობის გაგებისათვის ავტორის ბიოგრაფია არ გახლავთ გადამწყვეტი,

---

[1] Robert Musil. Tagebücher, Aphorismen, Essays und Reden. Hrsg. von A. Frise. Hamburg, 1955. s. 70.

რადგანაც ლიტერატურულ ნაწარმოებში ბიოგრაფიული მასალა ამ ნაწარმოების შინაგანი ლოგიკის თანახმად გარდაისახება მუდამ. მწერალი ახლებურად აკავშირებს რეალურ მოვლენებს, თუკი ამას ნაწარმოების სიუჟეტის განვითარება მოითხოვს. ასევეა „ტონკაშიც“: ბიოგრაფიულ ამბებს აქ მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა აქვს.

ზოგი მკვლევარის აზრით მუზილის შემოქმედებაში „სამ ქალს“ მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია. გამოკვლევები „სამ ქალზე“ და, კერძოდ, „ტონკაზე“ ძალზე ცოტაა. ერთ-ერთი დასავლეთგერმანელი ლიტერატურათმცოდნე ვალტერ ზოკელი თვლის, რომ ნოველის მთავარი პრობლემაა რწმენასა და სკეპტიციზმს შორის ურთიერთდამოკიდებულება [1].

რწმენა მოითხოვს ადამიანისაგან გონების უარყოფას, ირაციონალური, აბსურდული ნდობის მისაღწევად. რელიგიური დოგმების რწმენასა და მეცნიერულ ცოდნას შორის არსებულ წინააღმდეგობას აქ გამოხატავს, ზოკელის აზრით, ტონკას სატრფოს დამოკიდებულება მისი აუხსნელი ფეხმძიმობის მიმართ. კონფლიქტის ცენტრში ექცევა ქრისტიანული რწმენის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა — რწმენა უბიწო შთასახვისა. გმირის, მისი ნათელი მეცნიერული გონების წინაშე დაისმის კითხვა: რა იწამოს, ბუნების კანონი თუ სიტყვა?

მაგრამ ნაწარმოებში ხიდი რწმენასა და გონებას შორის საბოლოოდ არ არის გადებული — საიდუმლო ამოუხსნელი რჩება.

ჩვენი აზრით, ზოკელის ინტერპრეტაცია არ არის დამაკმაყოფილებელი. იგი აღარიბებს ნოველის იდეურ შინაარსს; მკვლევარი მას გარედან განიხილავს და არა მთელი შემოქმედების კონტექსტში. მუზილი იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ყურადღებას მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ პრობლემათა გადაჭრაზე ამახვილებს. მთელი მისი შემოქმედების ძირითადი იდეებისა და მოტივებიდან გამომდინარე, ადვილად ვრწმუნდებით, რომ რწმენასა და სკეპტიციზმს შორის ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ საბაბია იმ ზოგადი პრობლემის წამოსაჭრელად, რაც აღელვებდა მწერალს მთელი მისი ცხოვრება — ეს გახლავთ შემეცნების არსებული მეთოდის არასრულყოფილება.

ცხოვრებისეული მოვლენებისადმი წმინდა ინტელექტუალური მიდგომა მწერალს ცალმხრივად მიაჩნია. მუზილის აზრით, სამყაროს გამარტივება ცნებების საშუალებით მეცნიერული აზროვნების აუცილებელი წინაპირობაა: საგანი ან მოვლენა შემეცნების ობიექტად რომ აქციოს, ინტელექტმა უნდა გარდაქმნას იგი, ცნების სახე მისცეს. რეალური სირთულის დაკარგვის ხარჯზე უნდა გამოიყოს მოვლენის ტიპიური, დამახასიათებელი თვისებები. მუზილა მიაჩნდა, რომ ცხოვრებისეულ მოვლენათა არსში ჩასაწვდომად საჭიროა შემეცნების უფრო სრულყოფილი მეთოდი, სადაც გაერთიანებულია ემპირიული და გრძნობადი აზროვნება.

ტონკა განუმეორებელი მოვლენის განსახიერებაა, იგი ზაფხულის მზიან დღეს მოფარფატე ფანტელია, დღის სინათლის მიუხედავად რომ უსხლტება მზერას, აღწერას, გაგებას. დღის სინათლე აქ მეცნიერული აზროვნების სიმბოლოა. საკუთარ თავს იგი სიმღერითა და მელოდიით, გამოხედვითა და მოძრაობით ავლენს.

ურთიერთობის ასეთი უშუალო ფორმა ხიბლავს ახალგაზრდას, მაგრამ სწრაფვა მისი დაუფლებისადმი ტონკას სატრფოსათვის მიუღწეველია. გმირი გზის გასაყარზე რჩება — სანამ იგი „გაწვრთნილი ინტელექტის“ მორჩილია, ტონკას არსებობაც კი მისთვის არასარწმუნო იქნება.

---

[1] Walter Sokel, Kleists „Marquise von O.“, Kierkegaards „Abraham“ und Musils „Tonka“. Drei Stufen des Absurden in seiner Beziehung zum Glauben. In: Robert Musil, Studien zu seinem Werk. Reinbek bei Hamburg, 1970, s. 57—70.

იუმორი □ პოლონური □ იუმორი

ტვენის პასუხი

მარკ ტვენმა ანონიმური წერილი მიიღო. მასში ერთადერთი სიტყვა ეწერა: „ღორი“. მეორე დღეს ტვენმა საკუთარ გაზეთში გამოაქვეყნა შემდეგი შენიშვნა:

„მე ხშირად ვღებულობ ხელმოუწერელ წერილებს. გუშინ პირველად მივიღე ხელმოწერა წერილის გარეშე.“

როგორ მოვიქცე

— ქმარი ყოველგვარი საბაბის გარეშე ეჭვიანობს ჩემზე. მირჩიე, როგორ მოვიქცე?

— მიეცი საბაბი.

ჯენტლმენი

ახალგაზრდა ვაჟი ქალაქგარეთ, საუცხოო ვილაში მიიწვიეს. ვილის მფლობელი ხუთი ულამაზესი ქალიშვილის მამა აღმოჩნდა. რამდენიმე თვის შემდეგ მამამ ვაჟს დეპეშა გაუგზავნა:

„თქვენ შეაცდინეთ ჩემი ქალიშვილი წრტ. თუ თქვენ ჯენტლმენი ხართ, დაქორწინდით მასზე.“

ვაჟმა უპასუხა:

„მე ჯენტლმენი გახლავართ წრტ. რომელზე დავქორწინდე?

აურზაური

ც ო ლ ი: უკანასკნელად გეკითხები: გამოხვალ თუ არა მაგიდის ქვეშიდან.

ქ მ ა რ ი: არა! მე მინდა ერთხელ და სამუდამოდ გაიგო, თუ ვინაა ოჯახის უფროსი.

საქმიანი საუბარი

— დღეს ჩემი ქმარი სათევზაოდ წავიდა, ასე რომ დრო საკმაო გვექნება. შენ რაღა უთხარი ცოლს?

— სათევზაოდ მივდივარ-მეთქი.

ვიზიტი ექიმთან

დედა და ძალიან ლამაზი ქალიშვილი ექიმის კაბინეტში შედიან.

— გაიხადეთ, — მიმართა ექიმმა ქალიშვილს.

— ავად მე გახლავართ, — უთხრა დედამ.

— აჰ, თქვენ! მაპატიეთ, მაჩვენეთ ენა.

სიყვარული და სიცოცხლე

— ძვიფასო, გინდათ ჩემი ცოლი გახდეთ?

— არა.

და მათ მთელი სიცოცხლე ბედნიერად გაატარეს.

ანტირომანები

1

პირველ დღეს, როცა ერთმანეთი გაიცნეს, ვაჟმა ყველაფერი უამბო თავის თავზე ქალს.

მეორე დღეს, როცა ერთმანეთს შეხვდნენ, ქალმა ყველაფერი უამბო თავის თავზე ვაჟს.

მესამე დღეს ისინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან.

2

პირველ დღეს კაცმა ყველაფერი უამბო ქალს თავის ცოლზე: არ შემიძლია მასთან ცხოვრება, რადგანაც ცოლს ჩემი არ გაეგებაო.

მეორე დღეს ქალმა ყველაფერი უამბო კაცს თავის ქმარზე: არ შემიძლია მასთან ცხოვრება, რადგანაც ქმარს ჩემი არ გაეგებაო.

მესამე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ იმ ქალის ქმარი და იმ კაცის ცოლი.

მათ ერთმანეთს გაუგეს.

თეატრი და ცხოვრება

— ჩემი ცხოვრების უბედნიერეს საათებს თეატრს ვუმადლი.

— თქვენ ასე ხშირად დადიხართ თეატრებში?

— მე არა, ჩემი ცოლი.

მეთოდი

ლონდონის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა შემდეგი ჩანაწერი გააკეთა ქარაფშუტა მოსწავლის დღიურში:

„მიუხედავად იმისა, რომ ვუკრძალავ, ჯონი მაინც დიდ დროს უთმობს გოგონებს.“

ჯონის დედამ უპასუხა:

„თუ თქვენ მიაგნებთ რაიმე კარგ საშუალებას, გთხოვთ მაცნობოთ, მე მას გამოვიყენებ ჯონის მამაზე ზემოქმედებისათვის.“

იუმორი □ პოლონური □ იუმორი

სიბრძნე

სოკრატეს რჩევა ჰკითხა მეგობარმა:

— შენ ბრძენი ხარ, მირჩიე: შევირთო ცოლი თუ არა?

სოკრატემ უპასუხა:

— როგორც არ უნდა მოიქცე, მწარედ ინანებ.

დანაზოგი

— ოდესღაც დავიფიცე, რომ ყოველთვის, როცა ცოლს წავეჩხუბები, შემნახველ სალაროში 10 ზლოტს შევიტან-მეთქი.

— მერე?

— ამ დღეებში ავტომობილი ვიყიდე.

კომივოიაჟერი

— იყიდით ჰალსტუხს?

— არა.

— საკინძს?

— არა.

— აჭიმს?

— მისმინეთ, თუ თქვენ ამ წუთას არ მომწყდებით თავიდან, არ ვიცი, რას გიზამთ, უბრალოდ, სიტყვები არ მყოფნის...

— ასეთ შემთხვევაში შემიძლია შემოგთავაზოთ ლექსიკონი. მასში 10000 სიტყვაა. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ იქ იპოვით იმ სიტყვებს, რომლებიც არ გყოფნით...

გამორიცხვის მეთოდი

დასავლეთი. პატარა რესტორანში ორი კოვბოი ზის.

— ხედავ იმ ხუთ ტიპს კუთხეში?—კითხულობს ერთ-ერთი.

— ვხედავ.

—აი ის, მაღალი, ქერა.

— ყველა მაღალია და ქერა.

— აი ის, შლაპა გვერდზე რომ ჰხურავს.

— ყველას გვერდზე ჰხურავს შლაპა.

— აი, ის, გაუთავებლად რომ ლაქლაქებს.

— ყველა გაუთავებლად ლაქლაქებს.

მოთმინებადაკარგულმა კოვბოიმ პისტოლეტი დააძრო და რიგრიგობით მიაწვინა ხუთიდან ოთხი.

— ახლა მიხვდი, ვისზე გეუბნებოდი? ცოცხალი რომ დარჩა.

— მივხვდი. მერე რა?

— ვერ ვიტანდ მაგ ტიპს....

თუთიყუში

— შემიძლია თუ არა მოლაპარაკე თუთიყუშის შეძენა თქვენთან?

— წყვილს თუ იყიდით.

— რატომ?

— საქმე ისაა, რომ ერთი ესპანურად ლაპარაკობს, მეორე კი თარგმნის.

ავარიის მიზეზი

— რამ გამოიწვია ავარია?

— მე გადავუარე ბოთლს.

— თქვენ ის ვერ დაინახეთ შარაგზაზე?

— ვერა, მთვრალს ედო ჯიბეში.

საოცარი ამბავი

ბიჭი ზოოლოგიის გაკვეთილიდან დაბრუნდა და მამას ეკითხება:

— რა ჰქვია მამა ცხენს?

— ულაყი.

— დედა ცხენს?

— ჭაკი.

— შვილს?

— კვიცი.

— მაშ რომელ ცხენს ჰქვია უბრალოდ ცხენი? — გაკვირვებით იკითხა ბიჭმა.

ინგლისური თავდაჭერილობა

მაღალ საზოგადოებაში, დარბაზობაზე მოუქნელმა ლაქიამ უცაბედად ლორდს მელოტ თავზე წვენი გადაასხა.

— თქვენ გგონიათ, რომ მე ეს მიშველის?

ასეთი საზლაურისათვის

კინოდან გამოსვლისას ქალბატონმა ზლუტკოვსკაიამ ქმარს მიმართა:

— შენ არასოდეს გყვარებივარ ისე, როგორც ამ ფილმში უყვარს ვაჟს ის ქალი.

— რა სასაცილო ხარ, — მიუგო ქმარმა. — წარმოგიდგენია, რამდენს უხდიან იმ მსახიობს ასეთი სიყვარულისათვის?

თარგმნა
ბეჭან ასათიანმა

ჩვენი ავტორები

მილოშ კრნო ცნობილი სლოვაკი მწერალია.

ომის დროს იგი ბრატისლავის სტუდენტ იატაკქვეშელთა მარქსისტული წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. 1946-1953 წლებში იყო მოსკოვში ჩეხოსლოვაკიის საელჩოს პირველი მდივანი კულტურის ხაზით. შემდეგ კი მილოშ კრნო სლოვაკიის მწერალთა კავშირის მდივნად მუშაობდა. მილოშ კრნო ბევრი რომანის, მოთხრობის და ლექსების ავტორია. მისი რომანი „ცოცხალი დავბრუნდები" უკვე 18-ჯერ გამოიცა ჩეხოსლოვაკიაში და ითარგმნა 7 ენაზე.

მილოშ კრნოს ნაწარმოებები ითარგმნება და გამოდის საბჭოთა კავშირში.

ქართველ მკითხველებს ვთავაზობთ მის ერთ მოთხრობას.

□

მიხეილ კოციუბინსკი-ძე ბულგაკოვი დაბადა 1891 წელს კიევში. 1916 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტი. მოთხრობების პირველი კრებული გამოსცა 1925 წელს. 1925-27 წლებში დაწერა რომანი „თეთრი გვარდია", 1926-28 წლებში — პიესა „სრბოლა", 1930-36 წლებში—პიესა „ფარისეველთა კაბალა" („მოლიერი"), 1925-35 წლებში პიესა — „უკანასკნელი დღეები" (პუშკინი), 1936-37 წლებში—„თეატრალური რომანი", 30-იანი წლებიდან სიკვდილამდე (გარდაიცვალა 1940 წელს) მუშაობდა რომანზე „ოსტატი და მარგარიტა", 1965-66 წლებში რომ დაიბეჭდა. 1966 წელს გამოვიდა რჩეული პროზის ერთტომეული, ხოლო 1973 წელს ერთ წიგნად გამოიცა რომანები „თეთრი გვარდია", „თეატრალური რომანი" და „ოსტატი და მარგარიტა".

ქართველ მკითხველს მ. ბულგაკოვი გააცნო ალმანახმა „ცისარტყელამ", სადაც 1968-70 წ. (№ 1—4) დაიბეჭდა რომანი „ოსტატი და მარგარიტა".

□

უილიამ ფოლკნერი (1897—1962) ერთ-ერთი გამოჩენილი ამერიკელი მწერალია. მის შესახებ არსებულ დიდძალ ლიტერატურაში ფოლკნერი ხშირად იხსენიება, როგორც „გენიალური", „ბრძენი", „ჰიპნოზური ძალის მქონე"... ცხოვრების მეტი ნაწილი გაატარა ამერიკის სამხრეთში, პატარა ქალაქ ოქსფორდში (მისისიპის შტატი). მისი ნაწერების გეოგრაფიული გარეგანი ამერიკის სამხრეთი შტატებით შემოიფარგლება უმთავრესად. აქ მცხოვრები ლიტონი ხალხის თავგადასავალი მწერლის ფანტაზიას უხვ საზრდოს აწვდიდა ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ნაწარმოებთა შესაქმნელად.

ფოლკნერმა ვეებერთელა მემკვიდრეობა

დატოვა—ოცზე მეტი რომანი და მრავალი ათეული მოთხრობა, სცენარი, სტატია. რომანებიდან განსაკუთრებით ცნობილია „ჯარისკაცის ჯილდო“ (1926), „სარტორიუსი“ (1929), „ხმაური და მრისხანება“ (1929), „აგვისტოს ნათელი“ (1932), „აბესალომ, აბესალომ“ (1936), „ნეშტის შემბილწველი“ (1948), „სამონაზვნო რექვიემი“ (1951), აგრეთვე ტრილოგია—„სოფელი“ (1940), „ქალაქი“ (1957), „სახლი“ (1959).

1949 წელს უილიამ ფოლკნერს ნობელის პრემია მიენიჭა.

□

ლეოპოლდ ლევინი, თანამედროვე პოლონელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა 1910 წელს. მისი პირველი წიგნი 1931 წელს გამოიცა. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი ერთხანს საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, 1944-46 წლებში კი პოლონეთის სახალხო არმიის ოფიცერია.

ლეოპოლდ ლევინმა პოლონურად თარგმნა და გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია. ლევინისეული თარგმანითვე გაეცნო პოლონელი მკითხველი ნიკოლოზ ბარათაშვილის სრულ შემოქმედებას.

□

ალექსანდრ მილანოვი (1933) შვიდი წიგნის ავტორია. უმაღლესი განათლება მიიღო სამშობლოში —დაამთავრა სოფიის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი— რუსული ენისა და ლიტერატურის განხრით. ლექსების პირველი წიგნი—„ა ნ ა თ ე მ ა“ — გამოსცა 1959 წელს.

□

იან კროსის მოთხრობას, ანუ „პატარა რომანს“ — „ოთხი მონოლოგი წმინდა გიორგის გამო“ — მკითხველი გადაყავს შუასაუკუნეების ესტონეთში. სახელგანთქმული ახალგაზრდა მხატვარი სიტოვი (იგი რეალური პიროვნებაა, ცხოვრობდა 1462—1526 წლებში) ესპანეთის სამეფო კარზე კარგა ხნის ყოფნის შემდეგ თავის მშობლიურ ტალინში ბრუნდება. იმდროინდელ ესტონეთში არსებული წესის მიხედვით, სიტოვი მხატვართა ამქრის წევრად რომ მიიღონ, საჭიროა, ამქრის უხუცესთა საბჭოს წარუდგინოს რაიმე „შედევრი“ წმინდა გიორგის თემაზე, კერძოდ, მან უნდა დახატოს წმინდა გიორგის მიერ ვეშაპის შვილდით განგმირვა. იან კროსმა ამ თემას მიუძღვნა მსუბუქი ირონიით შეფერადებული ეს ოთხი მონოლოგი, სადაც იგი ერთხელ კიდევ უბრუნდება ნამდვილ ხელოვნებასა და ხელოსნობას შორის არსებულ მარადიულ კონფლიქტს. მოთხრობას „ოთხი მონოლოგი წმინდა გიორგის გამო“ მინიჭებული აქვს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მწერალთა კავშირის 1970 წლის პირველი პრემია მოთხრობის ჟანრში.

□

აკუტაგავა რიუნოსკე, მეოცე საუკუნის იაპონური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი, 1927 წელს, 35 წლისა, თვითმკვლელობით ასრულებს თავის ბობოქარ სიცოცხლეს. იმ დროის იაპონური საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების გამძაფრებული ტონუსი ძალოვნად, ტრაგიკულად ფეთქავდა მწერლის ნიადაგ შემოქმედებითი წვითა და ძიებებით აღსავსე სულში და, პიროვნულ ბედსა და შემოქმედებით ძალმოსილებასთან შეზავებული, მკვეთრი თავისთავადობით აღბეჭდავდა აკუტაგავას პროზას...

□

პრანტ მათევოსიანი თანამედროვე სომხური პროზის ერთ-ერთი ცნობილი ოსტატია. დაბადებულია 1935 წელს ლორეს პატარა სოფელ აჰნიძორში.

მწერლის მოთხრობათა ციკლები — „ჩვენა ვართ და ჩვენი მთები“, „მუშა-ცხენები“ და სხვა ნაწარმოებები თარგმნილია მოძმე რესპუბლიკებისა და მსოფლიო ხალხთა მრავალ ენაზე.

ქართველი მკითხველი ავტორს პირველად გაეცნო ალმანახ „ცისარტყელას“ მესამე ნომერში დაბეჭდილი მოთხრობებით—„სევდა“, „დათვი“ და „მიამიტური ამბავი“. ეს უკანასკნელი გამომცემლობა „ნაკადულმა“ ცალკე წიგნადაც გამოსცა „ერთი მოთხრობის“ სერიაში.

მოთხრობა „ძაღლები“ ეკუთვნის ციკლს „ჩვენა ვართ და ჩვენი მთები“.

□

ეუგენიუს იგნატავიჩიუსი, ახალგაზრდა ლიტველი მწერალი, ლიტვის სახელმწიფო კონსერვატორიის, თეატრალური ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. 1965 წლამდე მუშაობდა რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში, შემდგომ გახეთ „ლიტერატურისა და ხელოვნების“ რედაქციაში. 1973 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. გორკის

სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უმაღლესი კურსი.

იგი ავტორია, მოთხრობების წიგნებისა „სიჩუმე ნათიბში," „აღდგომის ველი". მისი პიესა, დაწერილი კ. ბორუტოს რომანის მოტივზე დადგა კაუნასის სახელმწიფო თეატრმა. მოთხრობების გარდა იგი წერს ნარკვევებს, თეატრალურ რეცენზიებს.

ჩესტერფილდი ინგლისელი მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი იყო. ჩესტერფილდის წიგნი „წერილები ჩემს შვილს" მისი სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა და და დაბეჭვდისთანავე ერთი იმ წიგნთაგანი გახდა, სიბერე რომ არ უწერიათ. იგი თავისი დროის ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლია. ამ წიგნში გატარებული აზრები აღზრდაზე, რჩევა-დარიგებანი დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში მან უდიდესი წვლილი შეიტანა.

ემილ ანტუან ბურდელი, (1861—1929) გამოჩენილი მოქანდაკე იყო და დარჩა ფრანგი ხალხის ერთ-ერთ უსაყვარლეს ხელოვანად. იგი გახლდათ დიდი როდენის მოწაფე, მაგრამ ზედმიწევნით ორიგინალური და ექსპრესიულობით გამორჩეული. ბურდელის ქმნილებებისათვის ნიშნადია სინათლე ჩანაფიქრისა და მონუმენტური სტილი.

ბურდელს ძალზე უყვარდა ლიტერატურა და დიდ პატივს მიაგებდა სიტყვას. თავადაც მონიჭებული ჰქონდა ლიტერატურული ალღო.

ამ მოქანდაკემ შექმნა ჭეშმარიტი გრძნებით გამსჭვალული მრავალი წერილი ხელოვნების შესახებ.

«С А У Н Д Ж Е»
Двухмесячный литературно-художественный альманах
(на грузинском языке)
№ 1
1 9 7 4
Издательство «М е р а н и»
380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.

□ □ □

მთავარი რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგაძე, ნანა დარჩია (პასუხისმგებელი მდივანი), ნოდარ დუმბაძე, მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, კარლო კალაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ელგუჯა მაღრაძე, ოთარ ნოდია, მორის ფოცხიშვილი, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი, ვახტანგ ჯელიძე.

ყდა მხატვარ სპარტაკ ცინცაძისა. ტექრედაქტორი რევაზ იმნაიშვილი

გადაეცა წარმოებას 14/V-74, ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/V-74
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆, საბეჭდი № 1,
ნაბეჭდი თაბახი 28, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21,
სასტამბო თაბახი 20, ტირაჟი 10. 000, შეკვ. № 497
ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, კამოს ქ. № 18.

Комбинат печати, Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси, ул. Камо № 18.